ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი

№ 7, დეკემბერი

Journal of Young Researchers

No. 7, December

ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი

2018

ISSN: 2346-7754

სამეცნიერი რედაქტორი:

კორნელი კაკაჩია – პროფესორი

ვალერიან მელიქიძე – ასოცირებული პროფესორი

აღმასრულებელი რედაქტორი:

თეონა მატარაძე – ასოცირებული პროფესორი

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

იაგო კაჭკაჭიშვილი – პროფესორი

ხათუნა მაისაშვილი – ასოცირებული პროფესორი

თორნიკე თურმანიძე – ასოცირებული პროფესორი

ზურაბ აბაშიძე – ასოცირებული პროფესორი

ტექნიკური ჯგუფი:

ნინო აბესაძე – ტექნიკური რედაქტორი

ლევან კახიშვილი – სამეცნიერო რედაქტორის ასისტენტი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ნინო გეწაძე.
   აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები: პრეზიდენტ ბარაკ ობამას ჩაურევლობის პოლიტიკა სირიაში (2013)----------2

2. თეონა ლოდია, მარიამ ლეკვეიშვილი
   კავშირი საცხოვრებელი ადგილის სიმჭიდროვესა და დასწავლილ უუნარობას შორის----------22

3. ლელა ძეგველიშვილი
   პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე---------29

4. დავით სიდამონიძე
   საქართველოს რკინიგზა, როგორც სამხრეთ კავკასიური სატრანსპორტო დერეფნის ნაწილი----------39

5. თამთა ჭრიკიშვილი
   შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სტანდარტების დანერგვა საქართველოს საჯარო სექტორში----------61

აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები: პრეზიდენტ ბარაკ ობამას ჩაურევლობის პოლიტიკა სირიაში (2013)

ნინო გეწაძე

რეზიუმე

წინამდებარე სტატია იკვლევს სირიის კონფლიქტის მიმართ ამერიკის საგარეო პოლიტიკის თავისებურებებს ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში. ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შესწავლა კომპლექსური საკითხია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ისეთ დიდ სახელმწიფოს შეეხება, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები საგარეო პოლიტიკის ფორმირებას სხვადასხვა კუთხით ხსნის. აღნიშნულ ნაშრომში ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკა სირიის კრიზის მიმართ (2013 წ.) გაანალიზებულია ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიის ორი მახასიათებლის მიხედვით, კერძოდ კი პიროვნული და შიდასახელმწიფოებრივი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე. სტატია მიზნად ისახავს პასუხი გასცეს ძირითად კითხვას - რა სახის ფაქტორებმა განსაზღვრა ბარაკ ობამას ჩაურევლობის პოლიტიკა სირიის კონფლიქტში (2013)? სტატიის მკითხველი დაინახავს, რომ მხოლოდ საერთაშორისო სისტემიდან მომდინარე ცვლილებები ყოველთვის არ თამაშობს გადამწყვეტ როლს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში. ნაშრომში შესწავლილია ბარაკ ობამას, როგორც ერთ-ერთი თანამედროვე ლიდერის, პოლიტიკური პორტრეტი და იგი აჩვენებს თუ როგორ შეცვალა ლიბიაში განხორციელებულმა სამხედრო ინტერვენციამ პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკური მსოფლმხედველობა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სირიის მიმართ ოფიციალური ვაშინგტონის პოლიტიკაზე.

საკვანძო სიტყვები:*საგარეო პოლიტიკა, პოლიტიკური ლიდერი, ჩაურევლობის პოლიტიკა, აშშ, სირია.*

Abstract

The article studies US foreign policy particularities towards Syria conflict over the presidency of Barack Obama. Analyzing state`s foreign policy is complex, in particular, when one intends to study the foreign policy of such a great power as it is the Unites States of America. International Relations theories look at the formation of foreign policy of states from different perspectives. This publication examines Barack Obama`s foreign policy towards the Syrian crisis (2013) according two levels of analysis (individual and domestic) that are presented within the theory of Neoclassical realism.

The article aims at answering the research question – what factors determined President Obama`s non-intervention policy in Syria (2013)? As the reader discovers only the pressure and changes coming from the international system are not decisive in the process of crafting state`s foreign policy.

The purpose of the article is to study one of the contemporary political leaders`, Barack Obama`s political portrait and emphasize that the previous military intervention in Libya transformed President Obama`s perceptions and attitudes, it also significally influenced official Washington policy towards Syria war.

***Keywords**: Foreign policy, political leader, non-intervention policy, USA, Syria.*

შესავალი

სტატია მიზნად ისახავს შეისწავლოს ამერიკის შეერთებული შტატების 44-ე პრეზიდენტის, ბარაკ ობამას, ჩაურევლობის პოლიტიკა სირიის კონფლიქტში. სირიაში ასადის ძალადობრივი რეჟიმი დღემდე გრძელდება და აღნიშნული კრიზისი კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის. ნაშრომში საკვლევი თემის დავიწროება ხდება ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის, ბარაკ ობამას ადმინისტრაციის, მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე სირიის კონფლიქტთან მიმართებით და ფოკუსი კეთდება იმ ფაქტორების შესწავლაზე, რამაც განაპირობა პრეზიდენტის არაინტერვენციული პოლიტიკა სირიაში (2013წ). აღნიშნული საკითხი დღემდე საინტერესო კვლევის საგნად რჩება მკვლევართათვის, რასაც მოწმობს უცხოურ კვლევით წყაროებში სირიის მიმართ ობამას ოფიციალური პოლიტიკური კურსის შესახებ ჩატარებული საინტერესო კვლევები და თემის ირგვლივ სამეცნიერო მასალების სიმრავლე. წარმოდგენილ სტატიაში აღნიშნული თემა ავტორის მიერ სხვა კუთხიდან იქნება შესწავლილი. კერძოდ, საინტერესოა იმის გარკვევა თუ როგორ შეიძლება მოახდინოს გავლენა პოლიტიკური ლიდერის პირადმა შეხედულებებმა, იდეებმა და ამავე დროს შიდასახელმწიფოებრივმა ვითარებამ ქვეყნის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე. ამ საკითხის შესწავლისათვის შესაძლებელია გამოყენებული იყოს თვისებრივი კვლევის – კერძოდ კი, ოფიციალური დოკუმენტების ანალიზის და ლიტერატურის მიმოხილვის მეთოდები. სტატია გამოავლენს, რომ მხოლოდ საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე მოვლენები და პოლიტიკური ცვლილებები არ ახდენს გავლენას ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ვექტორის განსაზღვრაზე. პირიქით, როგორც სირიის მიმართ ობამას ადმინისტრაციის პოლიტიკური კურსიდან გამოჩნდა ლიდერის პირადი აღქმები, მისი შეხედულებები და ქვეყნის შიდა კონტექსტი უზარმაზარი პოლიტიკური ზეწოლის მომხდენი შეიძლება გახდეს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ფორმირებასა და სირიაში ჩაურევლობის პოლიტიკაზე.

საკითხის აქტუალობას განაპირობებს ობამას პრეზიდენტობის დროს ამერიკის საგარეო პოლიტიკის პარადოქსული და უჩვეულო ხასიათი, რაც დაკავშირებულია ამერიკის 44-ე პრეზიდენტის მიერ სირიაში სამხედრო ინტერვენციის ლიმიტირებულ მასშტაბებთან. ობამას პოლიტიკური მრწამსი მკვეთრად განსხვავდება ამერიკის წინამორბედი პრეზიდენტების მიერ გატარებულ ხისტი, სამხედრო ინტერვენციული და რეჟიმის ცვლილებისკენ მიმართული კურსისაგან. ყოველივე ამის საპირისპიროდ, ობამას საგარეო პოლიტიკური აზროვნება საკმაოდ ლიბერალურია, მისი პრეზიდენტობის დროს კი ამერიკა რბილი და შემწყნარებელი ჰეგემონიის მახასიათებლებით გამოირჩევა.

ნაშრომში გამოიკვეთება ის ფაქტორები, თუ რატომ განსხვავდებოდა პრეზიდენტ ობამას არჩეული პოლიტიკა და ინტერვენციის ფორმა და მასშტაბები ორი თითქმის ძალზედ მსგავსი კონფლიქტის მიმართ, რომლებიც ლიბიასა და სირიაში მიმდინარეობდა. საერთაშორისო საზოგადოების მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ სირიის კონფლიქტის დროს ამერიკა ამჯერადაც საერთაშორისო პოლიციელის როლს მოირგებდა და სამხედრო ინტერვენციით შეიჭრებოდა და დაამხობდა ასადის ძალადობრივ რეჟიმს ქვეყანაში, არ გამართლდა. საინტერესოა, რა შეიცვალა ლიბიის შემთხვევის შემდგომ ობამას პოლიტიკურ აზროვნებასა და მსოფლმხედველობაში, რა განმასხვავებელი ფაქტორები გამოიკვეთა ამ ორ შემთხვევას შორის და რამ გადააწყვეტინა პრეზიდენტ ობამას ლიბიის კონფლიქტისგან განსხვავებით, სირიის კონფლიქტის მიმართ არჩევანი ჩაურევლობის პოლიტიკაზე გაეკეთებინა.

ზემოაღნიშნული საკითხის სიღრმისეული შესწავლის მიზნით სტატიის მკითხველი გიდეონ როზის ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიის ჭრილში გააანალიზებს ბარაკ ობამას განსხვავებულ ქმედებებს ლიბიისა და სირიის კონფლიქტებში. თეორიის ფუძემდებლები აღნიშნავენ, რომ საგარეო პოლიტიკის ფორმირება ხდება საერთაშორისო სისტემის სტრუქტურისა და სახელმწიფოს შიდა ფაქტორების (ელიტების დამოკიდებულებები, ინტერესთა ჯგუფები) გაანალიზებისა და მათი ურთიერთკავშირის საფუძველზე. იდეები და აღქმები მნიშვნელოვანია, სახელმწიფო წარმოადგენს ინდივიდების ერთობლიობას, რომლებიც ქმნიან სისტემას, ბიუროკრატიას, ინსტიტუტებს და ძლიერ ლიდერებს და სახელმწიფოს შიდა მახასიათებლები კარნახობენ ლიდერებს თუ როგორ შეაფასონ გარე საფრთხეები, შესაძლებლობები და ამის მიხედვით მიიღონ მოქმედების სტრატეგია (Rose, 1998). სტატიაში გამოყენებულია ნეოკლასიკური რეალიზმის ანალიზის ორი განსხვავებულ მიდგომა - პიროვნული და შიდასახელმწიფოებრივი და ახსნილია თუ რა გავლენა იქონია თავად ამერიკის 44-ე პრეზიდენტის პირადმა აღქმებმა და გადაწყვეტილებებმა, ასევე ეროვნულ დონეზე შექმნილმა პოლიტიკურმა პროცესებმა (კონგრესის მიერ რეზოლუციის არმიღება, სახალხო აზრის წინააღმდეგობა და ეკონომიკური დანახარჯები) პრეზიდენტის ჩაურევლობის პოლიტიკაზე სირიაში.

ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევი თემის ირგვლივ სამეცნიერო მასალებისა და ლიტერატურის გაცნობის კვალდაკვალ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საფუძვლიანად გაანალიზებული არ არის ბარაკ ობამას, როგორც ამერიკის პირველი პირის, ჩაურევლობის არჩევანი სირიის კრიზისში (2013 წ. დამასკოში ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტი).

კვლევის უპირველესი ამოცანაა მოხდეს პრეზიდენტ ობამას პოლიტიკური აღქმებისა და ქცევების შესწავლა, ამიტომ ამერიკულ ჟურნალ „The Atlantic-ში“ ჟურნალისტ გონდერბერგის სტატია - „ობამას დოქტრინა“ (2016) წარმოუდგენლად ფასეული წყაროა პრეზიდენტის პოლიტიკური პორტრეტის შესასწავლად, რადგანაც სტატიაში თავს იყრის ბარაკ ობამასთან სხვადასხვა პერიოდში ჩაწერილი ინტერვიუები და განცხადებები. აქედან გამომდინარე, უფრო მარტივი ხდება ლოგიკური კავშირის დადგენა პრეზიდენტის მიერ წარმოთქმულ

ფრაზებსა და მის შემდგომ მოქმედებებს შორის. პრეზიდენტის პირადი მოსაზრებების გაცნობის შემდეგ ნათლად გამოიკვეთება მის მსოფლმხედველობაში მომხდარი ცვალებადობა.

ლიბიაში განხორციელებულ ინტერვენციაზე სირიის კონფლიქტის დამოკიდებულების შესახებ საინტერესო მასალები არსებობს „The New Yorker-ის“ სტატიაში „შემეცნებითი“ („Consequentialist, 2013“), ასევე Fox News-ისთვის პრეზიდენტის მიერ მიცემული ინტერვიუში (Barakat, 2016). ორივე წყაროში პრეზიდენტი დამაკავშირებელ ჯაჭვს ავლებს ლიბიისა და სირიის ინტერვენციებს შორის.

პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკურ აზროვნებაზე შიდასახელმწიფოებრივ დონეზე არსებული ფაქტორების გავლენის შესასწავლად ნაშრომში ჯენტლესონის (2010) წიგნია გამოყენებული. „ამერიკის საგარეო პოლიტიკა - არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში“. ჯენტლენსონი მოგვითხრობს ამერიკის საშინაო პოლიტიკის კონტექსტის გავლენის შესაძლებლობას საგარეო პოლიტიკის პროცესზე. აღნიშნულიდან გამომდინარე ნაშრომში გამოკვეთილია ეროვნულ დონეზე ის ძირითადი შემაკავებელი ფაქტორები, პრეზიდენტ-კონგრესის დაპირისპირება, სახალხო აზრის წინააღმდეგობა, რომლებიც უპირისპირდებიან პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკურ კურსს სირიაში.

ნაშრომში, ასევე წარმოდგენილია სამხედრო ოპერაციების ეკონომიკური დანახარჯის ანალიზი. ჰარვარდის კენედის სკოლის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, სადაც კვლევის ავტორი საუბრობს იმ ფინანსური მემკვიდრეობის შესახებ, რაც ერაყისა და ავღანეთის ომებმა მოუტანეს ამერიკას და რითიც სამომავლოდ განისაზღვრა ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული სახელმწიფო ბიუჯეტის ოდენობა, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ერაყისა და ავღანეთის ოპერაციებიდან მიღებულმა ხარჯმა განაპირობა პრეზიდენტ ობამას თავშეკავება სირიის კონფლიქტში (Bilmes, 2013).

დასასრულს, საჭიროა ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ კვლევის პროცესში მოძიებულ აკადემიურ ლიტერატურაში ვერ მოიძებნება ისეთი ნაშრომი, რომელიც, შესაძლოა, ამერიკის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე არსებულ ფაქტორებს განიხილავდეს სირიაში ინტერვენციის ერთ-ერთ უმთავრეს შემაკავებელ ძალად. ამას გარდა, სტატიის ავტორმა, სწორედ წერის პროცესში მიმოხილული ლიტერატურის ანალიზის შემდეგ გადაწყვიტა შეესწავლა, თუ რა დოზით შეეძლო მოეხდინა 2011 წელს ლიბიის ოპერაციას ზეგავლენა 2013 წელს სირიაში მიმდინარე კრიზისზე. შესაბამისად, ეს საკითხი წარმოადგენს ნაშრომის სიახლეს და აჩენს ამ თემის გარშემო კვლევის ჩატარების საჭიროებას.

მეთოდოლოგია

საკვლევი საკითხის ანალიზისათვის შერჩეულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, რადგან ეს უკანასკნელი უკეთ ეხმარება პრეზიდენტ ობამას აზროვნების სტილისა და მისი შეხედულებების სიღრმისეულად შესწავლას. თავად პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული ოფიციალური განცხადებების ერთმანეთთან შედარებით და პრეზიდენტთან ჩაწერილი ინტერვიუების მეშვეობით („ობამას დოქტრინა“) შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვლევა, რომლებმაც პრეზიდენტის მსოფლმხედველობასა და აღქმებზე იქონია გავლენა.

თვისებრივი კვლევის მეთოდის ტექნიკებიდან სტატიაში გამოყენებულია ერთეული შემთხვევის შესწავლა (Case Study). ეს მეთოდი მიზნად ისახავს წინასწარ შერჩეული მოვლენის, სიტუაციისა თუ ფენომენის სიღრმისეულ ანალიზს და აღწერას, რათა აღმოჩენილ იქნეს საინტერესო კავშირები მოვლენის შემადგენელ ელემენტებს შორის (Yin, 2014). 2013 წელს სირიაში ობამას ჩაურევლობის პოლიტიკა სწორედ ამ მეთოდის შესაბამისად არის გაანალიზებული ნაშრომში.

თეზისში გამოყენებულია ინდუქცია, შემეცნების ისეთი მეცნიერული მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ ზოგადი დასკვნა ცალკეული ფაქტების საფუძველზე (Blaikie, 2004). აღნიშნული მეთოდი შეირჩა ორი მიზეზის გამო: სირიაში პრეზიდენტ ობამას ჩაურევლობის პოლიტიკასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების განზოგადებით ნაჩვენებია, თუ რა სახის გავლენა შეიძლება იქონიოს ლიდერის სუბიექტურმა იდეებმა, შეხედულებებმა და ეროვნულ დონეზე არსებულმა კონტექსტმა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე. გარდა ამისა, ინდუქციური მიდგომის საშუალებით, ასევე, შესაძლებელია პრეზიდენტ ობამას პიროვნების განზოგადება და მისი მსგავსი ღირებულებებისა და მახასიათებლების მატარებელი პოლიტიკური ლიდერის ჩამოყალიბება.

ამერიკის საზოგადოების განწყობების შესასწავლად სტატიაში გამოყენებულია დოკუმენტები, სხვადასხვა ამერიკული ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ ანგარიშები და გამოკითხვები (Gallup, Pew Research, CNN Poll, Washingtom Post). მიღებული შედეგების განზოგადებით ცხადი ხდება, რომ ამერიკის მოსახლეობის უმრავლესობა წინააღმდეგი იყო სირიაში ობამას ინტერვენციული პოლიტიკის.

პროცესის მიდევნება (Process tracing), როგორც თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი, აკვირდება უშუალოდ პროცესს, მოვლენების განვითარებას დროის გარკვეულ შუალედში. აღნიშნული მეთოდი ჩამოაყალიბეს, როგორც ქეისების ანალიზისათვის აუცილებელი კომპონენტი (Collier, 2011). ამ მეთოდის გამოყენებით მეცნიერმა უნდა აჩვენოს რა განსხვავება არსებობდა ორ სხვადასხვა შემთხვევას შორის, როგორ იყვნენ ისინი ერთმანეთზე დამოკიდებული და რომელმა შემთხვევამ რა გამოიწვია (George, Bennett, 1997) პროცესის მიდევნების მეთოდით კარგად აიხსნება ყველა ის მსგავსება და განსხვავება, რაც ლიბიასა და სირიის შემთხვევებს შორის არსებობდა და რამაც პრეზიდენტ ობამას გადმოსახედიდან ერთმანეთზე დამოკიდებული გახადა ლიბიისა და სირიის შემთხვევები.

პიროვნული ანალიზის დონე

მომდევნო თავი დაეთმობა პირველი დონის, - პიროვნული ფაქტორების გავლენის შესწავლას ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესში. სტატიაში ინდივიდუალური ანალიზის დონე მიზნად ისახავს ორი საკითხის შესწავლას: 1. ლიბიიდან მიღებული ისტორიული გამოცდილების გავლენა სირიაში ობამას არაინტერვენციულ სტრატეგიაზე; 2. ბარაკ ობამას მსოფლმხედველობა, მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადებებისა და საუბრების შესწავლის საფუძველზე.

ბარაკ ობამას განსხვავებული მიდგომები ლიბიისა და სირიის კრიზისების მიმართ: შედარებითი ანალიზი

ერთი შეხედვით, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე ორი კონფლიქტი (ლიბია და სირია) ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ორივე მათგანის განვითარებას არაბულმა გაზაფხულმა მისცა ბიძგი, ორივე კონფლიქტი შიდასახელმწიფოებრივი ხასიათისაა, მსგავსი ისტორიული წარსულით. აქედან გამომდინარე, ალბათ, მკითხველს უჩნდება ლოგიკური კითხვები, რომ როცა გაერომ საჭიროდ ჩათვალა ძალის გამოყენება და საერთაშორისო ჰუმანიტარული ინტერვენცია ლიბიაში, რატომ არ მიიღო მსგავსი გადაწყვეტილება სირიასთან მიმართებით? რა კრიტერიუმების მიხედვით განასხვავა საერთაშორისო თანამეგობრობამ და ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ ლიბიაში არსებული გენოციდი სირიის შემთხვევისაგან?

ნებისმიერი სახის პოლიტიკური არჩევანი ქვეყნის პირველი პოლიტიკური ფიგურის, ამ შემთხვევაში ბარაკ ობამას პრეროგატივაა, თუმცა, მნიშვნელოვანია დადგინდეს ის ამხსნელი ფაქტორები, რომელთაც პოლიტიკური ფიგურის აზროვნების ფორმირება და მის აზროვნებაში მომხდარი ცვლილებები განაპირობეს. იმის დასადგენად, თუ რატომ შეიმუშავა ამერიკის ადმინისტრაციამ დაახლოებით ერთ პერიოდში მიმდინარე კონფლიქტებისადმი (ლიბია და სირია) რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური სტრატეგიები, პირველ რიგში, მოკლედ მიმოხილულია ლიბიისა და სირიის კონფლიქტები და ზოგადად ამ ქვეყნების მნიშვნელობა რეგიონისათვის.

სირიაში კონფლიქტი 2011 წლის მარტში დაიწყო და ლიბიის მსგავსად მოსახლეობა აქაც პოლიტიკური რეჟიმის დამხობის მოთხოვნით გამოვიდა ქუჩებში. სირიაში, ვითარება განსაკუთრებით მწვავე 2012 წლის თებერვალში გახდა, როცა გაეროს ანგარიშის მიხედვით, ყოველდღიურად დაახლოებით ასი ადამიანი ეწირებოდა ასადის სისხლიან რეჟიმს და საშუალოდ ერთი წუთის განმავლობაში ორი რაკეტა ეცემოდა სირიის მიწაზე (Buckley, 2012) სირიის შემთხვევაში მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა ის ფაქტორი, რომ მოსახლეობის ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობა არ იყო ჰომოგენური.

სირიას, ლიბიასთან შედარებით, რეგიონშიც და თავად ამერიკის ეროვნულ ინტერესებთან მიმართებითაც გაცილებით მეტი სტრატეგიული და სიმბოლური დატვირთვა აქვს. სირიას, ლიბიისგან განსხვავებით, ბევრად უფრო მოდერნიზებული, მოქნილი და ინტეგრირებული საჰაერო თავდაცვის სისტემა და შეიარაღებული ძალები გააჩნია, ქვეყანა ასევე ფლობს ქიმიურ იარაღს (Nunlist, 2016). სირია განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს ამერიკისთვის, რადგან პირველი - სირია სუნიტი და შიიტი ექსტრემისტების უსაფრთხო თავშესაფარია რეგიონში, მეორეც - სირიიდან ადვილადაა შესაძლებელი „დომინოს ეფექტის“ მსგავსად არეულობებისა და სამოქალაქო დაძაბულობის გავრცელება მოხდეს მეზობელ ქვეყნებში. ამ ყველაფერთან ერთად არანაკლებ საყურადღებოა, ასევე ის, რომ სირიას, ლიბიისგან განსხვავებით, რეგიონში ჰყავს ორი ძლიერი მოკავშირე რუსეთისა და ირანის სახით, რომლებიც მზად არიან გააკეთონ ყველაფერი, რათა შენარჩუნდეს ასადის რეჟიმი ქვეყანაში, რადგან ეს პირდაპირ თანხვედრაში მოდის რუსეთისა და ირანის პოლიტიკური ლიდერების სახელმწიფოებრივ ინტერესებთან (Sawavni, 2014).

ობამას ჩაურევლობის პოლიტიკა სირიაში უმთავრესად განპირობებული იყო ლიბიის კრიზისიდან მიღებული გამოცდილებით და შედეგებით; ეს რომ სე არ ყოფილიყო, მაშინ პრეზიდენტი იმავეს გააკეთებდა სირიაში, რაც მანამდე ლიბიაში მოიმოქმედა. ლიბიისაგან

ობამამ კარგი და დროული გაკვეთილი მიიღო. (Sawani, 2014). თუმცა, მიაღწია კი ლიბიაში განხორციელებულმა ინტერვენციამ სასურველ შედეგებს გარდა კადაფის რეჟიმის დამხობისა? იყო ამერიკისა და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან გაწეული მხარდაჭერა საკმარისი დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისთვის ლიბიაში?

გაეროს რეზოლუციისა და ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო მხარდაჭერით 2011 წლის მარტში ბარაკ ობამამ მშვიდობიანი და პროდემოკრატული მოსახლეობის დასაცავად ლიბიაში ინტერვენციის განხორციელება დაიწყო. შვიდი თვის შემდეგ, ოქტომბერში, დასავლური სამყაროს მხრიდან წამოწყებული სამხედრო კამპანია ქვეყნის მმართველის, კადაფის, ძალადობრივი რეჟიმის დამარცხებით დასრულდა. სამხედრო ოპერაციის შემდეგ პრეზიდენტმა ობამამ განცხადება გააკეთა ვარდების ბაღში, სადაც შეაჯამა ლიბიაში განხორციელებული ინტერვენციის შედეგები და დასძინა, რომ ნატო-ს ოპერაცია ლიბიაში იყო სანიმუშო ოპერაცია, რომელმაც შეძლო და თუნდაც ერთი ამერიკელი ჯარისკაცის დაღუპვის გარეშე თავიდან აგვაცილა რუანდის მსგავსი გენოციდი და გადაარჩინა ლიბია გამხდარიყო ტერორიზმის მორიგი თავშესაფარი (The Foreign Affairs, 2015).

განხორციელებული ინტერვენციის შემდგომ მიღებულმა შედეგებმა ობამას ნათლად დაანახა, რომ ინტერვენციის მიზანი მხოლოდ ტირანის ჩამოდგება არ უნდა იყოს. ერთი ტირანის წასვლა არაა საკმარისი ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნისათვის. მათ, ვინც გარედან რომელიმე ქვეყნის სახელმწიფო მშენებლობის პროცესში ერთვება კარგად უნდა მოსინჯოს და შეისწავლოს ის ნიადაგი და წინაპირობები, რაც სახელმწიფოს მშენებლობისათვის არის საჭირო, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ყველა არასასურველი შედეგი, რაც ლიბიის მაგალითზე ახლო აღმოსავლეთში მივიღეთ (Etzioni, 2012). ბარაკ ობამა, დიდი ალბათობით, მოუმზადებელი აღმოჩნდა ლიბიის კრიზისის მიმართ. მოუმზადებლობაში კი პირველ რიგში სახელმწიფოს მხრიდან ჩამოყალიბებული და თანმიმდევრული მოქმედების სტრატეგიის არარსებობაა ნაგულისხმევი. ობამას ადმინისტრაციას არ ჰქონდა სათანადოდ გაანალიზებული დიქტატორის გარეშე დარჩენილი ტრავმირებული და სამოქალაქო ომში ჩაძირული მოსახლეობისთვის დროული და საჭირო დახმარების აღმოჩენის საჭიროება. ამბობენ, რომ ომის მიმდინარეობისას ამერიკა ორი არჩევანის წინაშე იდგა: პირველი ეს არის ამერიკის მიერ წარმატებულად განხორციელებული რეჟიმის ცვლილება, რომელსაც სოცოცხლისუნარიანი გეგმა უნდა მოსდევდეს სახელმწიფოებრიობის მშენებლობისათვის, ხოლო მეორე არჩევანი ეს არის, რომ ამერიკა საერთოდ არ ჩაებას საომარ ვითარებაში, რადგანაც თუ ტირანის დამხობას მაინც ანარქიამდე მივყავართ, ომის წარმოებას აზრი ეკარგება (Etzioni, 2012).

ობამას ინტერვენცია ლიბიაში ზუსტად ასახავდა ამერიკის 2010 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში წარმოდგენილ ხედვებს, რომ ამერიკა მხოლოდ დიპლომატიის, მოლაპარაკებების გამოყენებით და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების გვერდიგვერდ გადაჭრიდა საერთაშორისო სისტემაში წამოჭრილ კონფლიქტებს (Sawani, 2014). სწორედ ამ მიდგომის შესაბამისად გადადგა პოლიტიკური ნაბიჯები ბარაკ ობამამ ლიბიაში, რომელიც იმედოვნებდა, რომ დაიბრუნებდა საზოგადოების (მათ შორის არაბული სამყაროს) ნდობას, რაც 9/11 შემდგომ ბუშის უნილატერალური პოლიტიკის შედეგად იყო დაკარგული. ბარაკ ობამას პიროვნული აღქმებისა და ქვეყნის შიგნით, ეროვნულ დონეზე,

არსებული შემაფერხებელი ცვლადების გარდა, განხილულ უნდა იქნას დამატებითი ფაქტორი - გაეროს უშიშროების საბჭოში კონსენსუსის არარსებობა, რის გამოც ობამამ თავი შეიკავა სირიაში ინტერვენციისგან და რაიმე ახალი პოლიტიკური ინიციატივის წამოწყებისაგან რაც დიდ ფინანსურ დანახარჯებთანაც იქნებოდა დაკავშირებული.

ზემოთ წარმოდგენილი ფაქტები მყარ არგუმენტად გამოდგება იმის საჩვენებლად, რომ ობამამ ნამდვილად კარგი გაკვეთილი მიიღო ლიბიის მაგალითისგან და ამის საფუძველზე მოხდა შემდეგ ეტაპზე მის მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფორმირება სირიასთან დაკავშირებით. მართალია, ლიბიის კრიზისის მიმდინარეობის დროს ობამა ნაწილობრივ ჯერ კიდევ ცდილობდა ამერიკის გამორჩეულობის ხაზგასმას, რასაც მისი პოლიტიკური არჩევანი მოწმობს ლიბიაში - „უკნიდან წინ გაძღოლა“, (“Leading from Behind”) მაგრამ უკვე სირიის კრიზისის მიმართ ბარაკ ობამას მხრიდან გამოჩენილმა პოლიტიკურმა პასიურობამ აშკარად დაანახა მსოფლიოს, რომ ობამას ადმინისტაციის პერიოდში ამერიკამ საერთაშორისო სისტემაში საკუთარი დომინანტური პოზიციის დაკარგვა დაიწყო (Lofflmann, 2015).

„ობამას დოქტრინა“

ამერიკის წინამორბედი პრეზიდენტებისგან განსხვავებით, ჟურნალ “The Atlantic-ში“ გამოქვეყნებული „ობამას დოქტრინა“ არ წარმოადგენს ბარაკ ობამას ადმინისტრაციის პირობებში შექმნილ სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტს, არამედ აღნიშნულ სტატიაში მთავარ რედაქტორს, გოლდბერგს, თავმოყრილი აქვს სხვადასხვა დროს ობამასთან ჩაწერილი ინტერვიუები, პრეზიდენტის ოფიციალური განცხადებები, სიტყვით გამოსვლები და საუბრები სახელმწიფო მოღვაწეებთან (Goldberg, 2013). ობამას დოქტრინის მეშვეობით მკითხველი ეცნობა და აანალიზებს პრეზიდენტის თვალით დანახულ ამერიკის საგარეო პოლიტიკასა და სტრატეგიებს. სტატიის სიღრმისეული შესწავლის გზით, დავაკვირდით ბარაკ ობამას მსოფლმხედველობას და გავაანალიზეთ მისი პოლიტიკური გადაწყვეტილებები ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით სირიამდე და უშუალოდ სირიის კრიზისის მიმდინარეობისას.

წინამდებარე თავში გამოჩნდება ბარაკ ობამას პიროვნებაში მომხდარი ცვლილება, რომელიც არ ყოფილა მყისიერი და ამ პროცესზე მისი პრეზიდენტად არჩევის დღიდან მოყოლებული გავლენას ახდენდა სახელმწიფოს შიგნით არსებული კონტექსტიც. სხვადასხვა განცხადებისა და ოფიციალური სიტყვების ანალიზის საფუძველზე მოხდა პრეზიდენტის ორი განსხვავებული სახის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რათა გამოაშკარავებულიყო თუ რა რეალობა გვქონდა თავდაპირველად ბარაკ ობამას ხელისუფლებაში მოსვლისას და ლიბიის კრიზისის შემდეგ როგორი სახის ტრანსფორმაცია განიცადა პრეზიდენტის პოლიტიკურმა აღქმებმა და წარმოდგენებმა სირიის კონფლიქტთან დაკავშირებით.

ბარაკ ობამა, ხელისუფლებაში მოსვლამდე, მეტად თამამი და რისკიანი საგარეო პოლიტიკის გატარების მომხრე იყო. ჯერ კიდევ 2007 წელს ბარაკ ობამამ, როდესაც ილინოისის შტატის სენატორი იყო, განაცხადა, რომ ამერიკამ საკუთარი ღირსეული საქციელით და სიტყვებით უნდა დაანახოს ყველას, რომ ის დგას იმ ხალხის გვერდით, ვინც უკეთესი ცხოვრებისაკენ

იღწვის (Ryan, 2011). ეს განცხადება, სხვა არაფერია თუ არა დახმარების ხელის გაწვდენა ლიბიისა და სირიის მსგავს სიტუაციაში მყოფი ქვეყნებისათვის, რომლებიც პროტესტის გზით გამოხატავენ საკუთარ სურვილს მოქმედი რეჟიმების დასამხობად. თუმცა, პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ბარაკ ობამას ეცვლება შეხედულებები მთელ რიგ საკითხებზე და ის პრიორიტეტების დალაგებას იწყებს. პრეზიდენტმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო ისეთი საჭირბოროტო საკითხების მოგვარება, როგორიცაა: ეკონომიკური სიდუხჭირე და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, კატასტროფა ქვეყნის შიგნით, ამერიკის ორი ომი ერაყსა და ავღანეთში, რეგიონული საფრთხეები პაკისტანისა და ირანის მხრიდან, გლობალური ტერორიზმი, ჩინეთისა და ინდოეთის მზარდი დომინანტობა მსოფლიოში, რაც ბევრის აზრით ამერიკის, როგორც ლიდერის ფუნქციის დაკარგვის ფონზე მიმდინარეობდა (Ryan, 2011).

პრეზიდენტი ბარაკ ობამა სიტყვით გამოსვლისას ნობელის პრემიის ცერემონიაზე, 2009 წლის დეკემბერში, საინტერესო საკითხებს ეხებოდა. მონოლოგში პრეზიდენტი აღნიშნავდა, რომ მთავრობის სამხედრო-პოლიტიკურ უმოქმედობას შეუძლია საზოგადოების სინდისის ქენჯნა გამოიწვიოს და ერთ დღესაც ამ უმოქმედობისგან გამომდინარე უფრო ხარჯიანი ინტერვენციის განხორციელება გახდეს აუცილებელი. ძალა გამოყენებულ უნდა ყოფილიყო სახელმწიფოების მხრიდან ჰუმანიტარული ინტერვენციისათვის, ისეთი კატასტროფების ჩასახშობად, როგორიც მაგალითად ბალკანეთი იყო (The Nobel Foundation 2009). ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ საინტერესოა, რატომ შეიკავა თავი პრეზიდენტმა დაახლოებით 4 წლის თავზე, 2013 წლის აგვისტოში, ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებაზე სამხედრო ინტერვენციით ეპასუხა. სირიაშიც ხომ ბალკანეთის რეგიონის მსგავსად მიმდინარეობდა მოსახლეობის მასობრივად და უმოწყალოდ ხოცვა? პრეზიდენტ ობამას მეორე მნიშვნელოვანი გამოსვლა, კაიროს უნივერსიტეტში, 2009 წელს შედგა, სადაც პრეზიდენტი ამერიკელ და მუსლიმ ხალხებზე საუბრობდა. მისი განცხადება შემდეგ სათაურს ატარებდა: „ახალი დასაწყისი“. პრეზიდენტის სიტყვას გარდატეხა უნდა შეეტანა ამერიკისა და მუსლიმი ერების ურთიერთობაში და ობამას ადმინისტრაციის პირობებში სუფთა ფურცლიდან უნდა დაწყებულიყო მუსლიმ ხალხთან თანამშრომლობა (The Telegraph 2009). კაიროში სიტყვით გამოსვლის შემდეგ, ორ სხვადასხვა მუსლიმანურ ქვეყანაში ობამა განსხვავებული სტრატეგიებით მოქმედებს. ლიბიის კრიზისში საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად ინტერვენციაში ერთვება, ხოლო სირიის შემთხვევაში ჩაურევლობის პოლიტიკას მიმართვას.

„ობამას დოქტრინის“ ერთ-ერთ ნაწილში პრეზიდენტი საკუთარ თავს ინტერნაციონალისტად მოიხსენიებს. ის, ასევე აცხადებს, რომ იდეალისტია, რადგან ღრმად სწამს, რომ უმჯობესია კაცობრიობამ ხელი შეუწყოს ისეთი ღირებულებების დაცვას, როგორიცაა დემოკრატია და ადამიანის უფლებების გავრცელება. თუ ადამიანები აღიარებენ კანონის უზენაესობას, დაიცავენ საკუთრების უფლებას, მსოფლიო რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, უკეთესი და შედარებით უსაფრთხო გახდება (Goldberg 2016). ამას გარდა, ამერიკელი ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში, ბარაკ ობამა იმასაც აღნიშნავდა, რომ სისტემის სხვა დიდ სახელმწიფოებთან შედარებით ამერიკა იყო ძალა, რომელსაც არ ამოძრავებდა მხოლოდ პირადი ინტერესები, არამედ ქვეყანა დაინტერესებული იყო ჩამოეყალიბებინა ის ზოგადი ნორმები და წესები, რომელთა დაცვაც მსოფლიოს სარგებელს მოუტანდა და იხსნიდა

უდანაშაულო ადამიანებს სიკვდილისგან. (Goldberg 2016). პრეზიდენტი იქვე დასძენდა, რომ არის შემთხვევები, როცა სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე ამერიკა სათანადოდ ვერ ახერხებდა სხვადასხვა უდანაშაულო ხალხის სიკვდილისგან დაცვას (Goldberg, 2016). ამის ერთ-ერთი ნათელ მაგალითად კი პრეზიდენტს სირიაში ამერიკის ჩაურევლობის გადაწყვეტილება მოჰყავდა.

2010 წელს გამოცემული ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტი ქვეყნის ეროვნული ინტერესების განვითარებას ოთხი კატეგორიის ქვეშ განიხილავს - უსაფრთხოება, ეკონომიკური კეთილდღეობა, ღირებულებები და საერთაშორისო წესრიგი. დოკუმენტის მიხედვით, ამერიკის საგარეო პოლიტიკური ხედვები და მიდგომები ამ ოთხ პრინციპზეა დაფუძნებული, რომლებიც თავის მხრივ ერთმანეთისგან იზოლირებულად არ შეიძლება იქნეს განხილული (National Security Staregy, 2010). ზემოაღნიშნული ეროვნული ინტერესები ნამდვილად საფრთხის ქვეშ იდგა სირიაში მიმდინარე კონფლიქტის დროს. სირიაში აქტიურად იკიდებდა ფეხს რუსეთი და ირანი, ასევე ძლიერდებოდა ტერორისტული დაჯგუფებების გავლენა რეგიონში, რაც თავის მხრივ ასუსტებდა ამერიკის მოკავშირე სახელმწიფოების შესაძლებლობებს ახლო აღმოსავლეთში (ისრაელი, თურქეთი, იორდანია). ასევე, არსებობდა ექსტრემისტული დაჯგუფებების მიერ სირიაში ქიმიური იარაღის ხელში ჩაგდებისა და მისი გავრცელების საფრთხე. რაც შეეხება ფასეულობებს, სირიაში მნიშვნელოვნად ირღვეოდა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და რეჟიმის მხრიდან ხორციელდებოდა მოსახლეობის მასობრივი ხოცვა. ამ ყველაფერთან ერთად იზრდებოდა სირიაში მიმდინარე კონფლიქტის მეზობელ სახელმწიფოებში გადატანის საფრთხე, რასაც შეეძლო პირდაპირი ზიანი მიეყენებინა ახლო აღმოსავლეთში ამერიკის მოკავშირე სახელმწიფოების მიერ ენერგორესურსების წარმოებაზე, ტრანზიტული გზების განადგურებასა და ხელში ჩაგდებაზე (Jentleson, 2010). ამერიკის ზემოაღნიშნული ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ რისკის ქვეშ იდგა ამერიკის სახელმწიფო ინტერესები ახლო აღმოსავლეთსა და კერძოდ სირიაში. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ობამას ადმინისტრაციამ მაინც უარი განაცხადა სირიის კონფლიქტში ჩართვაზე.

ობამას თავშეკავების პოლიტიკა სირიაში, არ უნდა იქნეს მიჩნეული პრეზიდენტის პირად სისუსტედ, პირიქით, ის ზრუნავდა საკუთარ ავტორიტეტზე. ლიბია ბარაკ ობამასთვის ლაკმუსი აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ ამერიკის პრეზიდენტს პოპულარობა არ დაეკარგა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ობამამ უკანასკნელად მოსინჯა ნიადაგი ლიბიაში და ნახა რა 2011 წლის ინტერვენცია ფუჭი შედეგების მომტანი იქნებოდა, მსგავსი შეცდომა აღარ გაიმეორა სირიაში. პრეზიდენტი ჟურნალისტ გოლდბერგისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ პრეზიდენტობის მიწურულს ობამა კმაყოფილია საკუთარი პოლიტიკური მოღვაწეობით, მას სჯერა, რომ ამერიკის მიერ თავის არიდება ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პრობლემებისგან და ამის საპირისპიროდ სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონებთან ურთიერთობების დალაგება გამართლებული გადაწყვეტილება იყო პრეზიდენტის მხრიდან (The Atlantic 2016).

სირიაში ობამას ინტერვენციას შეეძლო საფრთხე შეექმნა პრეზიდენტის პოპულარობისათვის, მით უმეტეს თუ ან ნაბიჯს ამერიკა გაეროს რეზოლუციის გარეშე გადადგამდა ან შიდასახელმწიფოებრივ დონეზე კონსენსუსის მიღწევის გარეშე შევიდოდა სირიაში. ერთ-

ერთი ამერიკული ორგანიზაციის მიერ (Pew Research Center) ჩატარებული კვლევის შედეგების, საფუძველზე დასტურდება ბარაკ ობამას პოპულარობა ჯორჯ ბუშთან შედარებით ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ 2003-2015 წლებში.



გრაფა 1 წყარო: (Nunlist, 2016).

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ რვაწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევა უკვე მომხდარი მოვლენების დასწავლისა და გამოცდილების გაზიარების გზით პრეზიდენტ ობამას პიროვნებას, მის იდეებს და აღქმებს ტრანსფორმაცია განეცადა. საერთო ჯამში, ამერიკის პრეზიდენტი მაინც ბოლომდე იცავდა საკუთარ პრინციპებს საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით და ამასთანავე, ცდილობდა საკუთარი სტრატეგიული ხედვები და დამოკიდებულებები „ობამას დოქტრინაში“ ჩამოყალიბებულ საკითხებთან თანხვედრაში მოეყვანა. ქენანის ბირთვული შეკავების ან კისინჯერის შეკავების პოლიტიკის მსგავსი არაფერი შექმნილა ობამას ადმინისტრაციის პერიოდში ამერიკის საგარეო პოლიტიკურ ხედვებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ბევრის მოსაზრებით, ამერიკის საგარეო პოლიტიკაში „ობამას დოქტრინამ“ რევოლუციური გარდატეხა შეიტანა და ერთ დროს დაპირისპირებული მხარეები მეგობრებად, ხოლო ძველი მეგობრები მტრებად აქცია (Ikenberry, 2014).

შიდა სახელმწიფოებრივი ანალიზის დონე

აღნიშნულ თავში შესწავლილია ამერიკის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე არსებული ფაქტორები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ბარაკ ობამას ჩაურევლობის პოლიტიკაზე სირიაში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტ ობამას პიროვნული დამოკიდებულებების გარდა, მის არაინტერვენციულ პოლიტიკაზე სირიაში არანაკლებად იმოქმედა ეროვნულ დონეზე არსებულმა რამდენიმე მნიშვნელოვანმა ფაქტორმა, მაგალითად, კონგრესის რეზოლუციის არარსებობამ, სახალხო აზრის წინააღმდეგობამ და სამხედრო ოპერაციების ეკონომიკურმა და ფინანსურმა დანახარჯებმა.

პრეზიდენტი, კონგრესი და „პენსილვანია ავენიუს დიპლომატია“

პრეზიდენტისა და კონგრესის ურთიერთობების თეორიების კარგი ანალიზია წარმოდგენილი ბრუს ჯენტლესონის წიგნში „ამერიკის საგარეო პოლიტიკა - არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში“, რომელშიც ავტორი ყვება, რომ თეთრი სახლი და კაპიტოლიუმი, სადაც განთავსებულია ამერიკის კონგრესი, ერთმანეთისგან გამოიყოფა პენსილვანიის „ავენიუთი“, რომელიც, ამერიკის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს ერთმანეთთან აკავშირებს კიდევაც და თან ერთმანეთისგან გამოყოფს (Jentleson, 2010).

ამერიკის საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში როგორც კონგრესს, ასევე პრეზიდენტს განსაკუთრებული ფუნქცია აკისრიათ. კონგრესის ძალაუფლება მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა „ომის გამოცხადება“, „კომერციული ურთიერთობების დამყარება სხვა სახელმწიფოებთან“, „არმიის ჩამოყალიბება“, „კანონების შექმნა მთავრობისთვის, სახმელეთო და საზღვაო ძალებისთვის რეგულაციების შემუშავება“ (Masters 2017). რაც შეეხება პრეზიდენტს, ის მიჩნეულია ქვეყნის მთავარსარდლად, მას ასევე შეუძლია ხელი მოაწეროს ან ვეტო დაადოს კანონმდებლობას. ის თეთრ სახლთან და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსთან ერთად განსაზღვრავს და ახორციელებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, პრეზიდენტის უფლებამოსილებაა მოახდინოს ხელშეკრულებების რატიფიცირება და ელჩები დანიშნოს სენატის 2/3 თანხმობის საფუძველზე (Stevenson, 2013).

მიუხედავად უფლებამოსილებების მკვეთრი გამიჯვნისა, საინტერესოა თუ როგორ ხორციელდება რეალურ ცხოვრებაში კონსტიტუციაში გაწერილი კონგრეს-პრეზიდენტის ურთიერთობები (War Powers). დაარსების დღიდან აშშ-მ დაახლოებით ორასჯერ გამოიყენა სამხედრო ძალა, საიდანაც მხოლოდ ხუთი ომი, 1812 წლის ომი, მექსიკის ომი, ამერიკა-ესპანეთის ომი, I და II მსოფლიო ომები განხორციელდა კონგრესის მიერ გამოცემული დეკლარაციით. დარჩენილიდან დაახლოებით ოთხმოცდაათამდე ომი (მათ შორის 1991 წ. სპარსეთის ყურის ომი, 2001 წ. ავღანეთის ომი, 2003 წ. ერაყის ომი) გამოცხადდა სხვა შეზღუდული სახის საკანონმდებლო უფლებამოსილებით, სხვა დანარჩენ საომარ ვითარებაში კი პრეზიდენტს, კონგრესისგან დამოუკიდებლად, მოქმედების სრული თავისუფლება გააჩნდა (Jentleson 2010).

2013 წლის 21 აგვისტოს, სირიაში, დამასკოს გარეუბანში ასადის რეჟიმის მიერ გამოყენებული იყო ქიმიური იარაღი, ზარინის გაზი, რამაც ათასზე მეტი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ქიმიური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით საინტერესოა ამერიკის პრეზიდენტისა და კონგრესის რეაქციებზე დაკვირვება. ამერიკის პრეზიდენტისა და კონგრესის ურთიერთდაპირისპირება აშკარად გამოიკვეთა ქ. დამასკოში 2013 წელს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. შესაბამისად, ნაშრომში ამერიკის საკანონმდებლო ორგანოს წინააღმდეგობა ამერიკის 44-ე პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით მოყვანილია იმის საჩვენებლად, თუ რა მასშტაბით შეძლო ეროვნულ დონეზე არსებულმა ერთ-ერთმა შემაფერხებელმა ფაქტორმა, კონგრესის რეზოლუციის არარსებობამ, უარყოფითად ემოქმედა ობამას მცდელობაზე თუნდაც შეზღუდული მასშტაბის სამხედრო დარტყმები განეხორციელებინა ასადის რეჟიმზე.

31 აგვისტოს ბარაკ ობამა განცხადებას აკეთებს თეთრ სახლში, ვარდების ბაღში. პრეზიდენტის მხრიდან ასადის რეჟიმის დასასჯელად სირიაში სამხედრო შეტევის განხორციელებას ყველა ელოდა, თუმცა ამ დღეს პრეზიდენტის მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა ბევრი გააკვირვა. დაახლოებით ერთი წლის წინ თავად პრეზიდენტმა ობამამ გააფრთხილა ასადი, რომ თუ ეს უკანასკნელი ქიმიურ იარაღს გამოიყენებდა ეს იქნებოდა წითელი ხაზის დარღვევა, რომელსაც ამერიკის ადმინისტრაცია გადააბიჯებდა და პასუხს გასცემდა ასადის რეჟიმს სამხედრო მოქმედებების განხორციელებით სირიაში (National Public Radio 2013).

პრეზიდენტი ობამა ერაყისა და ავღანეთის გამოცდილების შემდეგ დარწმუნდა, რომ სხვა ქვეყანაში, თუნდაც შეზღუდული ძალებით, სამხედრო შეტევის დაწყებას მოსახლეობა მხარს არასდროს დაუჭერდა. ბარაკ ობამამ ხელისუფლებაში მოსვლიდან ოთხწელიწად-ნახევარი ომების დასრულებას შეალია და არა მათ ხელახლა დაწყებას. პრეზიდენტის აზრით, ასადის რეჟიმის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტზე პასუხი გასაცემი იყო მიზანმიმართული სამხედრო დარტყმების განხორციელებით, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა სამომავლოდ ქიმიური იარაღის გამოყენების მცდელობისაგან ასადის შეკავება, ასევე რეჟიმის დასუსტება და რაც მთავარია მსოფლიოს უნდა დაენახა რომ ამერიკა ვერასდროს იქნებოდა შემწყნარებელი ამ ტიპის დანაშაულებების ჩამდენების მისამართით (National Public Radio 2013).

NBC News მიერ ჩატარებული სახალხო აზრის გამოკითხვის შედეგად შეკითხვაზე - სირიაში სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე პრეზიდენტმა ობამამ უნდა მოითხოვოს თუ არა კონგრესის უფლებამოსილება - რესპონდენტთა 80%-მა დადებითი პასუხი გასცა (Kriner, 2014).

მართლაც საინტერესოა აიხსნას რის გამო მოხდა სახალხო აზრის ფორმირება ამ სახით? იყოს ეს 2011 წელს ლიბიაში განხორციელებული სამხედრო მოქმედებების შედეგი? ან რატომ ცდილობდა პრეზიდენტი კონგრესის თანხმობის მოპოვებას, როცა წინა პრეზიდენტების მოღვაწეობის პერიოდში მომხდარი მრავალი ათეული პრეცედენტიდან გამომდინარე მას თავისუფლად შეეძლო დამოუკიდებლად სირიაში სამხედრო შეტევის წამოწყება?

უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ბარაკ ობამამ უკან დაიხია და კონგრესის დაუკითხავად არ გადადგა ნაბიჯები ასადის რეჟიმზე სამხედრო დარტყმების მისაყენებლად, იყო მოლოდინი და შიში იმისა, რომ სირიაში ასადის რეჟიმის მისამართით განხორციელებული, თუმდაც ლიმიტირებული მასშტაბების მოქმედებები, წარმატებით არ დასრულდებოდა და ის კიდევ უფრო მასშტაბურ ინტერვენციაში გადაიზრდებოდა. სავარაუდოა, რომ ობამას არ ჰქონდა სირიიდან უკან გამოსვლის სტრატეგია შემუშავებული, ის არ იყო თავის თავში დარწმუნებული და ამ შემთხვევაში თუ პოლიტიკური პასუხისმგებლობების გადანაწილება საკანონმდებლო შტოზეც მოხდებოდა, სირიაში წარუმატებელი შედეგების დადგომის შემთხვევაში საზოგადოების კრიტიკის ობიექტი მხოლოდ პრეზიდენტი აღარ იქნებოდა (The Atlantic 2013).

როგორც ცნობილია, პრეზიდენტს სრული უფლებამოსილება გააჩნია დაიცვას ქვეყანა პირდაპირი შემოტევისაგან, მაგრამ როდესაც ქვეყანა თავდასხმითი სახის შეტევებს ახორციელებს არ არსებობს შეჯერებული კონსენსუსი კონგრესის მიერ სანქცირებული ნებართვის საჭიროებასთან დაკავშირებით (The Atlantic 2013).

აქედან გამომდინარე, საერთაშორისო საზოგადოება დადგა შემდეგი რეალობის წინაშე. ორი კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში - ლიბია (2011), სირია (2013), მათგან არცერთ შემთხვევაში ამერიკის მხრიდან არ ყოფილა კონგრესის რეზოლუცია მიღებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლიბიაში გადაწყვიტა ბარაკ ობამამ სამხედრო ინტერვენცია, ხოლო სირიაში პრეზიდენტმა თავი შეიკავა მსგავსი ქმედების განხორციელებისგან. დასკვნა და ახსნა ამ შემთხვევების მიმართ შემდეგი შეიძლება იყოს: მიუხედავად იმისა, რომ ლიბიაში ინტერვენციას საერთაშორისო მხარდაჭერა და ლეგიტიმურობა ახლდა თან რაც არ მიესადაგება 2013 წელს სირიაში ამერიკის მხრიდან დაგეგმილ ოპერაციას ამიტომ, პირველ რიგში, მაინც ლიბიის ინტერვენციიდან მიღებული უარყოფითი რეზონანსი ამერიკაში, შემდეგ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და საკანონმდებლო ორგანოებს შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო ის წყალგამყოფი ხაზი, რამაც ბარაკ ობამას სირიაში ჩაურევლობა გადააწყვეტინა.

სახალხო აზრი

ამერიკის ერთ-ერთი სენატორის სიტყვების მიხედვით, პოლიტიკურ მოვლენებში კონგრესის ჩართულობა მხოლოდ მშრალი კონსტიტუციური პრინციპის დაცვას როდი ნიშნავს. კონგრესში დებატების გამართვითა და დისკუსიით მოსახლეობის ცნობიერება მაღლდება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან დაკავშირებით. ამასთანავე, აუცილებელია ამომრჩეველი მუდმივ რეჟიმში იყოს ინფორმირებული მოსალოდნელი კონფლიქტის შესახებ (Kronlund, 2015). სწორედ ამ პრინციპების გამო არიან ისინი ხალხის მმართველობაზე დამყარებული რეჟიმები, სადაც სახალხო განწყობები და შეხედულებები დიდ როლს თამაშობს პოლიტიკური დღის წესრიგის განსაზღვრაში.

სახალხო აზრს არაპირდაპირი გზით შეუძლია გავლენა მოახდინოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებებსა და მის პოლიტიკურ აზროვნებაზე. სახალხო აზრი საპრეზიდენტო არჩევნებისა და კონგრესის წევრთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ზემოქმედებას ახდენს პრეზიდენტის პოლიტიკურ კურსსა და პროგრამაზე (Dieck, 2014). როგორც 2013 წელს სირიაში ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შემთხვევამ აჩვენა, პრეზიდენტი ობამა რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან მოსალოდნელი შეზღუდული მასშტაბების სამხედრო ინტერვენციას სირიაში თანხმობა არ გამოუცხადა ქვეყნის კონგრესმა, რომლის უკანაც ამერიკელი ამომრჩეველი იდგა. ამერიკის მოსახლეობა უარყოფითად განწყობილი აღმოჩნდა ინტერვენციის მიმართ და კონგრესთან ერთად ცალსახად ეწინააღმდეგებოდა კიდევ ერთი კონფლიქტის მხარედ გახდომას ახლო აღმოსავლეთში.

საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება სირიაში ინტერვენციასთან დაკავშირებით გამოჩნდა ისეთი გავლენიანი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სახალხო აზრის გამოკითხვებში, როგორებიცაა „Gallup“, „The Washington Post“, „The CNN/ORC“. რესპონდენტებისთვის დასმული შეკითხვებიდან ირკვევა, რომ სახალხო აზრი იყო ერთ-ერთი აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი ფაქტორი პრეზიდენტ ობამას ჩაურევლობის პოლიტიკისა სირიის კონფლიქტში.

2013 წლის 3 სექტემბერს „The Washington Post-ის“ მიერ დასმულ შეკითხვაზე - „იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სირიის მთავრობამ ქიმიური იარაღი გამოიყენა სამოქალაქო ომში საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ, ემხრობით თუ არა ამერიკის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას სამხედრო შეტევა განახორციელოს სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ? ამომრჩეველთა 59%-მა უარყოფითი, ხოლო 36%-მა დადებითი პასუხი დააფიქსირა, დანარჩენმა თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან (Clement, 2013).

საინტერესო მონაცემები არსებობს, ასევე, “Gallup-ის“ მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში. რესპონდენტებისთვის დასმულ შეკითხვებზე: - „სირიაში მიმდინარე მოვლენებში საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მონაწილეობის შემთხვევაში დაუჭერდით თუ არა მხარს ამერიკის და მისი მოკავშირეების ერთობლივ სამხედრო ინტერვენციას ასადის რეჟიმის წინააღმდეგ.“ აღნიშნულ შეკითხვაზე 51%-მა უარყოფითი, ხოლო 43%-მა დადებითი პასუხი გასცა, დანარჩენმა თავი შეიკავა აზრის დაფიქსირებისაგან. ხოლო მეორე შეკითხვაზე - „ემხრობით თუ ეწინააღმდეგებით ამერიკისა და მისი მოკავშირე ქვეყნების მიერ სირიელი აჯანყებულებისთვის იარაღის მიწოდებას“ – 70% უარყოფითი პასუხი დააფიქსირა (Swift, 2013).

CNN/ORC-ის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში შეკითხვაზე - „დაუჭერთ თუ არა მხარს ამერიკის მიერ სირიაში საჰაერო იერიშის განხორციელებას, თუ იერიშის განხორციელებასთან დაკავშირებით კონგრესი რეზოლუციას გამოსცემს“ - რესპონდენტთა 53% უარყოფითი, 43% დადებითი პასუხი გასცა, დანარჩენმა თავი შეიკავა აზრის დაფიქსირებისაგან (Swift 2013)

სახალხო აზრის გამოკითხვების მეშვეობით სირიასა და ლიბიას შორის კარგ შედარებას გვთავაზობს CNN/ORC-ის მიერ დასმული შეკითხვა - „სირიაში ამერიკის ინტერვენცია წარმოადგენს თუ არა ამერიკის ეროვნულ ინტერესს“ - რაზეც ინტერვიუერთა 69%-მა უარი განაცხადა. მსგავსი შინაარსის შეკითხვა იქნა დასმული 2011 წლის მარტში ლიბიის კონფლიქტში ამერიკის ჩართულობასთან დაკავშირებით, სადაც შედარებით დაბალმა, თუმცა მაინც უმრავლესობამ, 55%-მა აღნიშნა, რომ ლიბიის კონფლიქტში ამერიკის ჩართულობა ქვეყნის ეროვნულ ინტერესს არ წარმოადგენდა (Swift 2013).

საინტერესოა იმის გარკვევაც, ხომ არ იყო ამერიკელი მოსახლეობა იმედგაცრუებული პრეზიდენტ ობამას მისამართით. 2002 და 2003 წლებში პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უმცროსი ამერიკელ ხალხს და კონგრესს არწმუნებდა, რომ ერაყში ინტერვენცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო იქ არსებული ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის განადგურების მიზნით. როგორც განხორციელებული ინტერვენციის შემდეგ დადასტურდა, ერაყში საერთოდ ვერ იპოვეს მასობრივი განადგურების იარაღი, რის გამოც თითქოს უსაფუძვლო გამოდგა პრეზიდენტ ბუშის არგუმენტები ერაყში სამხედრო ინტერვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით (Tiefer, Clark, 2016). ამ ყველაფრიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ერთხელ მოტყუებული და შეცდომაში შეყვანილი საზოგადოება მეორედ აღარ ენდობოდა ბრმად მოქმედ ხელისუფლებას და ეჭვის ქვეშ დააყენებდა ამერიკისათვის ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების საფრთხის შემცველობას. საზოგადოების თვალში, ბარაკ ობამას მხრიდან გამოთქმული მოსაზრება, რომ ქიმიური იარაღის გამოყენების გამო ლეგიტიმური იყო სირიაში ინტერვენცია, მოწონებას ვეღარ დაიმსახურებდა და ხალხიც

უარყოფითად შეხვდებოდა პრეზიდენტის ინიციატივას სამხედრო მოქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებით, მით უმეტეს საერთაშორისო საზოგადოებისა და გაეროს რეზოლუციის არარსებობის პირობებში.

ეკონომიკური და ფინანსური დანახარჯები

მოცემული ქვეთავი შეეხება ამერიკის ეკონომიკური დანახარჯების მიმოხილვას, რამაც სერიოზული გავლენა იქონია პრეზიდენტ ობამას არაინტერვენციულ პოლიტიკაზე სირიაში. წინა სამხედრო ოპერაციებიდან მიღებული ეკონომიკური ზარალიდან გამომდინარე შეიზღუდა სირიაში ბარაკ ობამას შესაძლო ინტერვენციის მასშტაბები და ფორმები.

პრეზიდენტ ობამას ხელისუფლებაში მოსვლა მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ კრიზისს დაემთხვა. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა დიდი დარტყმა მიაყენა აშშ-ის ეკონომიკასაც, წარმოებას, ინვესტიციების მოზიდვას. ამ ყველაფრის ფონზე გაიზარდა უმუშევრობის დონე ქვეყანაში. ნიშნულმა 2009 წლისთვის 10,1% მიაღწია, მაშინ როცა უმუშევრობა 2007 წლისათვის 4,6 %-ს უტოლდებოდა (Labonte, 2010).

ამერიკაში ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესების პარალელურად კიდევ უფრო ბუნდოვანი და ხარჯიანი ხდებოდა საზოგადოების და რიგი პოლიტიკოსების თვალში ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე ამერიკის სამხედრო ოპერაციები. ჰარვარდის კენედის სკოლის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, ერაყსა და ავღანეთში 2013 წლამდე მიმდინარე ოპერაციების დანახარჯი 4-დან 6 მილიარდამდე ამერიკულ დოლარდს შეადგენდა. ეს თანხა მოიცავდა ეკონომიკურ-სოციალურ დანახარჯებს, სამედიცინო დახმარებას, აღჭურვილობის გაუმჯობესებას და ვეტერანთა, ომისგან დაზარალებულთა მხარდაჭერას. ამას გარდა, დაახლოებით 6,700 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე შეეწირა და 51,000 დაშავდა აღნიშნულ ომებში (Bilmes, 2013).

2012 წელს გამოცემულ ამერიკის თავდაცვის სტრატეგიულ სახელმძღვანელოში, (Defense Startegic Guidance) პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამერიკა აღარ გააგრძელებდა ფართომასშტაბიან სტაბილურობის ოპერაციებს, რასაც ერაყსა და ავღანეთში აქამდე ახორციელებდა. ამერიკის ეროვნული ინტერესების უზრუნველსაყოფად მასიური სამხედრო ძალის გამოყენების ნაცვლად ამერიკა ჩაერთვებოდა მცირემასშტაბიან, სპეციალიზებულ სამხედრო ოპერაციებში, რაც მიმართული იყო მხოლოდ ქვეყნის ფარგლებს გარეთ საჰაერო იერიშის განხორციელებასა და ადგილობრივი შეიარაღებული ძალების მხარდაჭერაში (Defense Strategic Guidance 2012).

2013 წელს სირიაში ამერიკის შესაძლო ინტერვენციის შესახებ კონგრესში წამოჭრილი დებატებისას კვლავ გრძელდებოდა სკეპტიციზმი სირიის ომში ამერიკის ჩართულობასთან დაკავშირებით. კონგრესის წევრები პრეზიდენტს მოუწოდებდნენ ემოქმედა „ობამას დოქტრინაში“ წარმოდგენილი პრინციპების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტს მთელი რესურსები ეროვნულ დონეზე წამოჭრილი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისაკენ უნდა მიემართა.

ამდენად, ინტერვენციის ფინანსური დანახარჯები იყო ის ერთ-ერთი ფაქტორი, რის გამოც ობამას ადმინისტრაციამ შედარებით ნაკლებხარჯიანი მოქმედებების განხორციელებას მიანიჭა უპირატესობა სირიაში, როგორიც იყო საჰაერო იერიშის მიტანა და ოპოზიციური ძალების მხარდაჭერა წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში (Blanchard, Humud, Nikitin, 2015). ფინანსურ ხარჯებს სირიაში, წინა ინტერვენციებისაგან განსხვავებით ზრდიდა ის ფაქტი, რომ სირიის ომს რეგიონზე მეტი გავლენა გააჩნდა და მასში ჩართული იყვნენ რეგიონის სხვა მოთამაშეები, რუსეთი და ირანი. აქედან გამომდინარე, ობამამ აღარ გარისკა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ასადის ჩამოგდებით ამერიკის მმართველი პოლიტიკური წრეები ერაყისა და ავღანეთის მსგავს (თუ არა უარესს) ვითარებას შექმნიდნენ ახლო აღმოსავლეთში. ფაქტია, ეკონომიკურმა ხარჯებმა განსაზღვრა სირიაში ინტერვენციის ფორმა და საშუალებები. ავღანეთისა და ერაყის ინტერვენციების „ღირებულებამ“ დიდი გავლენა იქონია სირიის მიმართ ობამას ადმინისტრაციის აღქმებზე ფინანსური თვალსაზრისით.

დასკვნა

სტატიის მიზანს წარმოადგენდა ამერიკის 44-ე პრეზიდენტის, ბარაკ ობამას, პოლიტიკური დამოკიდებულების შესწავლა სირიის შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით. უფრო კონკრეტულად კი კვლევის ობიექტად შერჩეული იყო ასადის მიერ 2013 წელს დამასკოს გარეუბანში მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენების შემთხვევაზე ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის რეაქცია. სირიის მოქმედმა ხელისუფლებამ ჩადენილი ქმედებით, ფაქტობრივად, დაარღვია პრეზიდენტ ობამას მიერ გავლებული „წითელი ხაზი“ და შეიწირა ასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე.

ნაშრომზე მუშაობის დროს ანალიზის ორ დონეზე (პიროვნული და შიდასახელმწიფოებრივი) მოხდა სირიაში ინტერვენციასთან დაკავშირებით ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკაზე დაკვირვება. ამის შედეგად გამოვლინდა, რომ სირიის კონფლიქტის მიმართ ობამას არაინტერვენციული პოლიტიკის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი თავად პრეზიდენტის პირადმა აღქმებმა და ეროვნულმა კონტექსტმა ითამაშა. ნაშრომის უმთავრეს სიახლესაც სწორედ ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიის ანალიზის ორი დონის მეშვეობით სირიაში განხორციელებული ინტერვენციის შესწავლა წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, დასკვნაში მცირე დოზით ხაზი უნდა გაესვას საგარეო კონტექსტში გაეროს, როგორც საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ სირიაში ინტერვენციის დაწყების სამართლებრივ მიუღებლობას, რამაც გარკვეული სახით გავლენა იქონია პრეზიდენტის პირადი რწმენებისა და შეხედულებების შემდგომ ფორმირებაზე.

ამას გარდა, ლიბიაში ამერიკის ინტერვენცია აღმოჩნდა კარგი გაკვეთილი პრეზიდენტ ობამასთვის აღარ განეხორციელებინა სამხედრო მოქმედებები სირიაში. რომ არ ყოფილიყო ლიბიის ომი, დიდი ალბათობით, პრეზიდენტი არ მოერიდებოდა სირიაში ინტერვენციას. ლიბიის ოპერაციამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა პრეზიდენტ ობამას პირადი შეხედულებების ტრანსფორმაციაში, რადგან ლიბიაში განხორციელებული ინტერვენციის არაეფექტურობამ შეაცვლევინა პრეზიდენტ ობამას დაპირება და საჯაროდ კონგრესის რეზოლუციას კი ითხოვა სირიაში სამხედრო ძალის გადასროლისათვის. როგორც დადგინდა, პირველ რიგში, პრეზიდენტი ობამა დასწავლის მეთოდით მხედველობაში იღებდა წარსულში

მომხდარ გამოცდილებებს და ფაქტებს, ამიტომ მან აღარ გაიმეორა იგივე შეცდომა, რაც რამდენიმე წლის წინ ლიბიაში დაუშვა. მეორე, პრეზიდენტი ობამა განეკუთვნებოდა ისეთი ლიდერების რიგს, რომლებიც ერიდებოდნენ რისკიანი და ხისტი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას და უპირატესობას მულტილატერალური მიდგომებით მიზნის მიღწევას ანიჭებდნენ.

რაც შეეხება შიდასახელმწიფოებრივ დონეზე არსებულ კიდევ ორ ფაქტორს, სახალხო აზრის წინააღმდეგობასა და წინა სამხედრო ოპერაციებიდან გამოწვეულ ფინანსურ-ეკონომიკურ დანახარჯებს, მათაც შემაფერხებელი ფუნქცია შეასრულეს სირიაში ახალი ინტერვენციის დასაწყებად. პრეზიდენტი ობამა მოწყვლადი აღმოჩნდა სახალხო განწყობების და სირიაში ახალი ინტერვენციის მიმართ საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულებისადმი, რაც წინამდებარე თავში მოყვანილმა გამოკითხვების შედეგებმაც ცხადყო. როგორც აღმოჩნდა, ამერიკელი მოსახლეობის უმრავლესობა სირიაში ინტერვენციას ქვეყნის ეროვნულ ინტერესთა რიგებში არ განიხილავდა. ჯორჯ ბუშთან შედარებით, რომელმაც ერაყისა და ავღანეთის ოპერაციებს დაუდო დასაბამი და ამით დიდი ფინანსური დანაკლისი მიაყენა ამერიკის სახელმწიფო ბიუჯეტსაც. პრეზიდენტი ობამა პოპულარობის შენარჩუნებისა და მოსალოდნელი საფრთხის თავიდან არიდების მიზნით ამბობდა უარს ლიბიის შემდგომ სირიაში ახალი, კიდევ უფრო კომპლექსური, ოპერაციის დაწყებაზე, სადაც ჩართულ მხარეებად ისეთი გლობალური მოთამაშეები მოგვევლინებოდნენ, როგორებიც რუსეთის ფედერაცია და ირანის ისლამური რესპუბლიკა იყო.

ბიბლიოგრაფია

Barakat K. (2016, April 14), Obama`s Foreign Policy Failure: From Libya to Syria, The new Arab;

Bennett A. George A. L. (1997, October), Process tracing in case study research, MacArthur Foundation Workshop on Case Study Methods, October;

Bilmes, L. J. (2013, March), The Financial Legacy of Iraq and Afghanistan: How Wartime Spending Decisions Will Constrain Future National Security Budgets. HKS Faculty Research Working Paper Series RWP13-006;

Blanchard C. M. Humud C. E. , Nikit
in M. B. (April 18, 2018), Armed Conflict in Syria: Overview and U.S. Response, Congressional Research Service Report;

Buckley C. A. (summer 2012), learning from Libya, Acting in Syria, Journal of strategic security, N 2, volume 5, article 10, 81-104;

Clement S. (September 3, 2013), Most In US oppose Syria Strike, Post-ABC poll finds, *The Washington Post*,

Collier D. (2011), Understanding Process tracing, *Political Science and Politics* 44, #4, 823-830;

Defense Strategic Guidance, Department of defence, USA, (January 2012), Sustaining US Global leadership: Priorities for 21st Century Defence, The White House, Washington;

Dieck H. (28 January, 2014), SciencesPo, Centre de Recherches Internationales, *The United States and the Syrian crisis: The Influence of Public Opinion on the Non-Intervention Policy*;

Goldberg J. (April, 2016), The Obama Doctrine, *The Atlantic*;

Ikenberry J. G. (April 8, 2014), Obama`s Pragmatic Internationalism, *The American Interest*, Volume 9, Number 5;

Jentleson B. W. (2010), American Foreign Policy – The dynamics of Choice in the 21st Century, 4th ed. Fifth Avenue, New York, N.Y., W.W. Norton & Company;

Kriner D. L. (June, 2014), Obama`s Authorization Paradox: Syria and Congress`s Continued Relevance in Military Affairs, Center for the study of the Presicency, *Presidential Studies Quarterly* 44, no. 2, 309-327;

Kronlund A. (February, 2015), The US Congress and Decision-Making on War, DEBATES ON WAR POWERS IN THE SEPARATION OF POWERS SYSTEM, The Finish Institute on International Affairs;

Kuperman A.J. (March/April 2015), Obama`s Lybia Debacle, howa a well-meaning intervention ended in Failure, The Foregn Affairs

Labonte M. (October 11, 2009), U.S. Economy in Recession: Similarities To and Differences From the Past, Congressional Research Service, Cornell University ILR School;

Lofflmann G., 2015, leading from behind – American exceptionalism and president Obama`s Post-American vision of hegemony, Geopolitics, 308-332, 314

Nunlist C. (March, 2016), The legacy of Obama`s foreign policy, Center for security studies, #188, 1-4;

Obama B. H. (December 10, 2009), The Nobel Peace Prize;

Obama B.H. (June 4, 2009), *Barack Obama's speech at Cairo University: Full text,* The Telegraph,

Obama B.H. (August 31, 2013), Read And Listen: President Obama Turns To Congress On Syria, National Public Radio,

Resi P. (August 31, 2013), Obama Says He Does not Need Congress`; Permission

to Strike Syria, So Why is He Asking for It?, The Atlantic, Ryan L. (May 2, 2011), *The Consequentialist*, The New Yorker,

Rosi G. (October, 1998), Neoclassical Realism and Theories of Foreign Policy, World Politics, Vol. 51, No. 1, 144-172;

Sawani Y. (December 27, 2014), *The United States and Libya: Turbulent History and Uncertain Future,* e-international relations,

Stevenson C. A. 2013, *America `s Foreign Policy Toolkit, Key Institutions and Processes*, SAGE publication, Library of Congress;

Swift A. (September 13, 2013) Americans Evenly Divided on Russia's Plan for Syria, Gallup

The White House, (May, 2010), National Security Staregy,Washington;

Tiefer C. Clark K. (Fall 2016), Congressional and Presidential War Powers as a dialogue: Analysis of the Syrian and ISIS conflicts, *Cornell International Law Journal*, Vol 49, Issue 3, Article 4, 683-722;

Yin Robert K.. (2014). Case Study Research Design and Methods (5th ed.), Thousand Oaks, CA: Sage.

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი, №7, დეკემბერი, 2018

Journal of Young Researchers, No. 7, December, 2018

კავშირი საცხოვრებელი ადგილის სიმჭიდროვესა და დასწავლილ უუნარობას შორის

თეონა ლოდია *
ასისტენტ-პროფესორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიამ ლეკვეიშვილი*
მაგისტრანტი, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამა
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს დასწავლილ უუნარობას, მიღწევის მოტივაციასა და დეპრესიას შორის კავშირის კვლევას და აღნიშნულ ცვლადებზე მაღალ საცხოვრებელ სიმჭიდროვეში ცხოვრების გავლენის შესწავლას. დეპრესიის (Center for Epidemiologic Studies Depression Scale Revised (CESD-R- 10, 2004), მიღწევის მოტივაციისა (The Freiburg Personality Inventory) და დასწავლილი უუნარობის (Learned Helplessness Scale, Quinless and Nelson, 1988) კითხვარების მეშვეობით კვლევა ჩატარდა 18-25 წლის 170 ახალგაზრდის მონაწილეობით, რომელთაგან 86 - გოგო, ხოლო 84 ბიჭი იყო. გამოვლინდა ზომიერი უარყოფითი კორელაცია დასწავლილ უუნარობასა და მიღწევის მოტივაციას შორის ($r = - .429$; $p<0.001$); საშუალო დადებითი კორელაცია დასწავლილ უუნარობასა და დეპრესიას შორის ($r = .56$; $p<0.001$) და საშუალო უარყოფითი კორელაცია მიღწევის მოტივაციასა და დეპრესიას შორის ($r = - .452$; $p<0.001$). კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ახალგაზრდებს, რომლებიც ადრეული ასაკიდან იზიარებენ საძინებელს ერთზე მეტ ადამიანთან, დასწავლილი უუნარობისა და დეპრესიის სკალაზე სტატისტიკურად უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ, ვიდრე საკუთარი ოთახის მქონე თანატოლებს, მიღწევის მოტივაციის მაჩვენებელი კი დაბალი აქვთ. შედეგები მსგავსი იყო ორივე სქესისთვის.

საკვანძო სიტყვები: *დასწავლილი უუნარობა, დეპრესიული სიმპტომები, მიღწევის მოტივაცია, საცხოვრებელი სიმჭიდროვე, გადატვირთვის ეფექტი.*

Abstract

This research aims to draw a correlation between helplessness, depression, motivation for success and residential crowding by analyzing data from three questionnaires: The Center for Epidemiologic Studies Depression Scare revised (CESD-R-10, 2004), The Freiburg Personality Inventory and the Learned Helplessness Scale (LHS: Quinless & Nelson, 1998). The Research was conducted on 170 young adults between ages 18 and 25, 86 girls and 84 boys.

Analysis of these questionnaires concluded that there is a moderate negative correlation between learned helplessness and motivation for success ($r =-.429$; $p<0.001$), a moderate positive correlation between learned helplessness and depression ($r = .56$; $p<0.001$), and a moderate negative correlation between motivation for success and depression ($r =- .452$; $p<0.001$).

This research proves that you can draw a correlation between learned helplessness and depression among young adults who were exposed to high residential crowding i.e. sharing a bedroom with more than one person since early childhood. Statistically, those who were sharing a bedroom with more than one person performed worse; they had developed learned helplessness, were

*ელფოსტა: teona.lodia@tsu.ge; Mariam.lekveishvili@gmail.com

high on the depression scale and had low motivation for success; comparatively, those who were not sharing a bedroom demonstrated lower learned helplessness, were lower on the depression scale and had higher motivation for success. The analysis exhibited resembling results for both genders.

***Keywords**: residential crowding, symptoms of depression, motivation for success, learned helplessness, crowding effect*

შესავალი

საცხოვრებელი სიმჭიდროვისა და გადატვირთვის ეფექტის კვლევები ორ ნაწილად იყოფა - პირველი გულისხმობს საცხოვრებელი სიმჭიდროვის მაჩვენებლის ხელოვნურ ზრდასა და ამ ცვლილებებით გამოწვეული ეფექტის აღწერას; მეორე შემთხვევაში ცდისპირებს ბუნებრივ გარემოში აკვირდებიან. ქვემოთ განხილული კვლევა მეორე ჯგუფს მიეკუთვნება და მიზნად ისახავს, იკვლიოს აქვს თუ არა მაღალ სიმჭიდროვეში ცხოვრებას გავლენა დასწავლილი უუნარობის ჩამოყალიბებაზე და გადატვირთვასთან დაკავშირებული სხვა ეფექტების - დეპრესიული სიმპტომებისა და მიღწევის დაბალი მოტივაციის - გამოვლენაზე; დაადგინოს თუ რომელი სქესის წარმომადგენლები არიან უფრო მგრძნობიარეები მსგავსი პირობების მიმართ და სხვა.

საცხოვრებელი სიმჭიდროვის კვლევა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული გადატვირთვის ეფექტთან. ნებისმიერ სიტუაციაში, სასურველი მიზნის მისაღწევად, ადამიანს უწევს, საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში, მართოს გარემო. სივრცის გადატვირთვასთან ერთად კი რესურსები იკლებს. ერთი ადამიანის მიზნები შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს მეორისას, რაც კონფლიქტის საფუძველს ქმნის. ხშირდება შემაკავებელი ქცევაც, ყოველივე ეს კი დისკომფორტისა და სტრესის გამომწვევია (Epstein, 2010). შესაბამისად, გადატვირთვის ეფექტის ქვეშ ვგულისხმობთ სტრესითა და ფრუსტრაციით გამოწვეულ განსხვავებულ შედეგებს, რომლებიც აისახება კოგნიტურ, ქცევით, და ემოციურ სფეროებზე. აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელ სიმჭიდროვესა და უშუალოდ დასწავლილ უუნარობას, მოტივაციასა და დეპრესიას შორის მიმართების შესახებ ბევრი კვლევა არ ჩატარებულა, შესაბამისად, ჩვენი კვლევა ამ მიმართულებით დანაკლისის შევსების მცდელობად შეიძლება განვიხილოთ.

ლიტერატურის მიმოხილვა

სოციალური სიმჭიდროვის კვლევის მხრივ, ყველაზე პროდუქტიული პერიოდი მეოცე საუკუნის 70-იანი წლებია, როდესაც ამ თემატიკის ირგვლივ ორასზე მეტი კვლევა ჩატარდა. ალტმანის დაკვირვებით, მაცხოვრებლების რაოდენობის ზრდა პირდაპირ გავლენას ახდენდა სტრესზე. პირადი სივრცის ნაკლებობით გამოწვეულ გაღიზიანებას იგი ხსნიდა არასასურველი სოციალური ინტერაქციის საჭიროებით. ალტმანმა აღნიშნა, რომ მარტივი ყოფითი აქტივობებიც კი (ჭამა, აბაზანის გამოყენება, ძილი და სხვ.) შესაძლოა ფრუსტრაციის განმაპირობებელ ფაქტორად იქცეს, როცა ინდივიდს უწევს მათი სხვა ადამიანების საჭიროებებთან შეთანხმება და კონტროლი (Gray, 2001). სახლი არის ადგილი, სადაც ბავშვები ითვისებენ სოციალიზაციისთვის აუცილებელ ბაზისურ მოდელებს, უვითარდებათ სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი უნარები, გადატვირთულმა გარემომ კი, შესაძლოა, ამ პროცესზე ნეგატიური გავლენა იქონიოს. იმის გათვალისწინებით, რომ უუნარობის განცდა ყალიბდება განმეორებითად ისეთ გარემოში ყოფნით, რომელშიც ინდივიდი გამუდმებით განიცდის ფრუსტრაციას და სასურველ შედეგს ვერ იღებს.

ამ საკითხს უკავშირდება ევანსის მიერ ჩატარებული კვლევა (Evans et al. 1998), რომლის მიხედვითაც, გამოიკვეთა, რომ ბავშვებს, რომელთაც მაღალ საცხოვრებელ სიმჭიდროვეში უწევთ ცხოვრება, აქვთ დაბალი აკადემიური მოსწრება, არიან უფრო კონფლიქტურები, აქვთ ნაკლებად მხარდამჭერი ურთიერთობა მშობლებთან და ხშირად აღენიშნებათ ქცევითი პრობლემები სკოლაში საკონტროლო ჯგუფებთან შედარებით. კვლევის შედეგად, ასევე აღმოჩნდა, რომ გოგონები მეტად ავლენდნენ დასწავლილ უუნარობას, რაც შესაძლოა, უკავშირდებოდეს იმ ფსიქოფიზიოლოგიურ რეაქციებს, რომელთა საშუალებითაც გოგონები ცდილობენ სტრესულ სიტუაციებთან გამკლავებას. ის ფაქტი კი, რომ გოგონებს ნაკლებად ჰქონდათ პოზიტიური მოლოდინი რთული დავალების შესრულებისას, გარკვეულწილად კულტურის გავლენად შეიძლება ჩაითვალოს. როგორც წესი, ქალის როლი ზოგ კულტურაში პასიურია, გოგონებს აჩვევენ მორჩილებას, მათგან ნაკლებად ელიან ინიციატივს გამოხატვასა და აქტიურობას.

როგორც აღვნიშნეთ, გადატვირთვის ეფექტი აიხსნება არასასურველი სოციალური ინტერაქციით, საკუთარი ოთახი კი ის ადგილია, სადაც ადამიანი საკუთარ ინტერესებს თავისუფლად გამოხატავს, აქვს კონტროლი გარემოზე და მეტი პიროვნული სივრცე. ამ მიზეზის გამო, ,,საძინებლის სტანდარტი“ სიმჭიდროვის ყველაზე ხშირად გამოყენებული საზომია. ნორმების განსაზღვრის მხრივ, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მდგომარეობაა. მაგალითისთვის, კანადაში ნორმად ითვლება შემთხვევები, როცა ხუთ წლამდე ასაკის განსხვავებული სქესის ბავშვები საძინებელ ოთახს იზიარებენ, ერთი სქესის წარმომადგენელთათვის ეს ზღვარი 17 წლამდე იწევს (Gray, 2001). გადატვირთვის ეფექტებზე საუბრისას ჰარკერიც (Harker, 2006) იყენებს ე.წ. ,,საძინებლის სტანდარტს“. ჰარკერისთვის გადატვირთულია სახლი, რომელშიც 10 წელზე უფროს განსხვავებული სქესის ბავშვებს უწევთ საძინებელი ოთახის გაზიარება. გადატვირთულად ჩაითვლება ისეთი სახლიც, რომელშიც სამზარეულოს ან მისაღებ ოთახს საძინებლის დანიშნულება აქვს.

სხვადასხვა ქვეყანას გადატვირთვის განსაზღვრისთვის განსხვავებული კრიტერიუმი აქვს. მაგალითისათვის, ახალი ზელანდიის განსახლების სამინისტროს მიხედვით, სახლი ითვლება „მნიშვნელოვნად გადატვირთულად“ თუ თითოეულ საძინებელს სამზე მეტი ადამიანი იზიარებს, ინგლისისთვის - ოთახში სიმჭიდროვის მაჩვენებელი 1.5 ადამიანს უნდა აღემატებოდეს.

სოციალური სიმჭიდროვის გადატვირთვად აღქმა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოციალური ინტერაქციის მრავალ ასპექტზე. ისეთ გარემოში, რომელშიც ადამიანებს აქვთ დამხმარე, მხარდამჭერი და პოზიტიური ურთიერთობა, მაღალი სიმჭიდროვის პირობებშიც კი მისი თანმხლები ნეგატიური სიმპტომები მცირე ან დასაშვები დოზით არის ხოლმე გამოხატული (Nagar, 1997). ვფიქრობ, ამით შეიძლება ავხსნათ შემთხვევები, როცა დედმამიშვილების მიერ ოთახის გაზიარების შემთხვევაში გადატვირთვის ეფექტი არ ვლინდება ისე ხშირად, როგორც ეს სხვა შემთხვევაში ხდება. თუმცა, თავს ვერ დავიზღვევთ ავტონომიურობის დაბალი განვითარების საშიშროებისგან. ეგვიპტეში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ბავშვებს, რომლებიც ოთახს დედმამიშვილთან იზიარებენ, უფრო ხშირად აღენიშნებათ ძილის დარღვევა, ვიდრე დანარჩენ ბავშვებს. ისინი უფრო გვიან იძინებენ და ნაკლები დროს განმავლობაში სძინავთ. ძილის პრობლემები

კი უშუალო კავშირშია კოგნიტურ, სოციალურ და აკადემიურ სირთულებებთან (Worthman, 2007).

წარმოდგენილი კვლევის ძირითადი მიზანი იყო დაედგინა თუ რა მიმართებაა მაღალ საცხოვრებელ სიმჭიროვესა და დასწავლილ უუნარობას შორის. ეკვლია აქვს თუ არა მაღალ საცხოვრებელ სიმჭიდროვეს გავლენა დეპრესიული სიმპტომების გამოვლენასა და მიღწევის მოტივაციაზე. სხვადასხვა კვლევის გაცნობის შემდეგ, შესაძლოა, წარმოვადგინოთ შემდეგი ჰიპოთეზები:

- იმ ინდივიდებთან, რომელთაც არასდროს ჰქონიათ საკუთარი ოთახი და იზიარებენ საძინებელს ერთზე მეტ ადამიანთან, დასწავლილი უუნარობის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე მათთან, ვისაც ადრეული ასაკიდან აქვს საკუთარი ოთახი;
- მიღწევის მოტივაცია ნაკლები აქვთ მათ, ვისაც ოთახის გაზიარება ერთზე მეტ ადამიანთან ხანგრძლივი დროის განმავლობაში უწევს;
- ისინი, ვისაც ნაკლები პიროვნული სივრცე აქვს და ოთახის გაზიარება უწევთ სხვებისთვის, უფრო ხშირად ავლენენ დეპრესიულ სიმპტომებს, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც ამ პრობლემის წინაშე არ დგანან;

მეთოდოლოგია

მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 18-25 წლის 170 ინდივიდმა, მათგან 86 გოგო იყო, ხოლო 84 ბიჭი, ცდისპირთა შორის არცერთი ყოფილა დაქორწინებული და ჩამოთვლილი სამი ჯგუფიდან ერთ-ერთს მიეკუთვნებოდა: I - **ადრეული** ასაკიდან (5-6 წ.) მუდმივად აქვთ საკუთარი ოთახი; II- მოზარდობისას ოთახს იზიარებდნენ ერთ ან მეტ ადამიანთან, თუმცა უკანასკნელი წლების (2 ან მეტი) განმავლობაში აქვთ საკუთარი ოთახი; III - ადრეული ასაკიდან დღემდე იზიარებენ ოთახს ერთ ან მეტ ადამიანთან;

ინსტრუმენტები

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ეპიდემიოლოგიური კვლევების ცენტრის დეპრესიის გადამუშავებული სკალა (Center for Epidemiologic Studies Depression Scale Revised (CESD-R-10), მიღწევის მოტივაციის გასაზომი დებულებები ფრაიბურგის პიროვნების კითხვარიდან (The Freiburg Personality Inventory, 1982) და ქუინლესისა და ნელსონის დასწავლილი უუნარობის სკალა (Learned Helplessness Scale, Quinless & Nelson, 1988)

დეპრესიული სიმპტომების გასაზომად გამოყენებული CESD-R-10 დეპრესიის თვითანგარიშის ტიპის საზომია, რომელიც წარმატებულად გამოიყენება ასაკოვან, დაბალი შემოსავლის მქონე და სოციალურად დაუცველ ჯგუფებთან მუშაობისას (α=0.86). CESD-R-10-ის გამოყენებისას ქულები ითვლება მოცემული ათი დებულების ქულათა ჯამის მეშვეობით. 10 ქულაზე მეტის დაგროვების შემთხვევაში შეიძლება დავასკვნათ, რომ ინდივიდი დეპრესიულია.

მიღწევის მოტივაციის გასაზომად გამოყენებულია ცხრა დებულება ფრაიბურგის პიროვნების კითხვარიდან (FPI). კითხვებს ინდივიდმა უნდა გასცეს ,,დიახ" ან ,,არა" პასუხი. დადებითი პასუხების სიმრავლე მეტყველებს ინდივიდის მაღალ მოტივაციაზე.

დასწავლილი უუნარობის გასაზომად გამოიყენება ქუინლესისა და ნელსონის დასწავლილი უუნარობის სკალა (LHS). ესაა 20-დებულებიანი კითხვარი, რომელიც ლიკერტის 4-ქულიანი სკალის მეშვეობით ზომავს დასწავლილ უუნარობას, საბოლოო ქულა შესაძლოა მერყეობდეს 20-დან 80-მდე, რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო მაღალია დასწავლილი უუნარობის ხარისხი (Quinless 1988). კითხვარი შესაძლოა გამოგვადგეს დეპრესიის რისკ სტატუსის ინდიკატორადაც, 20-40 ქულის შემთხვევაში დეპრესიის არსებობის რისკი დაბალია, თუმცა ქულის ზრდასთან ერთად მისი გამოვლენის ალბათობაც იმატებს. LHS-ის კორელაციის მაჩვენებელი როზენბერგის თვითშეფასების სკალასთან არის r=-.622, ბეკის უიმედობის სკალასთან r=.252. უშუალოდ კითხვარის სანდოობის ალფა კოეფიციენტი კი 0.85-ია (Smallheer, 2011).

	CESD-10-R	FPI	LHS
კითხვარის სანდოობის კოეფიციენტი	0.86	0.71-0.84	0.85
წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში კითხვარის სანდოობის კოეფიციენტი	0.74	0.6	0.89

ცხრილი 1. კითხვარების სანდოობის კოეფიციენტი წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში

შედეგები და შედეგების ანალიზი

SPSS22-ის მეშვეობით ერთმანეთს შევადარეთ, CESD-10, FPA, LHS კითხვარებში სამივე ჯგუფის მიერ მიღებული შედეგები. მონაცემების შესადარებლად და არსებული განსხვავებების სტატისტიკური მნიშვნელოვნების დასადგენად გამოყენებულია T-კრიტერიუმი და პირსონის კორელაცია.

მონაცემთა კორელაციური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მთლიანი შერჩევის შემთხვევაში დასწავლილ უუნარობას, მოტივაციასა და დეპრესიას შორის არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი, კერძოდ: ზომიერი

უარყოფითი კორელაცია დასწავლილ უუნარობასა და მიღწევის მოტივაციას შორის ($r = -.429$; $p < 0.001$); საშუალო დადებითი კორელაცია დასწავლილ უუნარობასა და დეპრესიას შორის ($r = .56$; $p < 0.001$) და საშუალო უარყოფითი კორელაცია მოტივაციასა და დეპრესიას შორის ($r = -.452$; $p < 0.001$).

	დასწავლილი უუნარობა	მიღწევის მოტივაცია	დეპრესია
დასწავლილი უუნარობა	1	-.429**	.560 **
მიღწევის მოტივაცია	-.429**	1	-.452**
დეპრესია	.560**	-.452**	1

ცხრილი 2. დასწავლილ უუნარობას, მიღწევის მოტივაციასა და დეპრესიას შორის კავშირი

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა ჯგუფებს შორისაც (იხ. ცხრილი 3)

ჯგუფი	საშუალო ქულა უუნარობის სკალაზე	ჯგუფებს შორის t კრიტერიუმ-ის მნიშვნელობა	საშუალო ქულა დეპრესიის სკალაზე	ჯგუფებს შორის t კრიტერიუმის მნიშვნელობა	საშუალო ქულა მოტივაციის სკალაზე	ჯგუფებს შორის t კრიტერიუ-მის მნიშვნე-ლობა
I	36.9 (ST=5.31)	t(124)= -0.7 p<0.475	11.6 (ST=4.67)	t(124)=1, p<0.3	14.66 (SD=1.89)	t(124)= **-0.125** p<0.9
II	37.67 (SD=6.37)		10.73 (SD=4.8)		14.7 (SD=1.98)	
I	36.9 (SD=5.3)	t(107)= -11,511 p<.001	11.6 (SD=4.67	t(107)= -7.45 p<.001	14.6 (SD=1.89)	t(107)= 4 p<.001
III	50.34 (SD=6.85)		18.2 (SD=4.3)		13.2 (SD=1.79)	
II	37.67 (ST=6.37)	t(103)=-9.73 p<.001	10.73 (ST=4.8)	t(103)= -8.17 p<.001	14.7 (SD=1.98)	t(103)= 3.97p<.001
III	50.34 (ST=6.85).		18.22 (ST=4.3)		13.2 (SD=1.79)	

ცხრილი 3. t კრიტერიუმის გამოყენებით ჯგუფებს შორის განსხვავების მაჩვენებლები

დასწავლილი უუნარობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია იმ ჯგუფის ცდისპირების შემთხვევაში, რომლებიც დღემდე იზიარებენ ოთახს სხვებთან (M=50.34 SD=6.85) ცდისპირთა იმ ჯგუფთან შედარებით, რომელთაც ბავშვობიდან აქვთ საკუთარი ოთახი (M=36.9 SD=5.3). ამ ორი ჯგუფის შედარებისას დეპრესიის მაჩვენებელიც მკვეთრად განსხვავებულია. პირველი ჯგუფის საშუალო ქულა (M=11.6 ST=4.67) სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებას გვაძლევს მესამე ჯგუფთან შედარებისას (18.22 ST=4.3). $p<0.001$ დონეზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა მოტივაციის სკალაზე მიღებულ შედეგებს შორისაც, I ჯგუფის საშუალო ქულა (M=14.6 SD=1.89) მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა t(107)=4 III ჯგუფის საშუალო ქულისგან (M=13.2 SD=1.79).

მსგავი შედეგები მივიღეთ, როდესაც მეორე და მესამე ჯგუფის წევრების ქულები შევადარეთ ერთმანეთს. აღმოჩნდა, რომ ადრეულ ასაკში ოთახის სხვებთან გაზიარების მიუხედავად, იმ ინდივიდების სამივე სკალაზე მიღებული ქულები, რომელთაც ორი ან მეტი წელია საკუთარი ოთახი აქვთ, მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი შედეგებისგან, ვინც ადრეული ასაკიდან იზიარებს ოთახს სხვებთან (იხ. ცხრილი.3).

I და II ჯგუფებს შორის კი არცერთ სკალაზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლენილა. იმ ახალგაზრდების შედეგები, რომელთაც ორი ან მეტი წელია აქვთ საკუთარი ოთახი მსგავსია იმ თანატოლების შედეგებისა, რომლებსაც ადრეული ასაკიდან აქვთ საკუთარი ოთახი.

შედეგების სტატისტიკურად დამუშავებამ ცხადყო, რომ ისეთი ცვლადები, როგორებიცაა დასწავლილი უუნარობა, დეპრესია და მოტივაცია, ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. კერძოდ, რაც უფრო მაღალია დასწავლილი უუნარობის დონე, მით უფრო მაღალია დეპრესიული სიმპტომატიკის გამოვლენის მაჩვენებელი და, შესაბამისად, მით უფრო დაბალია მიღწევის მოტივაცია.

დასკვნა

მრავალი კვლევის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც დადასტურდა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც, ადამიანებს, რომლებსაც არასდროს ჰქონიათ საკუთარი ოთახი, დასწავლილი აქვთ უუნარობა იმ ადამიანებისგან განსხვავებით, რომელთაც ადრეული ასაკიდან ჰქონდათ საკუთარი ოთახი. აღნიშნულ კვლევაში წარმოდგენილი სურათი

თანხვედრაშია მრავალი მეცნიერის გამოთქმულ ვარაუდთან და ამასთანავე საფუძველს ქმნის შემდგომი კვლევებისთვის, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ისეთი მნიშვნელოვანი ცვლადები, როგორებიცაა კვლევაში მონაწილე პირთა სოციალური მდგომარეობა და ეკონომიკური ფონი.

აღნიშნული კვლევის პროცესში გათვალისწინებული იყო იმ ინდივიდთა შედეგებიც, რომელთაც მხოლოდ უკანასკნელი 1-2 წელია, რაც საკუთარი ოთახი აქვთ (II ჯგუფი), ამ ჯგუფის შედეგების დანარჩენ ჯგუფებთან შედარება საშუალებას მოგვცემდა, გვენახა, არის თუ არა ხანგრძლივი გადატვირთვის ეფექტი. შედეგების დამუშავებისას, ცხადი გახდა, რომ პირველი და მეორე ჯგუფის შედეგებს შორის არცერთ ეტაპზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ ფიქსირდება, თუმცა ორივე მათგანი მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ ჯგუფის წევრთა შედეგებისგან, რომელთაც ადრეული ასაკიდან დღემდე უწევთ საკუთარი ოთახის გაზიარება. ეს გვაძლევს საშუალებას, ვივარაუდოთ, რომ გადატვირთვის ეფექტი მწვავედ გამოხატულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ინდივიდს უწევს გადატვირთულ გარემოში ცხოვრება, დროსთან და პიროვნული სივრცის ზრდასთან ერთად კი მისი ეფექტი მცირდება.

ანალიზის შედეგად დადასტურდა მეორე ჰიპოთეზაც, რომლის მიხედვითაც, მიღწევის მოტივაცია ნაკლებია მათთვის, ვისაც ოთახის გაზიარება ხანგრძლივი დროის განმავლობაში უწევს ერთზე მეტ ადამიანთან. საცხოვრებელი სიმჭიდროვის კვლევები, იშვიათად ითვალისწინებს გადატვირთვის ეფექტის გავლენას მიღწევის მოტივაციაზე, შესაბამისად, ეს საკითხი შედარებით ფართო კვლევას საჭიროებს.

კვლევის დასაწყისში წარმოთქმული კიდევ ერთი მოსაზრება ეხებოდა დეპრესიული სიმპტომებისა და გადატვირთვის ეფექტის კავშირს, ჰიპოთეზის მიხედვით, ისინი, ვისაც აქვთ ნაკლები პიროვნული სივრცე და უწევთ ოთახის გაზიარება სხვებისთვის, უფრო მწვავედ ავლენენ დეპრესიულ სიმპტომებს, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც ამ პრობლების ქვეშ არ დგანან. ამ მხრივ საინტერესო შედეგები მოგვცა პირველი და მესამე ჯგუფების შედეგების შედარებამ. ვასკვნით, რომ მაღალი საცხოვრებელი სიმჭიდროვე, შესაძლებელია, ქმნიდეს სტრესულ გარემოს, რომელშიც ადამიანები შედარებით მწვავედ ავლენენ დეპრესიულ სიმპტომებს, თუმცა შესაძლებელია, რომ სხვა კვლევაში საპირისპირო შედეგი მივიღოთ. დეპრესიულ სიმპტომებზე საუბრისას, აუცილებელად გასათვალისწინებელია, რომ გადატვირთვის ეფექტი ნაკლებად ვლინდება ისეთ გარემოში, რომელშიც მხარდამჭერი და მზრუნველი სოციალური კავშირებია. შესაბამისად, არ იქნება სწორი, თუ მიღებულ შედეგს განვაზოგადებთ და გადაჭრით ვიტყვით, რომ დეპრესიული სიმპტომები მუდმივად თან ახლავს მაღალ საცხოვრებელ სიმჭიდროვეს.

შეზღუდვები და მომავალი კვლევა

კვლევის შედეგები საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის საცხოვრებელი სიმჭიდროვითა და გადატვირთვის ეფექტით დაინტერესებულ პირთათვის. იმის მიუხედავად, რომ წარმოდგენილი კვლევის შედეგები თანხვედრაშია აქამდე ჩატარებულ მრავალ კვლევასთან, ზოგიერთ მათგანს ეწინააღმდეგება. მაგალითისთვის, ჩვენი კვლევის მიხედვით, ვერ ვიტყვით, რომ სქესი გავლენას ახდენს გადატვირთვის ეფექტთან გამკლავებაზე, ევანსის მიერ ინდოეთში ჩატარებული კვლევა კი საპირისპიროს ამტკიცებს (Evans 1998).

შესაძლოა კვლევის ნაკლად მივიჩნიოთ ის, რომ არ იყო გათვალისწინებული მონაწილეთა სოციალურ-ეკონომიკური ფონი, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია დასწავლილ უსუსურობაზე მსჯელობისას. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის პროცესში გამოყენებული იყო ე.წ. „საძინებლის სტანდარტი“, არ იყო გათვალისწინებული საცხოვრებელი ადგილის სიდიდე და იქ მცხოვრებ პირთა რაოდენობა: ჩვენთვის უცნობი იყო სად და რა პირობებში უწევდა ინდივიდს ოთახის სხვებთან გაზიარება, რამდენი საძინებელი გააჩნდა სახლს და რამდენი სული ცხოვრობდა იქ. ზემოთ განხილული შედეგები შესაძლებელია განპირობებული ყოფილიყო სხვა ცვლადებით, რომლებიც ვერ კონტროლდებოდა კვლევის პროცესში, მათ შორის სიღარიბე, მხარდამჭერი ურთიერთობის არარსებობა და ცუდი საცხოვრებელი პირობები.

კვლევაში მონაწილე არცერთი პირი იზიარებდა საძინებელს პარტნიორთან ერთად, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ გადატვირთვის ეფექტის გამოვლენა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოციალური ინტერაქციის ხარისხზე, სასურველია შემდგომ კვლევებში გათვალისწინებული იყოს, თუ ვისთან იზიარებს ინდივიდი საძინებელს და როგორი დამოკიდებულება აქვს მასთან.

ბიბლიოგრაფია

Evans, G.W., Lepore, S. J. Shejwal, B. R & Palsane M. N (December 1998), *Chronic Residential Crowding and Children's well-being: An ecological Perspective, Child Development*. Vol. 69, No 6 pp 1514-1523

Smallheer, B. (May 2011) *Learned Helplessness and Depressive Symptoms in Patients Following Acute Myocardial Infarction*, Doctoral dissertation, Nashville Tennessee, Vanderbilt University

Nagar, D., Paulus B. (September 1997) *Residential Crowding experience scale – assessment and validation*, Journal of Community & Applied Social Psychology, Volume 7, Issue 4, pp 257-328

გამოყენებული ინტერნეტ–რესურსები:

Center for Epidemiologic Studies Depression Scale Revised (CESD-R-10) retrieved from https://www.brandeis.edu/roybal/docs/CESD-10_website_PDF.pdf pdf ნახვის თარიღი: 21.10.18

Epstein, Y. (april 2010) *Crowding Stress and Human Behavior* , retrieved from https://www.researchgate.net/publication/230208526_Crowding_Stress_and_Human_Behavior pdf ნახვის თარიღი 21.10.18

Gray A. (2001) *Definitions of Crowding and the Effects of Crowding on Health*, a Literature Review. Wellington, New Zealand. The Ministry of Social Policy, retrieved from https://www.msd.govt.nz/documents/about-msd-and-our-work/publications-resources/archive/2001-definitionsofcrowding.pdf pdf ნახვის თარიღი 21.10.2018

Harker, L. (September 2006) *Chances of Lifetime: The Impact of Bad Housing on Children's Lives*. Edinburgh, Scotland. Shelter, retrieved from https://england.shelter.org.uk/__data/assets/pdf_file/0016/39202/Chance_of_a_Lifetime.pdf pdf ნახვის თარიღი 21.10.2018

Radloff, LS. (1977) *The CES-D scale: a self-report depression scale for research in the general population*. Applied Psychological Measurement. 1:385-401. as cited in http://cesd-r.com/about-cesdr/

Quinless F., Nelson, M., (1988) *Development of a measure of learned helplessness* retrieved from http://www.psychwiki.com/dms/other/labgroup/Measu235sdgse5234234resWeek2/Marilyn2/Quinless1988.pdf ნახვის თარიღი: 21.10.18

Worthmann, C., Brown, R. Companionable sleep: Social regulation of sleep and co-sleeping in Egyptian families, retrieved from https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3771325/pdf/nihms510286.pdf pdf ნახვის თარიღი 21.10.2018

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

ლელა ძეგველიშვილი

რეზიუმე

კვლევაში ყოველწლიური დროითი მწკრივის მეშვეობით გაანალიზებულია 1997-2017 წლებში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების გავლენა საქართველოს ეკონომიკის ისეთ სექტორებზე, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და მომსახურება. ცვლადები, როგორიცაა მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის ფორმირება, ინფლაციის განაკვეთი, ვაჭრობის ლიბერალიზაცია და მოსახლეობის ზრდის ტემპი წარმოდგენილია მაკონტროლებელი ცვლადების სახით. მოცემულ კვლევაში ემპირიული ანალიზისათვის გამოყენებულია კლასიკური წრფივი რეგრესიის მოდელი და უმცირეს კვადრატთა მეთოდით შეფასებულია ცვლადების მნიშვნელობა. ემპირიული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკის სექტორების დამატებული ღირებულების წილზე მთლიან შიდა პროდუქტში უმნიშვნელოა. კვლევამ გვიჩვენა, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაცია უარყოფით გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის სექტორზე. მრეწველობაზე უარყოფით გავლენას ახდენს ისეთი ცვლადები როგორიცაა ინფლაცია, ვაჭრობის გახსნილობა და მოსახლეობის ზრდის ტემპი. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული ცვლადები სტატისტიკურად არ არის მნიშვნელოვანი მათი გავლენის გათვალისწინება არ არის მიზანშეწონილი. რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდასა და მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის კოეფიციენტებს, ისინი დადებითად მოქმედებს მრეწველობის სექტორის ზრდაზე და სტატისტიკურადაც მნიშვნელოვანია. ეკონომიკური ზრდა, მთლიანი კაპიტალის ფორმირება და სამუშაო ძალა უარყოფითად მოქმედებს მომსახურების დამატებული ღირებულების წილზე მშპ-ში. თუმცა ყველა ეს ცვლადი არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. რაც შეეხება ვაჭრობის გახსნილობას, მისი დამოკიდებულება მომსახურების ზრდაზე არის დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

საკვანძო სიტყვები: *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ეკონომიკური ზრდა, მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის ფორმირება, ვაჭრობის ლიბერალიზაცია.*

Abstract

This paper analyzes the effect of foreign direct investment (FDI) on industry, agricultural and service sector in Georgia. Annual time series data spanning from 1997 to 2017 are used to test the significance of the relationship between FDI inflow and industry, agriculture, and service value added-to-GDP ratio on one hand and FDI inflows and economic growth on the other hand. Variables such as gross fixed capital formation, inflation rate, trade liberalization and population are considered as control variables. For the purpose of inference, the paper employs classical linear regression model. Ordinary least squares methods are used for estimation. The empirical study suggests that there is no significant effect of FDI inflows on agriculture, industry and service value added-to-GDP ratio in Georgia. The study showed that the liberalization of trade has negative impact on the agricultural sector. Variables such as inflation, trade liberalization and population growth has a negative impact on Industry. However, since the variables are not statistically significant, it is not advisable to take into account their influence. As for economic growth and the total fixed capital formation, they are positive in the growth of the industry sector and are statistically significant. Economic growth, total capital formation and work force have a negative impact on the value added of the service. However, all these variables are not statistically significant. As regards trade openness, its dependence on service growth is positive and statistically significant.

Keywords: *Foreign Direct Investments, Economic Growth, Formation of Total Fixed Capital, Trade Liberalization.*

შესავალი

გლობალიზაციის პროცესი განვითარებად ქვეყნებს სთავაზობს სწრაფი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს საერთაშორისო ვაჭრობასა და კაპიტალზე წვდომის საშუალებით. შესაბამისად, აღნიშნულ პროცესთან ერთად გაზრდილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობაც (პუი). პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ინვესტორებს აქტივების უფრო ეფექტიანი გამოყენების საშუალებას აძლევს, ხოლო ინვესტიციების მიმღებ ქვეყნებს უკეთესი ტექნოლოგიის ათვისების, საერთაშორისო წარმოებისა და სავაჭრო პროცესში ჩართვის შესაძლებლობას სთავაზობს (Athukorla, 2003). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის განმარტების თანახმად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ფინანსური ინსტრუმენტის - საგადასახადო ბალანსის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს და შესაბამისად, ეს აისახება ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აღსანიშნავია, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა განახორციელეს საინვესტიციო რეჟიმების მასიური ლიბერალიზაცია მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, რადგან ინვესტიციების მოზიდვა განიხილება, როგორც ეკონომიკური განვითარების, მოდერნიზაციის, შემოსავლის ზრდისა და დასაქმების ხელშემწყობ ფაქტორად (OECD Annual Report, 2002). პუი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაში, ქვეყნის ტექნოლოგიური დონის ამაღლებაში, ქმნის დასაქმების ახალ შესაძლებლობებს და განვითარებად ქვეყნებს გარე კაპიტალის წყაროს სთავაზობს (Loungani, 2001). გარდა ამისა, არსებობს სწავლის უპირატესობა, რომლის დროსაც პუი უზრუნველყოფს ადგილობრივ მთავრობებს, ბიზნესსა და მოქალაქეებს, გაეცნონ თანამედროვე ბიზნესის პრაქტიკას, მართვის ტექნიკასა და კონცეფციებს, რომლებიც ხელს უწყობს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას (Mahesh Kumar, 2014). სინამდვილეში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განვითარებად ქვეყნებს გლობალურ ბაზარზე ინტეგრირების და ინვესტიციებისათვის ხელმისაწვდომი კაპიტალის გაზრდის საშუალებას აძლევს, რითაც ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას და ცხოვრების სტანდარტების გაზრდას (Rutihinda, 2007). უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და რაციონალური გამოყენება საქართველოში ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამ პრობლემის ოპტიმალურად გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ეკონომიკაში რეალური გარდაქმნების განხორციელება და საქართველოს ეკონომიკის ორგანული ჩართვა მსოფლიო მეურნეობაში. მოცემული კვლევის მიზანია, შევაფასოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე (ეკონომიკაზე მთლიანად და მის ცალკეულ სექტორებზე). ამ მიზნის მისაღწევად ჩავატარე ემპირიული დაკვირვება 1997-2017 წლებისთვის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საქართველოს ეკონომიკაზე გავლენის შესასწავლად გამოვიყენე მსოფლიო ბანკის მონაცემები, რაც გაანალიზდა ეკონომეტრიკის პროგრამული უზრუნველყოფის STATA-ის მეშვეობით. წრფივი რეგრესიული განტოლებით (ვულდრიჯი, 2016) ფორმულირებულია ყველა ის ფაქტორი, რომელსაც შეუძლია პოტენციურად მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ეკონომიკის ცალკეული სექტორებისათვის დამატებული ღირებულების ფორმირებაში, რომელიც განისაზღვრება დამატებული ღირებულების წილით მთლიან შიდა პროდუქტსა და რეალურ ეკონომიკურ ზრდაში.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევები უცხოური ინვესტიციების შესახებ ძირითადად ფოკუსირებას ახდენს მის გავლენაზე მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე. ბოლმ-სტრომ (Magnus Blomström, 2003) ბურენშტაინისა და სხვების აზრით, (Borensztein, 1998) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყნის განვითარებაში გამოიხატება საგადასახადო შემოსავლების გაზრდით, მენეჯმენტისა და ტექნოლოგიების გაუმჯობესებითა და მასპინძელ ქვეყნებში შრომითი უნარ-ჩვევების ზრდით. ე.ბარათაშვილი აღნიშნავს, რომ ეროვნული რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული ეფექტი მიმღები ქვეყნისთვის არის თანამედროვე ტექნოლოგიებით მომუშავე სამუშაო ძალა, დაბეგვრის სისტემით მიღებული შემოსავლები, სამომხმარებლო ბაზრის გაჯერება. ამას გარდა, თვით

მუშაკები არიან დაინტერესებულნი უცხოელ ინვესტორებთან მუშაობით, რადგან მათ საწარმოებში უფრო მაღალი ანაზღაურების ოდენობა და სოციალური პირობებია (ე.ბარათაშვილი, მაგრაქველიძე, 2009). ავალუი (Adewumi, 2006) აცხადებს, რომ განვითარებად ქვეყნებში გრძელვადიანი ინვესტიციების დასაფინანსებლად არასაკმარისი რესურსია, ხოლო საინვესტიციო ფონდების ნაკლებობა ეკონომიკური ზრდის ხელშემშლელ ფაქტორად გვევლინება. ნეოკლასიკურითეორიის თანახმად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კაპიტალის ოდენობის ზრდასთან ერთად უზრუნველყოფს შემოსავლის ზრდას გრძელვადიანი პერსპექტივით ისეთი ცვლადების მეშვეობით, როგორიცაა კვლევისა და განვითარების (R & D) და ადამიანური კაპიტალი. გარდა ამისა, უკუგების დონე, ინფრასტრუქტურის ხარისხი, ადამიანური კაპიტალი და პოლიტიკური სტაბილურობა მასპინძელ ქვეყანაში შეიძლება განისაზღვროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით (Msuya, 2007). თუმცა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე არ არის ავტომატური. პუი ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას მხოლოდ მაშინ, როდესაც მასპინძელმა ქვეყანამ მიაღწია განვითარების მინიმუმ დონეს განათლების, ინფრასტრუქტურისა და ფინანსური ბაზრების კუთხით და შეძლო თანამედროვე ტექნოლოგიების შემუშავება (Borensztein, 1998). კლაინის განცხადებით (Klein, 2001) წარმატებული უცხოური ინვესტიციების განხორციელებისათვის და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, ის გარემო, რომელშიც უცხოელი ინვესტორები მუშაობენ მიმღები ქვეყნის მიერ მაქსიმალურად უნდა იყოს მხარდაჭერილი და უქმნიდეს საქმიანობის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობებს, კერძოდ, უნდა არსებობდეს თანაბარი და კონკურენტუნარიანი სათამაშო მოედანი.

ემპირიული კვლევები ცხადყოფს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანია, რადგან ის ზრდის ქვეყანაში არსებული კაპიტალის მარაგს. მრავალი კვლევა, როგორიცაა ბოლმ-სტროს (Magnus Blomström, 2003), ჩენ & დიმურგერის (Chen, 2002) ადასტურებს, რომ პუი ხელს უწყობს წარმოების ფაქტორების პროდუქტიულობას და შემოსავლების ზრდას მასპინძელ ეკონომიკაში. თავის მხრივ, ეს განპირობებულია იმით, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის კონკურენციის დონეს ადგილობრივ ბაზარზე და ამ გზით ხელს უწყობს მაღალ პროდუქტიულობას, ინოვაციებს, შედარებით დაბალ ფასებს და რესურსების უფრო ეფექტიან გადანაწილებას. უცხოურ ინვესტიციებს შეიძლება ქონდეს ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტი. ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი ბაზრის ათვისების მიმართულებით ხორციელდება ინვესტიციები ადგილობრივი კომპანიები მნიშვნელოვან კონკურენციას ხვდებიან, რადგან უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიები დაბალი ზღვრული დანახარჯის გამო ზრდიან წარმოების მოცულობას და იზიდავენ მომხმარებელს. შემცირებული მოთხოვნის გამო კი ადგილობრივი მწარმოებლები ამცირებენ წარმოების მოცულობას და მათი ფიქსირებული დანახარჯი ერთ ერთეულ წარმოებაზე იზრდება. მაგრამ თუ ინვესტიცია არის საექსპორტო წარმოებაზე მიმართული მაშინ ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტი ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს. მაგალითად, ემპირიული კვლევის შედეგად დავით სიხარულიძემ გვიჩვენა, რომ საქართველოში ფიქსირდება გამოდევნის ეფექტი (სიხარულიძე დ., 2018).

ეკონომიკური ზრდის ახსნა ცალკეული სექტორების მიხედვით და გამოყენებული ცვლადების მიზანშეწონილობა

ემპირიული ანალიზისათვის მონაცემები აღებულია მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზიდან. ძირითადი არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ პუი-ის ნაკადების მოდინება აისახება ეკონომიკის სექტორების დამატებული ღირებულების ზრდასა და მთლიანად ეკონომიკაზე ტექნოლოგიების მოდინებისა და მმართველობითი უნარების გაუმჯობესების საშუალებით. თუმცა, პუი-ის გავლენა ეკონომიკის სექტორებსა და მთლიანად ეკონომიკაზე არ არის სწორხაზოვანი. მაგალითად, მოწინავე საწარმოო სიმძლავრეების გადაცემა, ახალი პროცესების დანერგვა და დასაქმებულთა გადამზადება რომელიც პუი-სთან ასოცირდება ძირითადად მიემართება სამრეწველო სექტორს ვიდრე სოფლის მეურნეობას (UNCTAD, 2001), (Alfaro, 2003). ამ მიზეზის გამო პუი-ს აქვს მიდრეკილება უარყოფითი გავლენა მოახდინოს სოფლის მეურნეობის სექტორზე. ასევე სხვადასხვა კვლევა გვიჩვენებს, რომ როგორც კი რეალური მშპ-ი იზრდება მცირდება სოფლის მეურნეობის ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში. (Singaariya, 2015) . რაც ნიშნავს იმას, რომ არსებობს ნეგატიური მიმართება ერთ სულ მოსახლეზე მშპ-სა და მშპ-ში სოფლის მეურნეობის სექტორის დამატებულ ღირებულების წილს შორის. სხვა დეტერმინანტებს რომელსაც კვლევისას გამოვიყენებთ არის ვაჭრობის გახსნილობა და მაკროეკონომიკური განუსაზღვრელობა. ამ უკანასკნელის შესაფასებლად ვიყენებთ ისეთ ცვლადებს როგორიცაა ინფლაციის განაკვეთი და რეალური გაცვლითი კურსი. მთლიანობაში, მიღებულია, რომ გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ფაქტორებს შორის ვაჭრობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკური მაჩვენებლების ფორმირებაში (Krugman P. , 1990). ვაჭრობის ლიბერალიზაციამ შეიძლება საშუალება მისცეს ადგილობრივ ფირმებს ჰქონდეთ იაფი და უკეთესი ტექნოლოგიებისადმი და მაღალ კვალიფიციური მმართველობით უნარისადმი წვდომა (Miller, 2000). სხვა თანაბარ პირობებში ვაჭრობის გახსნილობა ასტიმულირებს მწარმოებლურობის ზრდას (De Silva, 2013). ის ასტიმულირებს მწარმოებლურობას შეფარდებითი უპირატესობის გამოყენებით, რომელიც შეიძლება იყოს გაზრდილი ტექნოლოგიური ბაზის განვითარებით და მასშტაბის ეკონომიისადმი წვდომით (Jayanthakumaran, 2002). ამას გარდა, ლიბერალური სავაჭრო რეჟიმი საშუალებას აძლევს დაბალ ხარჯებზე მომუშავე ფირმებს გააფართოონ თავიანთი წარმოება და გასცდნენ ადგილობრივ ბაზრებს (Krugman P. , 1990). მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ეკონომიკის გახსნილობის ხარისხის ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენის ემპირიული მტკიცებულება, არსებობს კვლევები, რომლებიც ეჭვ ქვეშ აყენებს ამ მიგნებას მეთოდოლოგიურ დონეზე (Rodrik, 1996). ეკონომიკის გახსნილობაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია რეალური გაცვლითი კურსის ანალიზი. გაცვლითი კურსი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო ეკონომიკურ ტრანზაქციებში. მაგალითად, მისმა ზრდამ შეიძლება გაზარდოს ადგილობრივ პროდუქტებზე მოთხოვნა და იმპორტირებული კაპიტალისა და სხვა იმპორტირებული საშუალებების ხარჯები. თუ ფირმა დიდად არის დამოკიდებული იმპორტირებულ საშუალებებზე მაშინ შედარებით მაღალი იქნება ცვალებადი ხარჯები და ნაკლები კაპიტალის ზღვრული მაჩვენებელი (Lotfalipour, 2013).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, რომელიც არახელსაყრელად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე. განუსაზღვრელობა, რომელიც დაკავშირებულია ინფლაციის მაღალ რყევებთან, შეუძლია უარი ათქმევინოს ფირმებს მომგებიან, თუმცა მაღალ რისკიან პროექტებში განახორციელონ ინვესტიციები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ემპირიული მტკიცებულება ინფლაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის მიმართების შესახებ არ არის სწორხაზოვანი (Bassanini, 2001). განსაკურებით კავშირი ამ ორ ცვლადს შორის ნაკლებად მკაფიოა საშუალო და დაბალი ინფლაციის შემთხვევაში (Edey, 1994). ასევე იმ ქვეყნებში, როდესაც ადგილი აქვს მოთხოვნის ინფლაციას, სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდის გამო მწარმოებლები აბანდებენ კაპიტალს სოფლის მეურნეობის სექტორში, შედეგად ზრდის წარმოებას, რომელიც თავის მხრივ იწვევს სოფლის მეურნეობის წილის ზრდას მშპ-ში (De Sormeaux, 2011). სხვა კვლევებშიც ნაჩვენებია პოზიტიური და მნიშვნელოვანი კავშირი ინფლაციასა და სოფლის მეურნეობის ზრდას შორის. ამ არგუმენტების საპირისპიროდ, როდესაც ადგილი აქვს მიწოდების (დანახარჯების) ინფლაციას, ძირითადად სოფლის მეურნეობის ერთობლივი მიწოდების შემცირების გამო, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ნედლეულზე ფასების ზრდით, სოფლის მეურნეობის წარმოების ხარჯები იზრდება რაც თავის მხრივ იწვევს სოფლის მეურნეობის წილის შემცირებას მშპ-ში (De Sormeaux, 2011).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები და ეკონომიკური ზრდა საქართველოში

მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით (Bank W. , 2013), 1990-2013 წლებში საქართველოს ეკონომიკა დახასიათდა ოთხი ფაზით: კოლაფსი, სტაბილიზაცია, დაჩქარება, კრიზისი და გამოჯანსაღება. თითოეულ ფაზა გამოირჩეოდა მისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და ინსტიტუციონალური პირობებით, რომელიც მთლიანობაში განსაზღვრავდა ქვეყნის სპეციფიკას (სიხარულიძე, 2018). მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ ეკონომიკური განვითარება ყოველთვის დაკავშირებულია ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებებთან. ეს არის პროცესი, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური საქმიანობის გადანაწილებას სოფლის მეურნეობას, მომსახურებასა და მრეწველობას შორის, რომელსაც მოჰყვება ეკონომიკის მოდერნიზაცია, დასაქმებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდა. ნაშრომში ,,სამრეწველო და საწარმო პოლიტიკა“ (სიხარულიძე, 2018) 1990-2017წლებში სტრუქტურული ცვლილებების პერიოდი ოთხ ეტაპად არის დაყოფილი. პირველი ეტაპი 1990 წლამდე, როდესაც სოფლის მეურნეობას, მომსახურებას და მრეწველობას თანაბრად შეაქვს წვლილი მშპ-ის ფორმირებაში. მეორე ეტაპი, როდესაც მრეწველობისა და მომსახურების წილი მშპ-ში მცირდება და იზრდება სმშპ-ში იწყებს სოფლის მეურნეობის წილი. მესამე

ეტაპი, როდესაც სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულების წილი შემცირებას, ხოლო მომსახურების დამატებული ღირებულების წილი იზრდება. და მეოთხე ეტაპი, როდესაც მრეწველობის წილი მშპ-ში სტაბილურდება საშუალოდ 23%-ზე, მკვეთრად იზრდება მომსახურების წილი 61%-მდე და მკვეთრად მცირდება სოფლის მეურნეობის წილი და სტაბილურდება საშუალოდ 14%-მდე.

მშპ-ის სტრუქტურაში მომსახურება წარმოადგენს ეკონომიკის მსხვილ სექტორს. 2016 წელს მისი მომსახურების დამატებული ღირებულების წილი მშპ-ში იყო 66%. მისი ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო მომსახურების სექტორში მსხვილი კაპიტალის შემოდინებით. თუ სტრუქტურულ ცვლილებებს მშპ-ის დინამიკაში სექტორების წვლილით შევაფასებთ, მშპ-ის ზრდაზე ყველაზე მეტ გავლენას შემდეგი სექტორები ახდენდნენ: მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა. ფინანსური კრიზისის შემდგომ წლებში ეკონომიკის გაჯანსაღებაში მნიშვნელოვანია მომსახურებისა და მრეწველობის წვლილი. კერძოდ, 2010-2012 წლებში მშპ-ის 6,5%-იან ზრდაში მომსახურებაზე მოდიოდა 4,5%, ხოლო მრეწველობაზე 1,41%. მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობის წვლილი ეკონომიკის გაჯანსაღებაში იყო უმნიშვნელო (Bank T. W.).

2004-2016 წლებში ეკონომიკური ზრდა ძირითადად იყო გამოწვეული მწარმოებლურობის გაუმჯობესებით, კაპიტალის აკუმულაციის წვლილით, რომელიც მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა. 2004-2017 წლებში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი (საშუალოდ 5.5 %) ძირითადად გამოწვეული იყო მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობის ზრდით, სადაც მთლიან ფაქტორულ მწარმოებლურობაზე მოდიოდა 5.2 %, მაშინ როდესაც კაპიტალის დაგროვებაზე მოდიოდა 2,3%. ამ პერიოდში სამუშაო ძალის წვლილი უმნიშვნელო იყო (იხ. დიაგრამა №1).

მწარმოებლურობის წვლილი მშპ-ის ფორმირებაში 1997-2016 (Group, 2018)

დიაგრამა №1



მწარმოებლურობასა და ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პუი-ის მოდინება. სწორედ ამ მხრივ საინტერესოა გავაანალიზოთ პუი-ის ტენდენციები საქართველოში.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1996-2018 წწ-ში ჯამურად 19 393,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2009 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა საგრძნობლად შემცირდა (905.5 მლნ. აშშ დოლარით). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების კლება ძირითადად, განპირობებული იყო რუსეთ-საქართველოს ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენით. 2010 წლიდან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2017 წელს აღწევს მაქსიმალურ ნიშნულს, კერძოდ 1 894,5 მლნ აშშ დოლარს. ეს განპირობებულია იმით, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და გაუმჯობესებული ბიზნესგარემო დადებითად აღიქმება ინვესტორების მიერ და მეტი ინვესტორი აგრძელებს ბიზნესგეგმებს საქართველოში. მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკა და რეფორმები რეინვესტორების მაღალი დონის შენარჩუნებისა და საშუალო და გრძელვადიანი პერიოდის ზრდის წინაპირობაა (სამინისტრო). წინა წლებთან შედარებით 2018 წელს ფიქსირდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მკვეთრი ვარდნა, კერძოდ, ამ წელს მან 998,7 მლნ აშშ დოალარი შეადგინა, რაც 2017 წლის მოცულობას 47.29%-ით ჩამორჩება. შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორისაა მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულების ფაზა, ასევე რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში და არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება (სამსახური) (იხ დიაგრამა №2).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 1996-2018 წლებში (სამსახური) (მლნ აშშ დოლარი)

დიაგრამა №2



პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება-გადინების მაჩვენებლებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ჯერ კიდევ ინვესტიციების ნეტო იმპორტიორი ქვეყანაა, თუმცა ქართული ფირმების გარკვეული ნაწილი თავისი უპირატესობის საგარეო ბაზრებზე დემონსტრირებას ცდილობს. კერძოდ, ჯამურად საქართველოდან საზღვარგარეთ 2.3 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციაა განხორციელებული. საქართველოდან საზღვარგარეთ პუი-ის ყველაზე მასშტაბური მოცულობით გადინება 2014 და 2016 წლებში განხორციელდა. ეს შეიძლება აიხსნას ქვეყანაში არსებული არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობით, აგრეთვე ქართველი ინვესტორების მხრიდან სახსრების საზღვარგარეთ (შედარებით უსაფრთხო ადგილას) დაბანდების სურვილით ან/და ქართული ფირმების ფინანსური მომძლავრებით (სიხარულიძე, ჭარაია, 2018) (იხ დიაგრამა №3).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება-გადინება საქართველოში($ მილიონი) (data)

დიაგრამა№3



განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, 2018 წლის ინვესტორი ქვეყნების პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება: ნიდერლანდები (49.7 მლნ. აშშ დოლარი), კორეა (40.2 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (33.1 მლნ. აშშ დოლარი), თურქეთი (32.1 მლნ. აშშ დოლარი), პანამა (27.7 მლნ. აშშ დოლარი) (სამსახური). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა 2016 წლის კორეულმა ინვესტიციამ, ვინაიდან კორეამ ამ წელს პირველად განახორციელა დიდი მოცულობის ინვესტიცია საქართველოში (32.1 მლნ. აშშ დოლარი). ბოლო წლების განმავლობაში კი სხვებზე მეტად საქართველოთი ინტერესდება ნიდერლანდების სამეფო. პროცენტულად მასზე 2018 წელს 15.4% მოდის და იკავებს პირველ ადგილს. რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს, თუ ბოლო 10 წლის მონაცემებს გადავხედავთ, ისინი ინვესტორი ქვეყნების პირველ ხუთეულში ყოველთვის შედიოდნენ. 2018 წლის III კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას გვიჩვენებს სტრუქტურული დიაგრამა №1, რომლის მიხედვით პირველ ადგილზეა ნიდერლანდები - 15.45%-ით, მეორე ადგილზეა კორეა - 12.5%-ით, ხოლო მესამეზე აზერბაიჯანი -10.3 %-ით (იხ დიაგრამა №4).

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი პროცენტებში 2018 წლის III კვარტალში (სამსახური)

დიაგრამა №4



მნიშვნელოვანია ისიც, ქვეყანაში არსებული რომელი სექტორებია ყველაზე მიმზიდველი ინვესტორებისათვის და შესაბამისად, რომელი სექტორები ვითარდება უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობით. საინტერესოა, რომ 2007-2017 წლებში საქართველოს მიერ პრიორიტეტად გამოცხადებულ სოფლის მეურნეობაში უცხოელი ინვესტორების მიერ დაბანდებული სახსრების მხოლოდ 1% მოდის, რაც სექტორის დაბალი რენტაბელობით აიხსნება. მნიშვნელოვანი წილი ენერგეტიკის სექტორზე მოდის -13%. უცხოელი ინვესტორებისთვის აგრეთვე მიმზიდველია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორები, რაც პოზიტიური ასპექტია ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით (იხ დიაგრამა №5).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით (2007-2017წწ) (დ. სიხარულიძე, 2018)

დიაგრამა №5



2018 წლის მესამე კვარტალის მდგომარეობით, განხორციელებული ინვესტიციების ნახევარზე მეტი (56.5 მლნ.აშშ დოლარი) დამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის. ინვესტორთათვის მეორე ყველაზე მიმზიდველი სექტორი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორია, მასზე 2018 წლის მესამე კვარტალში მოდის 54.5 მლნ აშშ დოლარი. მესამე, მეოთხე, მეხუთე ადგილებს შესაბამისად, ინაწილებს ენერგეტიკა, უძრავი ქონება, სასტუმროები და რესტორნები. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის სექტორს, აქ 4.8 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიციებია განხორციელებული. როგორც ვთქვი ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია დამამუშავებელ მრეწველობაში განხორციელდა და 56.5 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 17.5%-ია. მეორე ადგილზეა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორი 54.5 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - ენერგეტიკის სექტორი 46.3 მლნ. აშშ დოლარით. დამამუშავებელი მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორი ინვესტორთათვის მიმზიდველი არა მხოლოდ 2018 წლის მესამე კვარტალის მონაცემებითაა, არამედ ბოლო ათი წლის განმავლობაში ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი სწორედ მათზე მოდის. მნიშვნელოვანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია განხორციელებული ასევე ენერგეტიკისა და საფინანსო სექტორებშიც. საინტერესოა წინა წლების ტენდენციებიც. 2016 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი - 39.2% ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა, 12.3% - ენერგეტიკის სექტორში, ხოლო 9.9% - მშენებლობაში. საფინანსო სექტორში განხორციელებულმა ინვესტიციებმა - 8.3%, დამამუშავებელ მრეწველობაში - 7.3%, სასტუმროებსა და რესტორნებში - 6.7% ხოლო უძრავ ქონებაში - 4.2% შეადგინა. რაც შეეხება 2017 წელს, წინასწარი მონაცემებით I კვარტალში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი - 35% ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა, უძრავ ქონებაში - 19.9%, საფინანსო სექტორში - 19.7%, მშენებლობაში - 13.8%, სასტუმროებსა და რესტორნებში - 3.9% სამთომოპოვებით მრეწველობაში - 2.1%, ხოლო ენერგეტიკაში - 1.7%. აღსანიშნავია პუი-ის დივერსიფიკაციის ზრდა ახალ სექტორებში ინვესტირებით. მაგალითად, 2015 წელს დაფიქსირდა ჯანმრთელობის დაცვაში განხორციელებული ინვესტიციების მკვეთრი ზრდა წინა წლებთან შედარებით. 2016 წელს კი 2015 წელთან შედარებით გაზრდილია ინვესტიცია ენერგეტიკის სექტორში. ენერგეტიკაში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მთლიანი FDI-ის 12.3% შეადგინა (სამინისტრო).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2018 წლის III კვარტალში (სამსახური)

დიაგრამა №5



მეთოდოლოგია

მოდელის სპეციფიკაცია

კვლევაში გამოყენებულია წრფივი რეგრესიული განტოლება (ვულდრიჯი, 2016) რომელიც ერთი მხრივ განსაზღვრავს პუი-ის გავლენას მრეწველობაზე, სოფლის მეურნეობასა და მომსახურებაზე და მეორე მხრივ კავშირს პუი-სა და ეკონომიკურ ზრდას შორის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საქართველოს ეკონომიკაზე გავლენის შესასწავლად გამოიყენება მსოფლიო ბანკის მონაცემები. ემპირიული დაკვირვება ჩატარდა 1997-2017 წლებისათვის. მონაცემები გაანალიზებულია ეკონომეტრიკის პროგრამული უზრუნველყოფის STATA-ის მეშვეობით. მოდელში ფორმულირებულია ყველა ის ფაქტორი, რომელსაც შეუძლია პოტენციურად მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ეკონომიკის ცალკეული სექტორებისათვის დამატებული ღირებულების ფორმირებაში, რომელიც განისაზღვრება დამატებული ღირებულების წილით მთლიან შიდა პროდუქტში და რეალურ ეკონომიკურ ზრდაში. ზემოთ განხილული ფუნდამენტური და ემპირიული ლიტერატურის ანალიზის მიხედვით, პუი-ის წილი მშპ-ში თანაფარდობის გარდა, ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკის სექტორების ეკონომიკური მაჩვენებლები ძირითადად განისაზღვრება ფაქტორებით, როგორიცაა მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის ფორმირება, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ვალუტის რეალური გაცვლითი კურსი, სამუშაო ძალა და ინფლაცია. ეკონომიკის სექტორებისათვის ფაქტორების გავლენის სპეციფიკური და მოსალოდნელი შედეგი შემდეგნაირად არის ფორმულირებული.

Agr = (Growth, FDI, GFCF, Trade, RER, Labour, π)

- + ა5 - + + + ა5 - + -

Ind = (Growth, FDI, GFCF, Trade, RER, Labour, π)

- + ა5 - + + + ა5 - + -

Serv = (Growth, FDI, GFCF, Trade, RER, Labour, π)

- + ა5 + + + ა5 - + -

$$lnAgr = \gamma_0 + \gamma_1 FDI_t + \gamma_2 lnGrowth_t + \gamma_3 lnGFCF_t + \gamma_4 lntrade_t + \gamma_5 + \gamma_5 lnlabour_t + +\gamma_6 \pi_t + \mu_t$$
$$lnInd = \gamma_0 + \gamma_1 FDI_t + \gamma_2 lnGrowth_t + \gamma_3 lnGFCF_t + \gamma_4 lntrade_t + +\gamma_5 lnlabour_t + +\gamma_6 \pi_t + \mu_t$$
$$lnServ = \gamma_0 + \gamma_1 FDI_t + \gamma_2 lnGrowth_t + \gamma_3 lnGFCF_t + \gamma_4 lntrade_t + +\gamma_5 lnlabour_t + +\gamma_6 \pi_t + \mu_t$$

AgrVA	სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულების წილი მთლიან შიდა პროდუქტში.	მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა (data.)
IndVA	მრეწველობის დამატებული ღირებულების წილი მთლიან შიდა პროდუქტში.	მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა
SerVA	მომსახურების დამატებული ღირებულების წილი მთლიან შიდა პროდუქტში.	მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა
Growth	რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი.	მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა
CFCF	მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის ფორმირება, წილი მშ-ში.	მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა
Infl	ინფლაციის განაკვეთი	მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა
Trade	სავაჭრო ლიბერალიზაცია გულისხმობს ქვეყნებს შორის საქონლის თავისუფალ გაცვლას ყოველგვარი შეზღუდვებისა და ბარიერების გარეშე. იგი განისაზღვრება მთლიანი სავაჭრო ბრუნვის ფარდობით მშპ-თან.	მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა
Labour	მოსახლეობის ზრდის ტემპი.	მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა

კვლევის შედეგები

ეკონომიკის სექტორებისა და ეკონომიკური ზრდის ფუნქციის შედეგები მოცემულია ცხრილი1,2,3,4-ში. ცხრილ1-ში წარმოდგენილი ამხსნელი შედეგები მიუთითებს, რომ F სტატისტიკა არის მნიშვნელოვანი 1%-იან დონეზე და უარყოფილია ნულოვანი ჰიპოთეზა, რომ ყველა რეგრესორს აქვს ნულისგან განსხვავებული კოეფიციენტი. Durbin-watson-ის სტატისტიკა დაახლოებით 2-ის ტოლია რაც ნიშნავს, რომ არ სრულდება არა სერიული კორელაციის ნულოვანი ჰიპოტეზის უარყოფა რეგრესიის მოდელში.

სოფლის მეურნეობის ზრდაზე მოქმედი ფაქტორები (დამოკიდებული ცვლადი: სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულების წილი მშპ-ში)

ცხრილი 1

Number of obs =	21
F(6, 14)	= 32.84
Prob > F	= 0.0000
R-squared	= 0.9337
Adj R-squared	= 0.9052
Root MSE	= 2.2032

AgrVA	Coef.	Std. Err.	t	P>t
Growth	.3249256*	.1540995	2,11	**0.053**
CFCF	.4416852**	.1502611	2,94	**0.011**
Infl	-.1839175	.1925106	-0.96	**0.356**

Trade	-.4329566***	.0448975	-9.64	**0.000**
Labour	.8071743*	.3684348	2,19	**0.046**
FDIGDP	.0114567	.1962757	0.06	**0.954**
_cons	-14.55167	22.43494	-0.65	**0.527**

გარდა ამისა, მორგებული R^2, რომელიც ადგენს თუ რამდენად კარგად ხსნის ამხსნელი ცვლადების სიმრავლე დამოკიდებულ ცვლადს, არის საკმარისად დიდი და გვიჩვენებს, რომ დაახლოებით ვარიაციის 90%-ით არის ახსნილი სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში რეგრესორების მიერ 1997-2017 წლებში. ბროშ გოდფრის სერიული კორელაცია ლაგრანჟის მულტიპლიკატორით ასაბუთებს, რომ ნარჩენების პირობა მოდელში არ არის სერიულად კორელირებული. ყველა ცვლადი უნდა იყოს სტაციონარული.

ემპირიული მონაცემები გვიჩვენებს, რომ პუი-ის კოეფიციენტი სტატისტიკურად არ არის მნიშვნელოვანი. ფაქტიურად, სოფლის მეურნეობის სექტორის ზრდაზე (ცვლადი: სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულების წილი მშპ-ში) პუი-ის შემოდინება არანაირ გავლენას არ ახდენდა 1997-2017 წლებში. ფაქტია, რომ მიუხედავად პუი-ის მნიშვნელოვანი ზრდის ეკონომიკაში, პუი-ის აქტიურობის არსებითი პროპორცია კონცენტრირებულია სხვა სექტორებზე. ამგვარად სოფლის მეურნეობის სექტორი ინარჩუნებს სტაგნაციას როგორც მშპ-ის ზრდის კუთხით,ისე პუი-ის მოდინების კუთხით.

ვაჭრობის ლიბერალიზაცია უარყოფით გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის სექტორზე. 1997-2017 წლებში ვაჭრობის ლიბერალიზაციის კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო, თუმცა მისი გავლენა სოფლის მეურნეობის სექტორზე არ არის სახარბიელო. კერძოდ, სხვა ფაქტორების მუდმივობის შემთხვევაში ვაჭრობის ლიბერალიზაციის 1%-იანი ცვლილება იწვევს მშპ-ში სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულების წილის 0.4 %-ით შემცირებას .

საინტერესოა ასევე მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის გავლენა სოფლის მეურნეობაზე, მართალია დადებით გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულების ფორმირებაზე, კერძოდ მისი 1%-იანი ზრდა იწვევს სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულების ზრდას 0,4% თუმცა ამ კოეფიციენტის სტატისტიკური მნიშვნელობა არის საშუალო. ასევე საშუალოა სამუშაო ძალისა და ეკონომიკური ზრდის სტატისტიკური მნიშვნელობა, თუმცა მათი გავლენა სოფლის მეურნეობის სექტორზე დადებითია. კერძოდ, ეკონომიკურ ზრდის 1%-იანი ცვლილება განაპირობებს სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულების წილის ზრდას მშპ-შ 0.05%, ხოლო სამუშაო ძალის 1%-იანი ზრდა 0,8% ზრდის დამატებული ღირებულების წილს მშპ-ში.

რაც შეეხება მაკროეკონომიკური სტაბილურობის განმსაზღვრელ კოეფიციენტს - ინფლაციას - მისი გავლენა სოფლის მეურნეობის სექტორზე არ არის დადებითი, თუმცა მოცემული კოეფიციენტი სტატისტიკურად არ არის მნიშვნელოვანი.

მრეწველობის სექტორის ზრდაზე მოქმედი ფაქტორები (დამოკიდებული ცვლადი: მრეწველობის დამატებული ღირებულების წილი მშპ-ში)

ცხრილი 2

Source	**SS**	**Df**	**MS**	**Number of obs**	**=**	**21,00**
				F(6, 14)	=	45383,00
Model	27.7908132	6,00	4.6318022	Prob > F	=	0.0122
Residual	15.2822165	14,00	1.0915869	R-squared	=	0.6452
				Adj R-squared	=	0.4931
Total	43.0730298	20,00	2.15365149	Root MSE	=	1.0448

IndVA	**Coef.**	**Std. Err.**	**t**	**P>t**
Growth	.2215036***	.0730777	43162,00	0.009
CFCF	.2495997***	.0712574	18323,00	0.004
Infl	-.1240232	.0912932	-1.36	0.196
Trade	-.0121896	.0212915	-0.57	0.576
Labour	-.1742395	.1747207	-1.00	0.336
FDIGDP	-.0775035	.0930787	-0.83	0.419
_cons	27.80606	10.63919	22313,00	0.020

ახლა კი განვიხილოთ მრეწველობის სექტორზე მოქმედი ფაქტორების გავლენა. როგორც ცხრილი 2 გვიჩვენებს, რომ პუი-ის გავლენა ინდუსტრიაზე არის უარყოფითი. თუმცა, სტატისტიკურად არ არის მნიშვნელოვანი. ასევე ინდუსტრიაზე უარყოფითად გავლენას ახდენს ისეთი ცვლადები როგორიცაა ინფლაცია,

ვაჭრობის გახსნილობა და მოსახლეობის ზრდის ტემპი, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული ცვლადები სტატისტიკურად არ არის მნიშვნელოვანი მათი გავლენის გათვალისწინება არ არის მიზანშეწონილი. რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდასა და მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის კოეფიციენტებს, ისინი დადებითად მოქმედებენ მრეწველობის სექტორის ზრდაზე და ასევე მოცემული კოეფიციენტები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. ანუ ეკონომიკური ზრდის 1%-ით ზრდა იწვევს ინდუსტრიის მშპ-ში დამატებული ღირებულების ზრდას 0.2%-ით, ხოლო მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის მოცულობის 1%-იანი ზრდა იწვევს მშპ-ში ინდუსტრიის დამატებული ღირებულების წილის ზრდას 0.2 %-ით.

მომსახურების სექტორის ზრდაზე მოქმედი ფაქტორები (დამოკიდებული ცვლადი: მომსახურების დამატებული ღირებულების წილი მშპ-ში)

ცხრილი 3

Source	SS	df	MS	Number of obs	=	21,00
				F(6, 14)	=	17380,00
Model	440.743694	6,00	73.4572823	Prob > F	=	0.0005
Residual	121.363825	14,00	8.66884466	R-squared	=	0.7841
				Adj R-squared	=	0.6916
Total	562.107519	20,00	28.105376	Root MSE	=	2,94

SerVA	Coef.	Std. Err.	t	P>t
Growth	-.2971593	.205938	-1.44	0.171
CFCF	-.3310356	.2008083	-1.65	0.121
Infl	.1604277	.2572704	0.62	0.543
Trade	.3287315	.0600009	17654,00	0.000
Labour	-.5098118	.4923748	-1.04	0.318
FDIGDP	-.3949716	.262302	-1.51	0.154
_cons	71.50168	29.98197	13912,00	0.032

ახლა კი განვიხილოთ, როგორ გავლენას ახდენს ლიტერატურის ანალიზში მოცემული ფაქტორები მომსახურების სექტორის ზრდაზე.

როგორც ცხრილი 3 გვიჩვენებს, დამოკიდებული ცვლადია მომსახურების დამატებული ღირებულების წილი მშპ-ში. ეკონომიკური ზრდა, მთლიანი კაპიტალის ფორმირება, სამუშაო ძალა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უარყოფით დამოკიდებულებაში იმყოფება მომსახურების დამატებული ღირებულების წილთან მშპ-ში. თუმცა ყველა ეს ცვლადი არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. რაც შეეხება ვაჭრობის გახსნილობას, მისი დამოკიდებულება მომსახურების ზრდაზე არის დადებითი და ამავე დროს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, ანუ ვაჭრობის გახსნილობის 1%-იანი ზრდა იწვევს მომსახურების დამატებული ღირებულების ზრდას 0,3 %-ით.

დასკვნა

კვლევა გვიჩვენებს, რომ საქართველოს ეკონომიკა დახასიათდა ოთხი ფაზით: კოლაფსი, სტაბილიზაცია, დაჩქარება, კრიზისი და გამოჯანსაღება. თითოეულ ფაზა გამოირჩეოდა მისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და ინსტიტუციონალური პირობებით, რომელიც მთლიანობაში განსაზღვრავდა ქვეყნის სპეციფიკას. 1990-2017წლებში სტრუქტურული ცვლილებების პერიოდი ოთხ ეტაპადაა დაყოფილი. პირველი ეტაპი 1990 წლამდე, როდესაც სოფლის მეურნეობას, მომსახურებას და მრეწველობას თანაბრად შეაქვს წვლილი მშპ-ის ფორმირებაში. მეორე ეტაპი, როდესაც მრეწველობის და მომსახურების წილი მშპ-ში მცირდება და იზრდება სოფლის მეურნეობის წილი. მესამე ეტაპი, როდესაც სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულების წილი მშპ-ში იწყებს შემცირებას, ხოლო მომსახურების დამატებული ღირებულების წილი იზრდება. და მეოთხე ეტაპი, როდესაც მრეწველობის წილი მშპ-ში სტაბილურდება საშუალოდ 23%-ზე, მკვეთრად იზრდება მომსახურების წილი 61%-მდე და მკვეთრად მცირდება სოფლის მეურნეობის წილი და სტაბილურდება საშუალოდ 14%-მდე.

მოცემული კვლევა ასევე ცხადყოფს, რომ სოფლის მეურნეობის სექტორის ზრდაზე პუი-ის შემოდინება არანაირ გავლენას არ ახდენდა 1997-2017 წლებში. მართალია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მთლიან ეკონომიკაში მზარდი ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ ძირითადად ეს სხვა სექტორების ხარჯზე ფიქსირდება. შეიძლება ითქვას, რომ პუი ამ სექტორში სტაბილურობით ხასიათდება როგორც მშპ-ის ზრდის, ისე პუი-ის შემოდინების კუთხით. იქიდან გამომდინარე, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ დარგის განვითარებისთვის უნდა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები. მაგალითად, ერთ-ერთი კარგი გზა ტექნოლოგიების შეტანა და სპეციალისტთა გადამზადებაა.

პუი-ის გავლენა მრეწველობაზე არის უარყოფითი. თუმცა, სტატისტიკურად არ არის მნიშვნელოვანი. ეკონომიკური ზრდისა და მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის კოეფიციენტები დადებითად მოქმედებენ მრეწველობის სექტორის ზრდაზე და ასევე მოცემული კოეფიციენტები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. კვლევა ცხადყოფს, რომ ეკონომიკური ზრდისა და მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის მოცულობის 1%-ით ზრდა მრეწველობის დამატებული ღირებულების

წილს 0.2 %-ით ზრდიდა მშპ-ში.

დღეისთვის შეინიშნება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სექტორის წილის მნიშვნელოვანი კლება და მომსახურების სექტორის მოცულობის ზრდა. იგი არის ყველაზე დიდი და სწრაფად მზარდი ეკონომიკის სექტორი საქართველოში. კვლევით დგინდება რომ, ვაჭრობის გახსნილობის 1%-ით ზრდა მომსახურების დამატებული ღირებულების წილს 0,35%-ით ზრდიდა.

რეკომენდაციის სახით კი ვიტყოდი: იმისათვის რომ ქვეყანამ უფრო მეტი სარგებელი მიიღოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რომელი დარგებია პრიორიტეტული, რის შემდეგაც აუცილებელია გაიზარდოს დაფინანსება კვლევებისა და განვითარებისთვის როგორც სახელმწიფოს, ასევე ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ. მეცნიერთა აზრით, რაც უფრო მეტი ინვესტიციაა ჩადებული კვლევებსა და განვითარებაში, მით მეტი ცოდნის მიღების შესაძლებლობა აქვთ მულტინაციონალური კომპანიებისგან მიმღები ქვეყნის ფირმებს. საბოლოოდ ეს აისახება სამამულო ფირმების კომპეტენციების ზრდაზე და შეძლებენ კონკურენცია გაუწიონ უცხოელ კონკურენტებს.

ბიბლიოგრაფია:

Adewumi, S. (2006). The Impact of FDI on Growth in Developing Countries: An African Experinece. *Jonkoping International Business School, Sweden.*

Alfaro, L. (2003). *Foreign Direct Investment and Growth: Does the Sector Matter? .* Harvard Business School.

Alfaro, L. (2003). *Foreign Direct Investment and Growth: Does the Sector Matter? .* Working paper Harvard Business School.

Alfaro, L. (2003). *Foreign Direct Investment and Growth: Does the Sector Matter? .* working paper,Harvard Business School.

Alfaro, L. (2003). *Foreign Direct Investment and Growth: Does the Sector Matter? .* Harvard Business School.

Athukorla, C. (2003). Australian Economic History Review. *An Asia-Pacific of Economic ,Business social history*, 197-213.

Bank, T. W. (თ. გ.). *The World Bank.* მოპოვებული https://data.worldbank.org/country/georgia?view=chart -დან

Bank, W. (2013). *Georgia Rising. Sustaining Rapid Economic Growth.* washington.

Bassanini, A. a. (2001). The Driving Forces of Economic Growth: Panel Data Evidence for the OECD Countries. *OECD Economic Studies,*, 33, 9-56. მოპოვებული https://doi.org/10.1787/eco_studies-v2001-art10-en -დან

Borensztein, E. D. (1998). How Does Foreign Direct Invest-ment Affect Economic Growth? *Journal Of International Economics*, 45,115-135.

Chen, Y. a. (2002). *Foreign Direct Investment and Manufacturing Productivity in China. CEPII Research Project on the Competitiveness of China's Economy. [.*

data, T. W. (თ. გ.). მოპოვებული https://data.worldbank.org/country/georgia?view=chart-დან

data., W. B. (თ. გ.). მოპოვებული World Bank data. https://data.worldbank.org/country/georgia?view=chart -დან

De Silva, N. M. (2013 წლის 2-5 February). Trade Liberalization Effects on Agricultural Production Growth: The Case. *Southern Agricultural Economics Association Annual Meeting(SAEA)*.

De Sormeaux, A. a. (2011). *Factors Influencing Agriculture's Contribution to GDP: Latin America and the Caribbean. .* Trinidad: Department of Agricultural Economics and Extension, The University of the West Indies, St. Augustine Campus,.

Edey, M. (1994). Costs and Benefits from Moving from Low Inflation to Price Stability. . *OECD Economic Studies, No. 23,* , 109-130. მოპოვებული https://www.oecd.org/eco/monetary/33929490.pdf -დან

Edey, M. (1994). Costs and Benefits from Moving from Low Inflation to Price Stability. *OECD Economic Studies, No. 23*, 109-130. მოპოვებული https://www.oecd.org/eco/monetary/33929490.pdf-დან

Group, W. B. (2018). *Georgia: From reformer to performer. A systematic country diagnostic.*

Jayanthakumaran, K. (2002). *The Impact of Trade Liberalisation on Manufacturing Sector Performance in Developing Countries: A Survey of the Literature.* Wollongong: Department of Economics,University of Wollongong.

Klein, M. A. (2001). *Foreign Direct Investment and Poverty Reduction.* Policy Research Working Paper, World Bank eLibrary. .

Krugman, P. (1990). *Rethinking International Trade.* Cambridge Massachusetts: MIT Press.

Krugman, P. (1990). *Rethinking International Trade.* Cambridge,Massachusetts: MIT Press.

Lotfalipour, R. A. (2013). Exchange Rate Impacts on Investment of Manufacturing Sectors in Iran. *Business and Eonomic Research*, 3,12-22. მოპოვებული https://doi.org/10.5296/ber.v3i2.3716-დან

Loungani, P. a. (2001). *How Beneficial Is FDI for Developing Countries?* მოპოვებული International Monetary Fund: http://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2001/06/loungani.htm -დან

Magnus Blomström, A. K. (2003). *THE Economics Of Foreign Direct Investment Incentives.* Cambridge, MA 02138: NATIONAL BUREAU OF ECONOMIC RESEARCH ,. მოპოვებული http://www.nber.org/papers/w9489,-დან

Mahesh Kumar, M. (2014). FDI and Indian Economic Growth Factors—An Empirical Analysis. *International Journal of Management and Commerce Innovations*, 2,7-18.

Miller, S. a. (2000). The Effects of Openness, Trade Orientation and Human Capital on Total Factor Productivity. *Journal od Development Economics*, 63,399-423. მოპოვებული https://doi.org/10.1016/S0304-3878(00)00112-7-დან

Msuya, E. (2007). The Impact of Foreign Direct Investment on Agricultural Productivity and Poverty Reduction in Tanzania. Kyoto : Kyoto University.

Rodrik, D. (1996). Understanding Economic Policy Reform. *Journal of Economic Literature*, 34,9-41. მოპოვებული http://www.jstor.org/stable/2729408-დან

Rutihinda, C. (2007). Impact of Globalization on Small and Medium Size Firms in Tanzania. . Hawai,USA.

Singaariya, M. a. (2015). Relationships among Per Capita GDP, Agriculture and Manufacturing Sectors in India. *Journal of Finance and Economics*, 3,36-43.

UNCTAD. (2001). *Trade and Investment Report.* The United Nations,New Yorck.

დ. სიხარულიძე, ვ. ,. (2018). *უცხოური პირდაპირი ინვესტიციები: თეორია და საქართველოსგ ამოცდილება.* თბილისი. მოპოვებული http://eprints.tsu.ge-დან

დავით სიხარულიძე, ვ. ჭ. (2018). *უცხოურიპ ირდაპირი ინვესტიციები: თეორია და საქართველოს გამოცდილება.* თბილისი: ,,უნივერსალი".

ე.ბარათაშილი, დ. მ. (2009). *საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები.* თბილისი.

ევგენი ბარათაშვილი, დ. მ. (2009). *საქართველოს საინვესტიციო გარემოს სრულყოფისპ რინციპები.* თბილისი.

ვულდრიჯი.ჯ. (2016). *შესავალი ეკონომეტრიკაში.* თბილისი: თსუ.

მექვაბიძე, რ. (2009). ეკონომეტრიკა პრაქტიკაში. თბილისი. მოპოვებული https://www.scribd.com/doc/179179154/%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98-დან

სამინისტრო, ს. ფ. (თ. გ.). მოპოვებული https://www.mof.ge/images/File/BROSHURA/2017/Outlook_August_2017_GEO.pdf -დან

სამინისტრო, ს. ფ. (თ. გ.). მოპოვებული https://www.mof.ge/images/File/BROSHURA/2017/Outlook_August_2017_GEO.pdf-დან

სამსახური, ს. ს. (თ. გ.). მოპოვებული http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/ucxouri%20investiciebi%2010.12.2018%20(geo).pdf -დან

სამსახური, ს. ს. (თ. გ.). მოპოვებული http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo -დან

სამსახური, ს. ს. (თ. გ.). მოპოვებული http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo -დან

სამსახური, ს. ს. (თ. გ.). მოპოვებული http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/ucxouri%20investiciebi%2010.12.2018%20(geo).pdf -დან

სამსახური, ს. ს. (თ. გ.). მოპოვებული http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/ucxouri%20investiciebi%2010.12.2018%20(geo).pdf-დან

სიხარულიძე დ. (2018). ჩათრევისა და გამოდევნის ეფექტი და მისი გავლენა ადგილობრივ ინვესტიციებზე . *გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში* (გვ. pp. 352-358). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ.

სიხარულიძე, დ. (2018). *სამრეწველო და საწარმოო პოლიტიკა-,, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა".* საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.

სიხარულიძე, დ. (2018). *სამრეწველო და საწარმოო პოლიტიკა-,,სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა".* თბილისი: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.

საქართველოს რკინიგზა, როგორც სამხრეთ კავკასიური სატრანსპორტო დერეფნის ნაწილი

დავით სიდამონიძე

რეზიუმე

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია საქართველოს რკინიგზის როლი საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანთან მიმართებით, მისი განვითარება და სამომავლო პერსპექტივები. თემა არჩეულია საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით. საქართველოს რკინიგზის მგზავრთა და ტვირთბრუნვის კლება მოწმობს, რომ ქვეყნის როლი საერთაშორისო დერეფანში შემცირებულია. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, საჭიროა მისი საწყისების ძიება, პროცესის ევოლუციისათვის თვალის გადევნება და იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც განაპირობებენ არსებულ მდგომარეობას.

ნაშრომის მიზანს და სიახლეს წარმოადგენს საქართველოში რკინიგზის თანამედროვე მდგომარეობის საზოგადოებრივ გეოგრაფიული ასპექტების შესწავლა, რომელმაც მოიცვა შემდეგი ამოცანები და საკითხები: საქართველოს რკინიგზაზე არსებული თანამედროვე ლიტერატურის ანალიზი არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიება და ახსნა; პარალელების გავლება წარსულსა და დღევანდელობას შორის, იმ ძირითადი ტენდენციებისა და ასპექტების გამოყოფა, რომლებმაც განიცადეს ცვლილება. აგრეთვე, იმ ფაქტორების გამოვლენა, რომელიც ხელს შეუწყობს განვითარებას.

საქართველოს რკინიგზის მაგალითზე სატრანსპორტო დერეფანზე არსებული თანამედროვე სიტუაციის წარმოჩენა, არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გაანალიზება საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ ის მიმართულებები, რომლებიც ხელს შეუწყობს დერეფნის ათვისებასა და შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდას. სატრანსპორტო სისტემის, კონკრეტულად რკინიგზის, პოტენციალის გამოყენება საქართველოს მნიშვნელოვან ამოცანას და პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს, რადგანაც ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ქვეყანა საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის მატარებლად ითვლება. თუმცა, გარემო პირობების გათვალისწინებით, ჩნდება კითხვა, რამდენად მზად არის საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტი ჩაერთოს საერთაშორისო დერეფანში არსებული ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე. რამდენად უღირს ქვეყანას რკინიგზა არსებული სახით შეინარჩუნოს.

საკვანძო სიტყვები: *საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი, საქართველოს რკინიგზა, გეოეკონომიკა.*

Abstract

The purpose of this article is to show the place of Georgian railway in transport corridor, its development and future perspectives. The topic was chosen due to its actuality. Decline in amounts of freight and passenger shows that country is not so attractive to be international

transport corridor. To overcome the problem, we should know cause of it and the whole process of development, showing the factors which have influenced on the current result.

The aim and novelty of the article is research of human geographical aspects of modern Georgian railway, which covers the following objectives and issues: analyze existed modern literature around Georgian railway, find and explain causes and consequences, compare current trends with past, setting the perspectives.

Examining Georgian railway will be good example for understanding Caucasian transport corridor in order to connect it with international transport corridors and benefit for local economy growth. Being part of international trading systems is key to Georgia's geopolitical location. According to current international economic environment and Georgian railway's infrastructural and economic regress there are several questions how can it be part of international transport corridor.

***Keywords**: International transport corridor, Georgian railway, geoeconomy, geopolitics.*

შესავალი

საკითხის აქტუალობა

21-ე საუკუნეში მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების მასშტაბი სულ უფრო და უფრო იზრდება. ამან რადიკალურად შეცვალა მსოფლიო განვითარების სურათი და მოიცვა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტი - ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული სფერო. გლობალიზაციური პროცესების ფონზე მსოფლიო სულ უფრო მეტად მიისწრაფვის ეკონომიკური ინტეგრაციისაკენ. ასეთ ვითარებაში, საერთაშორისო სისტემის სახე იცვლება, პოლიტიკური თუ სამხედრო ძლიერების მნიშვნელობას ენაცვლება ეკონომიკური და ფინანსური სიძლიერე (კვინიკაძე, 2014). ეკონომიკური სიძლიერის განმაპირობებელია პროდუქციის გასაღების ბაზარზე ეფექტური შეღწევა და დამკვიდრება, ქვეყნებს შორის ხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბება. ამ ფაქტორების განვითარებისათვის საჭიროა კავშირები, რაც ხარისხიანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გარეშე წარმოუდგენელია.

ეფექტური სატრანსპორტო სექტორი წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს გლობალური და ეროვნული მასშტაბით. ხელმისაწვდომობა განსაზღვრავს განვითარების გლობალურ მოდელებს და შეიძლება გახდეს კატალიზატორი (ისე, როგორც ბალტიისპირეთში) ან დამაბრკოლებელი ფაქტორი ეკონომიკური ზრდისათვის ცალკეულ ქვეყნებში. ტრანსპორტი გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე ცივილიზაციის დაბადებიდანვე. ეკონომიკური განვითარება თავს იყრის სატრანსპორტო სისტემების შერწყმის ადგილებში - პირველი ქალაქები ჩამოყალიბდა ბუნებრივი პორტების, აგრეთვე მდინარეებისა და ტბების ახლოს, სადაც არსებობდა ტრანსპორტი. ტრანსპორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეობაა რკინიგზა, რომელიც ტრანსპორტის უნივერსალური სახეობაა. ის შედარებით ნაკლებად არის დამოკიდებული ბუნებრივ–გეოგრაფიულ პირობებზე, ხასიათდება გადაზიდვის შედარებით ნაკლები თვითღირებულებით და ყველაზე

ხელსაყრელია მასობრივი ტონაჟის ტვირთის გადაზიდვისთვის. რკინიგზამ შეიძინა ყველაზე საიმედო ტრანსპორტის სახე უსაფრთხოების კუთხითაც. მატარებლები სწრაფად გადაადგილდებიან და მოძრაობაზე არ მოქმედებს ამინდი, ტურბულენტობა და ა.შ. სხვა სატრანსპორტო საშუალებებისგან განსხვავებით.

თავისთავად ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაზეც ზემოქმედებს. უკვე წლებია, რაც გვესმის საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის შესახებ, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს გეოეკონომიკური მდებარეობაც, არანაკლებ სახარბიელო აქვს. შესაბამისად, მას აქვს პოტენციალი, რათა დაამყაროს ქვეყნებს შორის მომგებიანი სავაჭრო ურთიერთობა და მოახერხოს პროდუქციის გასაღების ბაზარზე ეფექტური შეღწევა და დამკვიდრება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამისათვის აუცილებელია განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებობა. აუცილებელია, გავაანალიზოთ მზად არის თუ არა საქართველოს რკინიგზა შეიტანოს წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში და გახდეს საერთაშორისო სარკინიგზო ქსელის ნაწილი და კონკურენცია გაუწიოს სხვა სატრანსპორტო დერეფნებს.

ნაშრომის მიზანი

ნაშრომის მიზანი გახლდათ - საქართველოში რკინიგზის თანამედროვე მდგომარეობის საზოგადოებრივ გეოგრაფიული ასპექტების (1991 წლიდან დღემდე საქართველოს რკინიგზის განვითარების და პერსპექტივების) შესწავლა; ნაშრომის ფარგლებში გადაიჭრა შემდეგი ამოცანები: საქართველოს რკინიგზაზე არსებული თანამედროვე ლიტერატურის ანალიზი, არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიება და ახსნა; პარალელების გავლება წარსულსა და დღევანდელობას შორის; იმ ძირითადი ტენდენციებისა და ასპექტების გამოყოფა, რომლებმაც განიცადეს ცვლილება. გამოვლინდა და გაანალიზდა დღევანდელი ტენდენციები და სამომავლო პერსპექტივები.

მეთოდოლოგია

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, წარმოადგენს სატრანზიტო პოტენციალის ათვისებისათვის განხორციელებული ქმედებების მიზანთან მიმართებით ადეკვატურობის შეფასება; რეალური გარემო პირობების ზეგავლენის გათვალისწინებით რამდენად შესაძლებელია ამ მიმართულებით არსებულ პროექტებში გათვალისწინებული შედეგების მიღწევა;

კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია სისტემური მიდგომა. სატრანსპორტო სექტორი განხილულია, როგორც ერთიანი სისტემა, რომელზეც მოქმედებს შიგა და გარე ფაქტორები კომპლექსურად და დინამიკურად - განუწყვეტლივ დროსა და სივრცეში. დროსა და სივრცეში განუწყვეტლივ მოქმედი სისტემის ანალიზისას უპირატესობა მინიჭებული აქვს მეორადი დოკუმენტების ანალიზის მეთოდს. ანალიზის მეთოდის გამოყენებისას გათვალისწინებულია ფაქტი, რომ დოკუმენტების შესწავლა თანადროულად გამოვლენილი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ასევე, დოკუმენტების ანალიზის მეთოდის გამოყენებისას მნიშვნელობა მინიჭებული აქვს გამოყენებული დოკუმენტის ვალიდობისა და სანდოობის ძირითად კრიტერიუმებს (აუთენტურობას, სიზუსტეს, ლეგიტიმურობას, მნიშვნელობას).

საქართველოს სატრანსპორტო მდებარეობა შესაძლებელია განვიხილოთ ადგილმდებარეობის თეორიულ კონტექსტში. თეორია, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკური საქმიანობის გეოგრაფიულ მდებარეობასთან, ის არის ეკონომიკური გეოგრაფიის, რეგიონული მეცნიერებებისა და სივრცითი ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ადგილმდებარეობის თეორია პასუხობს შეკითხვებს თუ რომელი ეკონომიკური საქმიანობები სად მდებარეობს და რატომ. იგი შეგვიძლია შევადაროთ ვებერის სამრეწველო მდებარეობის თეორიას. ალფრედ ვებერმა ჩამოაყალიბა სამრეწველო მდებარეობის თეორია, სადაც საწარმო მდებარეობს იქ, სადაც ნედლეულისა და საბოლოო პროდუქტის ტრანსპორტირების ხარჯი მინიმალურია.

ძირითადად აქცენტი გაკეთდება სატრანსპორტო დერეფნებზე, როგორც თეორიულ მიდგომაზე, რომლებიც წარმოადგენენ ნაკადების დაგროვებისა და ინფრასტრუქტურულ კვანძებს, მათი განვითარება დაკავშირებულია ეკონომიკის, ინფრასტრუქტურულ და ტექნოლოგიურ პროცესებთან. როდესაც პროცესი ურბანულ განვითარებას ეხება, ურბანული დერეფნები არიან ქალაქების ღერძის სისტემა, რომლებიც განვითარდნენ ძირითადად სამდინარო ან სანაპირო ზოლში. მსგავსი მახასიათებლები აქვთ ბევრ ურბანულ რეგიონებს, მათ შორის ბოსვაშს (ბოსტონი-ვაშინგტონი) და ტოკაიდოს (ტოკიო-ოსაკა).

კვლევაში ერთ-ერთ მეთოდად, ასევე, გამოყენებულია გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები, რომელიც კომპიუტერის ბაზაზე შექმნილი სისტემაა და სივრცითი მონაცემების დაფიქსირების, ანალიზისა და წარმოდგენის კარგ საშუალებას იძლევა. სტატიაში მოყვანილი რუკა შედგენილია ავტორის მიერ გეოინფორმაციული სისტემების დახმარებით.

კვლევის ფარგლებში საჯარო ინფორმაცია გამოთხოვილია ცენტრალური ხელისუფლების სხვადასხვა უწყებიდან. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, შეფასებულია რკინიგზის მიმართულებით განხორციელებული და დაგეგმილი პროექტები; კვლევის მიზნიდან გამომდინარე გაანალიზებულია როგორც უახლესი, ისე წინა წლების მონაცემები.

სტატიაში განხილულია საქართველოს რკინიგზის საქმიანობის აქტუალობა და მისი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. გაანალიზებულია სტატისტიკური მონაცემები, სხვადასხვა ორგანიზაციის კვლევები რკინიგზაში მიმდინარე ცვლილებებზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოს ტრანსპორტზე თანამედროვე ლიტერატურა საკმაოდ მწირია, განსაკუთრებით რკინიგზაზე. შესაბამისად, ზოგიერთი საკითხის აღსაწერად უცხოელ ავტორებს ვეყრდნობით. ჟ. პ. როდიგო მიიჩნევს, რომ მობილობა ფუნდამენტურია ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის, მოხმარება, წარმოებისა თუ მიწოდების საკითხებში. სატრანსპორტო სისტემები შედგებიან ინფრასტრუქტურის, კვანძებისა და ტერმინალებისაგან, რომლებიც უკავშირდებიან ინდივიდების სოციალურ-ეკონომიკურ ყოფას, ინსტიტუციებსა და კორპორაციებს, რომლებიც ზოგჯერ მომხმარებლებისათვის უხილავები არიან. სატრანსპორტო სისტემების გეოგრაფია ითვალისწინებს ტვირთების, ხალხისა და ინფორმაციის მოძრაობას, ცდილობს დააკავშიროს სივრცითი შეზღუდვები და მახასიათებლები მოძრაობის წარმოშობა, დანიშნულება, ბუნებასა და მიზნებთან (Rodrigue, 2006).

რაც შეეხება საქართველოს, მას მოხერხებული სატრანსპორტო მდებარეობა აქვს, რომელიც ქმნის ხელსაყრელ პირობებს ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის.

1. ცენტრალური მდებარეობა პოსტსაბჭოთა სივრცის ევროპული ნაწილის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებს, სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიის რესპუბლიკებსა და აგრეთვე აზიის სხვა სახელმწიფოებს შორის.
2. უშუალო გასასვლელი შავ ზღვაზე და ამდენად, საერთაშორისო მნიშვნელობის საზღვაო ტრასებზე.
3. საქართველოს ტერიტორიაზე სახმელეთო სატრანსპორტო კომუნიკაციების თავმოყრა, რომლებიც აერთებენ შავსა და კასპიის ზღვებს.
4. თურქეთთან და ირანთან სიახლოვე, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს სატრანსპორტო გადაზიდვისა და ამ სახელმწიფოებთან სატრანსპორტო-ეკონომიკური კავშირების განხორციელებისათვის.
5. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ქვეყნის ყოფილი სამრეწველო ცენტრები თბილისი, რუსთავი, გორი, ხაშური, უჭირავთ რა ცენტრალური მდებარეობა სამხრეთ კავკასიაში, წარმოადგენენ ოპტიმალურ პუნქტებს სამხრეთ კავკასიის მსხვილ ეკონომიკურ რაიონში სამრეწველო პროდუქციის გადასანაწილებლად (კვერენჩხილაძე, 1986).

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება განხილული იქნეს ისეთი კლასტერების აგება, როგორიცაა: სატრანსპორტო (ქვეყნის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო, მისი ეს ფუნქცია ჯერ კიდევ აბრეშუმის გზის მიერ იქნა აღიარებული: სარკინიგზო, მაგისტრალური, საჰაერო, მილსადენი), ტურიზმის (ეკოტურიზმი, რეკრეაციული და საკურორტო, პილიგრიმული ტურიზმი და სხვა), სოფლის მეურნეობის დიდ კლასტერში ეკოლოგიური პროდუქტების წარმოების მიზნით ქვეკლასტერების (ხეტყის, მევენახეობა-მეღვინეობის, მებაღეობის, და სხვა საკვები პროდუქტების) შექმნა. სატრანსპორტო კლასტერი, კერძოდ, საქართველოში სარკინიგზო ტრანსპორტის კლასტერის ჩამოყალიბებასა და მისი განვითარების პერსპექტივებზე საუბრისას აუცილებელია ისტორიული ფაქტების მიმოხილვა, რომლებიც მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებას საქართველოს ეკონომიკისათვის. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ყურადღება სწორედ მის სატრანზიტო ფუნქციაზე გამახვილდეს (ჭურჭელაური, 2011).

ერნესტ ალფრედ იაროვი თავის ნაშრომში „ზამთარი კავკასიაში“ ხაზს უსვამს რკინიგზის, როგორც სატრანსპორტო საშუალების როლს რეგიონში მგზავრთა გადაყვანის კუთხით, მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. იგი აღნიშნავს, რომ კავკასიაში რკინიგზის ჯაჭვის ცენტრი არის სწორედ თბილისი, გამომდინარე შემდეგი სარკინიგზო მიმართულებებიდან: ყარსი-თბილისი, ერევანი-თბილისი, თავრიზი-ერევანი-თბილისი, ბაქო-თბილისი. ამ პერიოდში რეგიონში არსებული კონფლიქტების გამო ყველაზე აქტიურად მობილობისათვის გამოიყენებოდა საქართველოს რკინიგზა (Yarrow).

არჩილ გეგეშიძე „საქართველო სტრატეგიული ნიშის ძიებაში“ აღნიშნავს, რომ რუსეთი საქართველოს მნიშვნელობას ტერიტორიული მდებარეობით აფასებს. მისი კონტროლი რუსეთს საშუალებას მისცემს თურქეთის გავლენა შეამციროს ჩრდილოეთ კავკასიაზე, ასევე აღმოსავლეთით ცენტრალურ აზიაზე. საქართველოს კონტროლი რუსეთს ნატოს კასპიის ზღვის აუზის ექსპანსიის შეჩერების საშუალებას აძლევს. საბოლოოდ კი აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგო-დერეფნის კონტროლის შესაძლებლობას ანიჭებს. თურქეთი საქართველოს ხედავს, როგორც სავაჭრო ურთიერთობების გზას კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ირანი კი ამერიკული გავლენის მძევლად აღგვიქვამს. შესაბამისად, საქართველოს მსოფლიო ბაზარზე სატრანსპორტო ნიშით ხასიათდება, რისი სწორი კურსით წარმართვაც ქვეყანას ეკონომიკური განვითარების საშუალებას აძლევს.

საქართველოს, როგორც კასპიის ზღვის აუზის ნავთობრესურსების სატრანსპორტო პარტნიორის როლი 1995 წელს იქნა აღიარებული, როდესაც აზერბაიჯანმა და დასავლეთის ნავთობმომპოვებელი კომპანიებმა მონიშნეს მილსადენის გზა ბაქოდან სუფსამდე, აზერბაიჯანული ნავთობის ბაზრამდე მისატანად. ამ ყველაფერმა გამოიწვია საქართველოს, როგორც მოთამაშის გაჩენა კასპიური ნავთობის თამაშში, ამ ყველაფერს მოჰყვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის გზა, ასევე შაჰდენიზი-თბილისი ერზერუმის გაზსადენის გაყვანა. დასავლეთის ქვეყნებთან და მსოფლიო ენერგო კომპანიებთან პარტნიორობის გაზრდამ, საქართველო რუსეთის სამიზნედ აქცია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთი განუწყვეტლივ ცდილობს საქართველოზე კონტროლის მოპოვებას და ხშირ შემთხვევაში ამას ოკუპირებული ტერიტორიების მანიპულირების მეშვეობით ცდილობს.

ტრანსრეგიონულმა მილსადენებმა გარკვეულწილად ხელი შეუწყეს რეგიონის პოლარიზებას და სტრატეგიული ალიანსების ჩამოყალიბებას ბენეფიციარების მეშვეობით (აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი და აშშ) და დამარცხებულთა ბლოკის გაჩენას (რუსეთი, ირანი და სომხეთი). აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო დერეფნის ჭიშკრის ფუნქციამ, საქართველო ევრაზიული დერეფნისა და ახალი აბრეშუმის გზის მოწინავე ლობისტად აქცია. ევროკავშირის მიერ ინიცირებული ტრასეკას რეგიონული პროგრამის და კასპიის მილსადენი პროექტების არსებობა გამოწვეულია საერთაშორისო ბაზარზე კასპიის, როგორც მომწოდებლის როლის ზრდით. საქართველო ამ ყველაფერში მნიშვნელოვან სატრანზიტო ადგილს იკავებს. აფხაზეთის, ცხინვალისა და ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებით ქვეყანა ჩრდილო-სამხრეთ სავაჭრო დერეფნის როლსაც მოირგებს (Gegeshidze).

თეიმურაზ გორშკოვი და გიორგი ბაღათურია სტატიაში „Developments at Georgian Railway” განიხილავენ საქართველოს რკინიგზის განვითარების ერთ-ერთი პერსპექტივას – ახალ აბრეშუმის გზას. აბრეშუმის გზა საქართველოსთვის იყო უფრო მეტი, ვიდრე სავაჭრო მარშრუტი, კონკრეტულად, გზა ცოდნისა და კულტურის გაცვლისთვის. ის ერთმანეთთან აკავშირებდა აზიასა და ევროპას და წვლილი შეჰქონდა კავკასიის რეგიონის ყველა ქვეყნის განვითარებაში. ავტორები თვლიან, რომ დღეს საქართველოს რკინიგზის ქსელს აქვს მსგავსი მნიშვნელობა და დანიშნულება, როგორიც ჰქონდა ანტიკური აბრეშუმის გზას. მათი აზრით, საქართველოს რკინიგზა წარმოადგენს მთავარ სატრანსპორტო არტერიას კასპიის ზღვისა და შავი ზღვის ერთმანეთთან დასაკავშირებლად. ისინი სტატიაში მიმოიხილავენ ისტორიას –

პირველად 1830–იან წლებში გაჩნდა, აღსრულება კი 1865 წელს დაიწყეს. პირველი მგზავრი ფოთიდან თბილისში 1872 წლის 10 ოქტომბერს ჩამოვიდა. 1883 წელს კი ხაზი ბაქოსა და თბილისს შორის გაიხსნა, რის მეშვეობითაც ნავთობით ვაჭრობა ხდებოდა. ბოლო მნიშვნელოვანი ხაზი 1899 წელს საქართველოსა და სომხეთს შორის აშენდა. 1946 წელს კი, ომის მიუხედავად, სარკინიგზო კავშირი დამყარდა რუსეთთანაც (გორშკოვი & ბაღათურია, 2000). ავტორები სტატიაში განიხილავენ TRACECA–ს იდეასაც, თუმცა საუბრობენ მხოლოდ ამ იდეის განხორციელების სარგებლიანობაზე და მნიშვნელობაზე, თუმცა ნაკლებად საუბრობენ ნელი ტემპების გამომწვევ მიზეზებზე (Gorshkov T, 2000).

საქართველოს რკინიგზის განვითარების მოკლე ისტორია

საქართველოს რკინიგზა მნიშვნელოვანი ნაწილია ევრო-აზიური სატრანსპორტო დერეფნის, რომელიც ევროპას აკავშირებს ცენტრალურ აზიასთან. იდეა 1830-იან წლებში გაჩნდა. შავი ზღვისა და კასპიის ზღვების დამაკავშირებელი ხაზის მშენებლობა 1865 წელს დაიწყო. 1871 წელს ფოთი-ყვირილას ნაწილი გაიხსნა. 1872 წლის 10 ოქტომბერს პირველი მგზავრი ჩამოვიდა ფოთიდან თბილისში. ეს თარიღი მიიჩნევა ქართული რკინიგზის დაბადებად (“Georgian Railway”). მშენებლობის ტემპები თავდაპირველად სწრაფი იყო: 1877 წელს აშენდა რიონი–ქუთაისი, 1883 წელს – სამტრედია–ბათუმი, 1887 წელს – რიონი–ტყიბული, ხოლო 1895 წელს – ზესტაფონი–ჭიათურა. 1890 წლის 16 სექტემბერს გაიხსნა წიფის გვირაბიც.

მშენებლობების მეორე ფაზას განეკუთვნება თბილისი–ბაქოს დამაკავშირებელი რკინიგზის მშენებლობა, რომელიც 1883 წელს დასრულდა და შესაძლებელი გახადა, აზერბაიჯანის ნავთობის ტრანსპორტირება ჯერ ბათუმის პორტამდე, იქიდან კი – მსოფლიო ბაზარზე. საქართველო–სომხეთის დაკავშირება რკინიგზით კი 1899 წელს მოხდა (“Georgian Railway”). ბორჯომის სამკურნალო თვისებებისა და მისადმი დიდი ინტერესის გამო, რუსეთის სამეფო ოჯახმა 1894 წელს რკინიგზით დააკავშირა ხაშური და ბორჯომი. 1915 წლისთვის ნაწილობრივ ათვისებული იყო კახეთიც. 1986 წელს დასრულდა მარაბდა–ახალქალაქის ხაზის მშენებლობა.

მთლიანად, საქართველოს სარკინიგზო ქსელის სიგრძე 2344.2 კილომეტრს შეადგენს. (Railway, 2012) (იხ. რუკა 1).

რუკა N1 საქართველოს სარკინიგზო ქსელის რუკა, 2018 წ.



წყარო: შედგენილია GIS-ში ავტორის მიერ.

საქართველოს რკინიგზის განვითარების თანამედროვე ტენდენციები

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ევროკავშირის სატრანსპორტო სტრატეგიაა ევროპული ბაზრის გაფართოება საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნების განვითარების გზით, რაც პოსტსოციალისტური ქვეყნების ევროპულ სივრცეში ჩართვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიიჩნევა. ევროკავშირისთვის ასევე პრიორიტეტული საკითხია სატრანსპორტო ნაკადების დივერსიფიკაცია და ახალი დერეფნების გაჭრა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაზე, რუსეთზე გამავალი უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო დერეფნების ალტერნატივად. (დოლბაია, 2011)

საინტერესოა, რომ 1991 წლიდან ქვეყანაში მასიური მშენებლობების ბუმი სარკინიგზო ტრანსპორტის მიმართულებით არ ყოფილა. ადგილი ჰქონდა რამდენიმე სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტის განხორციელებას ან განხორციელების მცდელობას, მაგალითად: „აბრეშუმის გზა“, ტრასეკა, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა, მოდერნიზაციის პროექტი „სწრაფი რკინიგზა“.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აღნიშნული პროექტების მასშტაბურ რეალიზაციას საქართველოსთვის, რადგან ათვისებული სატრანსპორტო დერეფანი საშუალებას გვაძლევს შევქმნათ სამუშაო ადგილები და სწორად გამოვიყენოთ გეოეკონომიკური პოტენციალი. თუმცა მდგომარეობა ასე მარტივად არაა. პროექტის დასაწყისი შთამბეჭდავი იყო ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების ტემპები და შედეგები.

დამოუკიდებელი საქართველოს გაჩენის დღიდან, სტრატეგიულ პროექტებში, პირველ რიგში, უნდა დასახელდეს TRACECA-ს იდეა, რომელიც ინიცირებულ იქნა 1993 წელს ქალაქ ბრიუსელში, კონფერენციაზე, რომელშიც რვა ქვეყანა მონაწილეობდა (აზერბაიჯანი,

თურქმენეთი, საქართველო, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი). კონფერენციის შედეგად მიიღეს ბრიუსელის დეკლარაცია, რომელმაც დასაბამი მისცა ტექნიკური ხელშეწყობის რეგიონთაშორის პროგრამას ევროკავშირის დაფინანსებით, "TACIS-TRACECA". 1996-1998 წლებში პროგრამას შეუერთდნენ უკრაინა და მოლდოვა, ხოლო 2000 წლის მარტში, თბილისი-ბულგარეთი, თურქეთი და რუმინეთი, რომლებიც ასევე გახდნენ „დერეფნის განვითარების საერთაშორისო ტრანსპორტის ძირითადი მრავალმხრივი შეთანხმების "მონაწილეები.

რუკა N2 პროექტ ტრასეკას მიმართულებები



წყარო: http://www.traceca-org.org/fileadmin/fm dam/Routes_Maps/MAP_TRACECA_ROUTES_10_09_2017_300DPI.png

1998 წლის სექტემბერში ბაქოში ჩატარდა კონფერენცია „TRACECA - ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენა", რომლის მნიშვნელოვანი შედეგი გახდა „დერეფნის განვითარების საერთაშორისო ტრანსპორტის ძირითადი მრავალმხრივი შეთანხმებისთვის "ტექნიკური დანართის დამატება სარკინიგზო ტრანსპორტის, საერთაშორისო სავაჭრო ნაოსნობის, საბაჟო პროცედურებისა და დოკუმენტების დამუშავების შესახებ. 2009 წლის ივლისში ამ შეთანხმებას შეუერთდა ირანი, ხოლო ლიტვა გახდა დამკვირვებელი TRACECA-ს მთავრობათშორის კომისიაში. თურქმენეთი არ არის ძირითადი მრავალმხრივი შეთანხმების წევრი, თუმცა მონაწილეობს "TACIS-TRACECA-ს პროექტში. 2006 წლის მაისში, სოფიაში, პროექტის მონაწილე ქვეყნებმა დაამტკიცეს TRACECA-ის განვითარების სტარტეგია 2015 წლამდე (კუბლაშვილი გ, 2013).

გაურკვეველი მიზეზების გამო (კასპიის ზღვაზე ბაქოსა და თურქმენეთს შორის და შავ ზღვაზე ფოთი/ბათუმისა და უკრაინაში ილიჩევსკისა და ბულგარეთში ვარნას პორტებს შორის საბორნე გადასასვლელების სუსტი დატვირთვა) სატრანზიტო გადასასვლელები ამ დერეფნით თითქმის არ არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ 2001 წლის შემდეგ ამ მარშრუტის ფარგლებში პირველად 2010 წელს გაიგზავნა ბამბის მცირე პარტია უზბეკეთიდან ქართული პორტების გავლით თურქეთის მიმართულებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროექტის მასშტაბურ რეალიზაციას საქართველოსთვის, რადგან ეს დერეფანი საშუალებას გვაძლევს შევქმნათ სამუშაო ადგილები და გავზარდოთ ეკონომიკური მაჩვენებლები.

მიუხედავად უამრავი მცდელობისა, იდეა ვერ ხორციელდება სრული დატვირთვით. ამის კარგი მაგალითია ბაქო–თბილისი–ყარსის რკინიგზა, რომლის მშენებლობაც 2008 წელს დაიწყო[1]. მანამდე, 2007 წლის 7 თებერვალს, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა ახალი სარკინიგზო ხაზის შესახებ სამმხრივ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის სიგრძე 826 კილომეტრია, აქედან საქართველოს ტერიტორიაზე 254 კილომეტრი გაივლის. ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის საქართველოს მონაკვეთი მოიცავს 22 ხიდს, 13 სადგურს, 24 გზაგამტარს და 4 თოვლდამცავ გალერეას. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის საქართველოს მონაკვეთზე პირველმა სატესტო მატარებელმა 2015 წლის იანვარში გაიარა, 2017 წლის ივლისში კი პირველი მატარებელი ყარსიდან საქართველოს საზღვრამდე მივიდა. რკინიგზის ოფიციალურად გახსნის პირობებში 24 ოქტომბერს ყაზახეთის ქალაქ კორსტანაიდან თურქეთის ქალაქ მერსინისკენ ხორბლით დატვირთული შემადგენლობა დაიძრა. როდიდან ამოქმედდება რკინიგზა სრული დატვირთვით და როდის შემოვა პირველი მატარებელი საქართველოს ტერიტორიაზე, ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუმცა ცნობილია ის, რომ სამ ქვეყანაზე გამავალი რკინიგზით, ეტაპობრივად, ყოველწლიურად 17 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვა და მილიონამდე მგზავრის გადაყვანა იქნება შესაძლებელი[2] (მჭედლიშვილი, 2017). თუმცა 2007 წლის შემდეგ 11, ხოლო 2017 წლის შემდეგ, თითქმის, ერთი წელია გასული და სიტუაცია არ იცვლება. ვერც TRACECA-სა და ამ იდეის ფარგლებში არსებული ვერც ბაქო–თბილისი–ყარსის პოტენციალი ვერ გამოიყენება წარმატებული და მომგებიანი ვაჭრობისთვის.

რაც შეეხება საქართველოს რკინიგზის განვითარების ტემპს ის 2012 წლიდან ძლიერ შემცირებულია. ამის თვალსაჩინო მაგალითია ტვირთბრუნვის ყოველწლიური გაუარესება.

2013 წლიდან მოყოლებული, გადაზიდული ტვირთების მოცულობა ასე გამოიყურება:

ცხრილი N1



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების დეპარტამენტი

ცხრილი N2



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების დეპარტამენტი

საინტერესოა, მგზავრთბრუნვის მაჩვენებლების გაანალიზებაც.

ცხრილი N3



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების დეპარტამენტი

ცხრილი N4



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების დეპარტამენტი

სტატისტიკაში კარგად არის ასახული 2013-2017 წლებში სატრანსპორტო დარგების მიერ გადაზიდული ტვირთების რაოდენობა და მათი ჯამური მონაცემები. მათი შეფასებისას ნათელი ხდება, რომ 2013-2017 წლებში კერძოდ, სარკინიგზო ტრანსპორტის გადაზიდული ტვირთების რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება სხვა სატრანსპორტო სახეობებისგან განსხვავებით. ამავდროულად, საინტერესო იყო უშუალოდ სატრანსპორტო დარგების მიერ გადაზიდული ტვირთების ჯამური რაოდენობის ცხრილის გაანალიზებაც, სადაც ნათლად ჩანს კლების ტენდენცია.

ცხრილი N5

გადატვირთული კონტეინერები, TEU	ფოთი	ბათუმი
2016	273,690	55,781
2017	318,752	76,025

წყარო: http://batumiport.com/ge/generaluri_direqtoris_mimartva/statistika/

http://gbc.ge/index.php?m=home&newsid=98379&lang=geo

გადატვირთული კონტეინერების მაჩვენებლის მიხედვით აღინიშნება პორტებში ზრდა, ხოლო დანარჩენ ისეთ მაჩვენებლებში, როგორებიცაა: მშრალი ტვირთების ტვირთბრუნვა, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტვირთბრუნვა და გემთბრუნვა აღსანიშნავია კლება, წინა წლებთან შედარებით.

ცხრილი N6

ტრანზიტი	I	I-II	I-III	I-IV	I-V	I-VI
2017	635,228	1,133,091	1,599,669	1,961,912	2,307,231	2,687,180
2018	261,976	613,164	972,193	1,337,494	1,632,957	2,037,103



წყარო: http://railway.ge/files/mar/geo/gad_g1.pdf

როგორც საქართველოს რკინიგზის ბოლო წლების ოფიციალური მონაცემებიდან ჩანს, შემცირებულია ტრანიზიტის მოცულობაც.

არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, თავისუფლად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მსგავსი ტენდენციის შემთხვევაში საქართველოს რკინიგზა სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. ეს სიტუაცია შექმნის არა მხოლოდ სატრასნპორტო სისტემის ნგრევის საშიშროებას, არამედ სერიოზულად შეაფერხებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და ეჭვს ქვეშ დააყენებს ჩვენი ტერიტორიის, როგორც სანდო და სტრატეგიული საერთაშორისო დერეფნის მქონე ქვეყნის სტატუსს.

სარკინიგზო გადაზიდვების ზრდა ნავარაუდევია ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის დასრულებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს რკინიგზის მოდერნიზაციის პირობებში, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შემდეგ, სატვირთო გადაზიდვების მოცულობა საავტომობილო ტრანსპორტის სახეობებიდან სარკინიგზო სახეობებში უნდა გადაერთოს.

ვფიქრობ, აუცილებელია ფუნდამენტური ცვლილებები რკინიგზის სფეროში. უნდა ჩატარდეს გააზრებული და დაგეგმილი რეფორმები, რომლის უმთავრესი მიზანი იქნება სარკინიგზო საწარმოს მოქნილობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სარკინიგზო სექტორის სტრუქტურირება, მოქმედი სუბიექტების განმარტება საკანონმდებლო დონეზე და მათ შორის ურთიერთობების დარეგულირება. მოკლედ რომ ვთქვათ, ევროკავშირის დირექტივებში არსებული მოთხოვნების გათვალისწინება. ამჟამად „საქართველოს რკინიგზა“ არის სააქციო საზოგადოება, რომლის აქციების 100 %-ს ფლობს სახელმწიფო. სახელმწიფო მფლობელობით უფლებებს ახორციელებს საპარტნიორო ფონდის მეშვეობით.

აუცილებელია, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაში არსებული დირექტივების მოთხოვნების გათვალისწინება. საინტერესოა, რომ აღნიშნული ხელშეკრულების კარი N5, თავი N1 არის ტრანსპორტის შესახებ, სადაც დანართი N14-ში სარკინიგზო ტრანსპორტზეა საუბარი. დირექტივების მიხედვით საქართველოს რკინიგზას აქვს ბაზარსა და ინფრასტრუქტურაზე დაშვების შესაძლებლობა.

2012 წლის 21 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012/34/EC დირექტივა, რომლის მეშვეობითაც ჩამოყალიბდა ერთიანი ევროპული სარკინიგზო ზონა, საქართველოს აძლევს ამ ქსელში ჩართვის საშუალებას.

გამოიყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები:

- მუხლები 1-დან 9-ის ჩათვლით

- მუხლები 16-დან 25-ის ჩათვლით

- მუხლები 26-დან 57 ის ჩათვლით

ვადა: ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს 2022 წლის აგვისტოსთვის.

დირექტივებში ასევე საუბარია, შემდეგი სახის მოთხოვნებზეც: ტექნიკური და უსაფრთხოების პირობები, ურთიერთთავსებადობა, მატარებლის მემანქანეთა სერტიფიცირება, სახიფათო ტვირთის შიდა ტრანსპორტირების უსაფრთხოება და სხვა (შეთანხმება, 2014).

საქართველოს რკინიგზა ძირითადად ოპერირებს სამი მიმართულებით - სატვირთო, სამგზავრო და ინფრასტრუქტურული. მოგებას კომპანია სატვირთო მიმართულებიდან იღებს, რადგან სამგზავრო დოტაციაზეა. საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტირებიდან მიღებული შემოსავლები, შეიძლება, რამდენიმე ფაქტორზე იყოს დამოკიდებული, მათ შორის, დოლარის კურსის ცვლილებაზე. საგულისხმოა, რომ მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვის სტატისტიკური მაჩვენებლები 2010 წლიდან იკლებს.

რაც შეეხება სამგზავრო ტრანსპორტირებას, ამ მიმართულებით რკინიგზა სამ ძირითად ღერძზე ოპერირებს:

- საერთაშორისო
- მაგისტრალური
- რეგიონალური გადაყვანები (ე.წ. „ჩიხური მიმართულებები“)

მგზავრთბრუნვის კლება, შესაძლოა, შემდეგი მიზეზებით იქნეს გამოწვეული:

- მგზავრების მხრიდან საგზაო ტრანსპორტისათვის უპირატესობის მინიჭებით, რომელიც არ რეგულირდება სახელმწიფოს მიერ და მომსახურება უფრო იაფია;
- ინფრასტრუქტურის სიძველის გამო კონკრეტულ მიმართულებებზე მატარებლის მიმოსვლის გაუქმებით

ასევე, აღსანიშნავია, რომ მგზავრთა გადაყვანა სეზონური ხასიათისაა და ტარიფი თვითღირებულებაზე დაბალია - შიდა დოტაციაზეა.

სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების რაოდენობა ნაკლებია საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების რაოდენობაზე. მიუხედავად იმისა, რომ საავტომობილო გადაზიდვები სარკინიგზოსთან შედარებით იაფია, ეკოლოგიური თვალსაზრისით სარკინიგზო ტრანსპორტის კონკურენტუნარიანობა ბევრად უფრო მაღალია. სარკინიგზო გადაზიდვებში უპირატესობა სამგზავრო გადაყვანებთან შედარებით სატვირთო გადაზიდვებს ენიჭება. ეს სფერო ბევრად უფრო მომგებიანია ვიდრე სამგზავრო გადაყვანები.

სატვირთო გადაზიდვებში საავტომობილო ტრანსპორტის დომინირება, მეტწილად, გამოწვეულია ამ მომსახურების ღირებულების ხელმისაწვდომობით. იმისათვის, რომ საქართველოში რკინიგზამ საავტომობილო გადაზიდვებს კონკურენცია გაუწიოს, მნიშვნელოვანია, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია. მაგალითად, ამ მიმართულებით, საჭიროა, მუდმივი დენიდან ცვლად დენზე გადასვლა, რაც რკინიგზას გადაზიდვებზე დანახარჯების შემცირების შესაძლებლობას მისცემს, შესაბამისად, მომსახურების ღირებულებაც შემცირდება. პატარა ქვეყნისათვის რკინიგზა „ძვირი სიამოვნებაა“, მით უმეტეს, როცა ენერგიის არაეფექტური გამოყენების გამო მომსახურების ხარჯები კიდევ უფრო იზრდება. ასეთ პირობებში, რკინიგზის კონკურენტუნარიანობა საავტომობილო ტრანსპორტთან შედარებით, რასაკვირველია, მნიშვნელოვნად ეცემა.

მაშინ, როდესაც საქართველოს რკინიგზა ამდენი პრობლემის წინაშე დგას და არ იზრდება სატრანსპორტო დერეფანში მისი როლი, ბალტისპირეთში ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება - Rail Baltica Global Project - ბალტიისპირეთის სარკინიგზო მსოფლიო პროექტი.

ბალტიისპირეთის სარკინიგზო პროექტი არის ახალი სარკინიგზო, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის მიზანიცაა ბალტიისპირა სახელმწიფოების მიერთება ევროკავშირის სარკინიგზო ქსელთან. პროექტში ჩართულია ევროპის 5 ქვეყანა: პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და ფინეთი. იგი დააკავშირებს ჰელსინკს, ტალინს, რიგას, კაუნასს, ვილნიუსს, ვარშავასა და სხვა ქალაქებს.



წყარო: https://ec.europa.eu/transport/themes/infrastructure_en

საინტერესოა, ის რომ ტრასეკას პროექტში ინვესიტიციების სახით 1995 წლიდან - 2009 წლამდე 50,9 მილიონი ევრო დაიხარჯა შემდეგ ქვეყნებში: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, ირანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, რუმინეთი, ტაჯიკეთი, თურქეთი, უკრაინა, უზბეკეთი). http://www.traceca-org.org/en/investments/, 2018) ბალტიისპირეთის რკინიგზის პროექტი კი თითქმის 10-ჯერ ძვირი ჯდება.

საკონტეინერო ტვირთების ძირითადი ნაკადი ჩინეთიდან რუსეთისა და ბელორუსის გავლით გადაიზიდება. ეს გზა უფრო გრძელია, მაგრამ ტვირთგამგზავნთათვის ჩინეთიდან დაბალი საბაჟო გადასახადების წყალობით განსაზღვრულ სარგებელს უზრუნველყოფს. ჩინეთს შეუძლია ევროპაში გაგზავნოს ტვირთების ნაწილი TRACECA-ის გავლით. ტვირთნაკადის მცირე ნაწილიც კი ჩინეთიდან ტვირთების სოლიდური მოცულობა იქნება, რაც აზერბაიჯანის გავლით ტვირთების ტრანზიტის მნიშვნელოვნად გადიდებას გამოიწვევს“ (trend.az/business/economy/2931375.html).

ჩინეთის ეროვნული განვითარებისა და რეფორმების, და ევროპის კომისია გააძლიერებს სინერგიას ჩინეთის ინიციატივას „სარტყელი და გზა“ (Belt and Road Initiative)-სა და ევროპის კავშირის პოლიტიკას „ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელი“ (Trans-European Transport Network) შორის. ორივე მხარე განიხილავს სინერგიას შესაბამისი სახმელეთო და საზღვაო დერეფნების სტრატეგიულ დაგეგმარებებს შორის, რომელიც მოიცავს დასავლეთ ბალკანეთს, აღმოსავლეთ ევროპას, ცენტრალურ აზიას, დასავლეთ აზიას და სხვა რეგიონებს, აგრეთვე მიესალმება შესაბამისი ქვეყნების აქტიურ მონაწილეობას. ჩამოთვლილ რეგიონებს შორის სამხრეთ კავკასია არ არის ნახსენები, შესაბამისად, „აბრეშუმის გზა“ საქართველოზე რამდენად გაივლის უკვე კითხვის ნიშნის ქვეშაა; (https://ec.europa.eu/.../.../files/2018-07-13-chairs-meeting.pdf)

ჩინური კომპანიები აფართოებენ საქმიანობის მასშტაბებს თურქეთში. მას შემდეგ, რაც თურქეთში შევიდა „ჩინეთის ბანკი“ და „ჩინეთის სამრეწველო-კომერციული ბანკი“, ჩინური კომპანიების შესვლა ქვეყანაში დაჩქარდა. ვაჭრობის მოცულობის მიხედვით მსოფლიოში მეორე ქვეყანა, ჩინეთი წელიწადში 120 მილიარდ აშშ დოლარს აბანდებს სხვადასხვა ქვეყანაში, თურქეთი კი ჩინეთის ინვესტიციებით სარგებლობს ბოლო 10 წლის განმავლობაში. შესაბამისად, თურქეთის ეკონომიკის სამინისტროს მონაცემების თანახმად თურქეთში მომუშავე ჩინური კომპანიების რიცხვმა 1000-ს მიაღწია. ინიციატივის „სარტყელი და გზა“ ფარგლებში თურქეთის უნიკალური ადგილმდებარეობა მას ევროპაში შესასვლელ კარიბჭედ აქცევს - თურქეთი ბუნებრივად წარმოადგენს ლოგისტიკურ ჰაბს სამ კონტინენტს შორის: ევროპა, აზია და აფრიკა.

პეკინში გამართულ „სარტყელი და გზის“ ფორუმზე თურქეთისა და ჩინეთის ტრანსპორტის მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ორივე ქვეყნის სატრანსპორტო საშუალებებს შეუძლიათ შეღწევა თითოეულის სატრანსპორტო სისტემაში. შეთანხმება გახსნის საერთაშორისო საავტომობილო სატრანსპორტო არხებს ჩინეთსა და ევროპას შორის, ხოლო თურქეთი გახდება „შუა დერეფანი“ ამ მარშრუტში. შეთანხმება გამოხატავს ჩინეთის მზაობას, მოახდინოს ინიციატივის „სარტყელი და გზა“ ინტეგრაცია თურქეთის განვითარების სტრატეგიაში, რაც ხელს შეუწყობს გაცვლა-გამოცვლის განვითარებას თურქეთსა და ჩინეთს შორის, გადაზიდვების მოცულობის გაზრდას აბრეშუმის გზის გასწვრივ განლაგებულ ქვეყნებს შორის (Initiative’, თ. გ.).

წყარო: https://www.pwc.com/gx/en/growth-markets-center/assets/pdf/china-new-silk-route.pdf

ჩინეთსა და ევროპას შორის უკვე არსებობს სარკინიგზო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვის შესაძლებლობა, რითაც სხვადასხვა კომპანიას, რომლებიც რესურსებს იყენებენ და პროდუქციას გზავნიან შეუძლია სარგებლობა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ინიციატივა „სარტყელი და გზა“ გავლენას მოახდენს მსოფლიო ვაჭრობაზე. მრავალი პროექტი განხორციელების სტადიაზეა, და ინიციატივა „სარტყელი და გზა“ - ეს ღია პროექტია. აუცილებელია აგრეთვე ქვეყნებს შორის ვაჭრობის გამარტივების სფეროში არსებული დაბრკოლებების აღმოფხვრა.

საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვები ჩინეთსა და ევროპას შორის ინიციატივით „სარტყელი და გზა“ არ დაწყებულა, თუმცა რეისების რაოდენობა მისი გამოცხადების შემდეგ გაიზარდა. ახალი რეისების შესრულება დაიწყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ჩინეთში, ქვეყნის სიღრმეში განლაგებულ მთავარ ქალაქებს - იუ, ხეფეი და ხარბინი - და მადრიდსა და ჰამბურგს შორის. ჩინეთსა და ევროპას შორის სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვები სულ უფრო მეტად სრულდება ყაზახეთის გავლით, ტრანსაზიური სარკინიგზო ქსელის ჩრდილოეთ ნაწილში განლაგებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით, რომელიც ინიციატივის „სარტყელი და გზა“ გაშვებამდე არსებობდა.

შესაბამისად, საინტერესოა თუ რატომ არ ფიგურირებს, არც ევროკავშირისა და არც ჩინეთის მოცემულ რუკებზე და ზოგადად სამომავლო გეგმებში საქართველო, როგორც აღნიშნული სარკინიგზო ქსელების ნაწილი. მოთხოვნა სამხრეთ კავკასიურ დერეფანზე, როგორც ვხედავთ არსებობდა როგორც ევროპის, ასევე ჩინეთის მხრიდან. ყველა მხარეს სურს ერთმანეთის ბაზრის ათვისება და თურქეთის, როგორც დერეფნისა და ბაზრის მიერთება. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია საქართველოს სარკინიგზო ჩართულობაზე საუბარი სამხრეთ კავკასიური დერეფნის კუთხით.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში, XXI საუკუნის დასაწყისში სატრანსპორტო სისტემის განვითარება რკინიგზის კუთხით მკვეთრად უარყოფითი ტენდენციებით ხასიათდება, რაც აუცილებელს ხდის ეფექტიანი და მიზანმიმართული რეფორმების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია საქართველოს რკინიგზის საერთაშორისო ფუნქციის კიდევ უფრო შემცირება. რაც გამოიწვევს კონკურენტი სატრანსპორტო დერეფნების გაძლიერებას და საქართველოსადმი არსებული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესების დაკნინებას.

ნაშრომის მიზანს და სიახლეს წარმოადგენდა საქართველოში რკინიგზის თანამედროვე მდგომარეობის საზოგადოებრივ გეოგრაფიული ასპექტების შესწავლა, შესაბამისად ცხადია, რომ როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური მნიშვნელობა საქართველოს რკინიგზისა დაკნინების პროცესშია, რაც საქართველოს რკინიგზაზე არსებული თანამედროვე ლიტერატურის ანალიზმა გამოაჩინა. წარსულში საქართველოს რკინიგზა, როგორც რუსეთის იმპერიის, ასევე საბჭოთა კავშირის დროს უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო ფუნქციას ასრულებდა, რაც დღეს შემცირებულია და მისი მნიშვნელობის გაზრდა დამოკიდებულია ჩინეთ-ევროკავშირის ურთიერთობებზე და საქართველოს რკინიგზის რეფორმებზე. ამ კუთხით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს რკინიგზა არ არის მზად კონკურენცია გაუწიოს სხვა სატრანსპორტო საშუალებებსა და შესაბამისად, უცხოურ სატრანსპორტო დერეფნებთან ქვეყნის კონკურენციას ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის.

კვლევის შედეგად დასტურდება, რომ საქართველოს სატრანსპორტო, კერძოდ კი სარკინიგზო სისტემა, როგორც ერთიანი ორგანიზმი სერიოზული პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგას. მეოთხე წელია არ სრულდება ევროკავშირთან ასოცირების შედეგად გაფორმებულ ხელშეკრულებაში არსებული დირექტივების მოთხოვნები სხვადასხვა მიმართულებით.

საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია არის პასუხი საქართველოს სტრატეგიული ნიშის ძიებაზე და თავისუფლად მიესადაგება ტექსტში აღნიშნულ სატრანსპორტო დერეფნების თეორიას. საჭიროა პარტნიორობის გაძლიერება, როგორც ევროკავშირთან, ასევე ჩინეთთან, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, პირველ ეტაპზე მუდმივიდან - ცვლად დენზე გადასვლა. ბალტიისპირეთის სარკინიგზო პროექტის გათვალისწინება, რათა რკინიგზა გახდეს მომგებიანი და საქართველოს რკინიგზამ თავისი სტრატეგიული ნიშა დაიმკვიდროს, არამხოლოდ ტურიზმის სფეროში, არამედ საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნებშიც და

თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში, მაგრამ არსებული მონაცემები საპირისპიროს გვიმტკიცებს, შემცირებული ტრანზიტი, როგორც საქართველოს რკინიგზაზე, ისე საზღვაო პორტებზე, მაღალი ტარიფები, დოტაცია, მოძველებული ინფრასტრუქტურა, ევროკავშირისა და ჩინეთის მხრიდან ინტერესის კლება საქართველოს, როგორც სატრანსპორტო დერეფნის მიმართ მხოლოდ რკინიგზის აღსასრულზე მიგვანიშნებს. სამწუხაროდ, საქართველოს არსებული რეალობიდან გამომდინარე სატრანსპორტო კუთხით ჩიხური მდებარეობა აქვს, რაც მომავალში სერიოზულად იმოქმედებს როგორც ქვეყნის, ისე რეგიონის სატრანსპორტო ქსელის განვითარებაზე. თუ რამდენად შეინარჩუნებს რკინიგზა თავის არსებულ ფუნქციებს, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ბიბლიოგრაფია:

Batumi Sea Port:

http://batumiport.com/ge/generaluri_direqtoris_mimartva/statistika/

Gegeshidze, A).n.d.). Georgia In Quest of a Niche Strategy.

Georgian Railway

http://www.railway.ge/?web=0&action=page&p_id=203&lang=eng

http://www.railway.ge/?web=0&action=page&p_id=290&lang=eng

http://railway.ge/?web=0&action=page&p_id=208&lang=geo

Gorshkov T, B. G).2000). Developments at Georgian railway.

Eddington, R).2006). The Eddington Transport Study. HMSO/HM Treasury

http://www.ejrcf.or.jp/jrtr/jrtr24/pdf/f42_gor.pdf

http://ec.europa.eu/transport/infrastructure/tentec/tentec-portal/map/maps.html).2018).

http://www.traceca-org.org/en/investments/).2018). INVESTMENT PROJECTS.

https://ec.europa.eu/transport/themes/infrastructure/about-ten-t_en).n.d.). About TEN-T.

http://gbc.ge/index.php?m=home&newsid=98379&lang=geo

Initiative', T. s).n.d.). *https://www.dailysabah.com/economy/2018/06/30/turkey-sees-a-sudden-spike-in-chinese-investments-through-belt-and-road-initiative?utm_source=silk%20road%20headlines&utm_campaign=9047b80e02-email_campaign_2018_07_04_07_58&utm_medium=email&utm_term=0_70119be*.

Hasan Kanbolat(Vol. 7, No. 3 (July-September 2005), pp. 120-128. „ The Railway Network Between Turkey and the Caucasus". http://www.jstor.org/stable/26328808?seq=1#page_scan_tab_contents

Okamoto T, Taakoshi N. Rail transports in world's major cities

http://www.ejrcf.or.jp/jrtr/jrtr25/pdf/f04_oka.pdf

M.S. Kohli .(2002) –„ Mountains of India : Tourism, Adventure and Pilgrimage "

Prior, L).2003). Using Documents in Social Research. London: SAGE Publications

Rail Baltica – Project of the Century).2018). http://www.railbaltica.org/about-rail-baltica/.

Railway, G).2012).

Rodrigue, J.-P).2006). *The Geography of Transport Systems.*

TRACECA

http://www.traceca-org.org/en/investments/

Yarrow, E. A).n.d.).

დოლბაია, თ).2011). *საქართველოსსატრანსპორტოსისტემებისფუნქციონირებისადაგანვითარების.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კვინიკაძე, გ).2014). გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კვერენჩხილაძე, რ).1986). *საქართველოსტრანსპორტი (ეკონომიკურ-გეოგრაფიულიგამოკვლევა).* თბილისი.

კუბლაშვილი გ, ლ. გ).2013, 07 04). საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი „ევროპა-კავკასია-აზია" (TRACECA) და მისი განვითარების პერსპექტივები. *ივერია.*

ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო").2008). საქართველოს რკინიგზა პრობლემები და პერსპექტივები. თბილისი.

პროფესიონალ რკინიგზელთა კლუბი).n.d.).

http://www.timer.ge/krizisi-saqarthvelos-sarkinigzo-seqtorshi-propesional-rkinigzeltha-klubis-ganckhadeba/

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო).2017).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო- http://www.geostat.ge/

საქართველოს რკინიგზის შემოსავლები 33%-ით შემცირდა).2016). *ტაბულა,* http://www.tabula.ge/ge/story/112054-saqartvelos-rkinigzis-shemosavlebi-33-it-shemcirda.

შეთანხმება, ა. შ).2014). *საქართველოსპარლამენტი.* Retrieved from http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/34753/AA

ჭურჭელაური, მ).2011). რკინიგზის კლასტერი. *ეკონომიკადაბიზნესი*, 118-126.

შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სტანდარტების დანერგვა საქართველოს საჯარო სექტორში

თამთა ჭრიკიშვილი

რეზიუმე

ქართულ საჯარო სექტორში მკვიდრდება შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სისტემა: შესრულებული სამუშაოს შეფასების, კარიერული განვითარების, წახალისებისა და პროფესიული განვითარების საფუძვლები. საკითხი აქტუალურია, რადგან სისტემის დანერგვას მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგები მოჰყვება.

კვლევის მიზანია ელექტრონული მექანიზმების დანერგვის ინტენსიურობის ანალიზის საფუძველზე დადგინდეს, რამდენად არის საქართველოში შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა ორიენტირებული ეფექტურობასა და შედეგზე. კვლევის ამოცანაა თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების პროფესიულ საჯარო მოხელეთა კვლევის, ასევე, ამავე ორგანიზაციების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენელთა და ქართველი და უცხოელი ექსპერტების მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე დადგინდეს, როგორია მათი აღქმები შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის დანერგვასთან დაკავშირებით და რამდენად გამოიყენება ამ კუთხით ელექტრონული სერვისები.

კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს საჯარო სექტორში შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სტანდარტების დანერგვის თავისებურებების შესწავლა, ელექტრონული მექანიზმების გამოყენების ინტენსივობისა და ეფექტურობის ჭრილში. კვლევის ობიექტია დოკუმენტური მასალა, სადაც გაანალიზებულია მენეჯმენტისა და ელექტრონული მექანიზმების ურთიერთკავშირი, კავშირის ეფექტურობა.

ნაშრომში გათვალისწინებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდების შედეგები. კვლევამ გამოავლინა, რომ საჯარო მოხელეები საჭიროებენ სისტემის შესახებ ინფორმირებას, პროცესში უფრო აქტიურ ჩართულობასა და ელექტრონული მექანიზმების გამოყენების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ჰიპოთეზების გადამოწმებით დადგინდა სიახლე - საჯარო მოხელეებსა და ექსპერტებს, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის დანერგვის ეტაპზე, მოლოდინი აქვთ, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელობა იზრუნებს ობიექტურობის, სამართლიანობისა და ნდობის გამყარებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში იკვეთება რისკები. ასევე, სიახლეა, რომ ქართულ საჯარო სექტორში მენეჯერული უნარ-ჩვევების არსებობა პრობლემაა. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ბარიერების გათვალისწინების შემთხვევაში, სისტემის დანერგვა, რესპონდენტთა მოსაზრებით, პირველივე წელს გამოიღებს შედეგს.

საკვანძო სიტყვები: *საჯარო სექტორი, საჯარო მოხელე, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა, ელექტრონული მექანიზმები.*

Abstract

In the light of recent changes in Georgian Public Sector, dedicated to develop the institute of Professional Civil Servant, Georgian Public Sector Performance management system is being developed. New approach, which includes performance appraisal, career management and rewarding systems with opportunities of professional development, has been become actual as some legal outcomes are expected.

This paper analyzes the intensity of implementation of electronic tools and investigates if Performance Management System is focused on effectiveness and productivity. The research examines the perceptions of Georgian civil servants from the Ministry of Defense and the Ministry of Foreign Affairs and concentrates on their HR representatives' opinions; furthermore, author makes comparative analysis of Georgian and Foreign HR experts' views.

The study aims to analyze the characteristics of Performance Management System and focuses not only on the civil servants as the objectives of the research, but also some written documents related to the links between performance management and implementation of electronic tools.

Finally, a number of findings which need to be addressed have been revealed: civil servants' limited awareness about the usage of electronic mechanisms and lack of managerial skills in Georgian public sector. Study also shows that for HR practitioners and experts, performance management system will only work properly, if managers create fair climate for their subordinates.

Keywords: *Public Sector, Civil Servant, Performance Management, Electronic Tools.*

შესავალი

ქართული საჯარო სექტორი შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სტანდარტებს ნერგავს. „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის N220 დადგენილების თანახმად, საჯარო ორგანიზაციებმა უნდა დაამტკიცონ შეფასების მეთოდი, დოკუმენტური მასალისა და გასაუბრების წესი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2017). შესაბამისად, ქართული საჯარო სფერო აქტიურად არის ჩართული შეფასების მეთოდისა და თანმდევი დოკუმენტების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.

საკითხს მეტ აქტუალურობას სძენს ის, რომ ქართულ საჯარო სექტორში არსებული მწირი გამოცდილების პირობებში, მოქნილი, მარტივი და ეფექტური მეთოდის შემუშავება სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, შეფასებას ისეთი სამართლებრივი შედეგები მოჰყვება, როგორებიცაა საჯარო მოხელის წახალისება, გათავისუფლება, პროფესიული განვითარება, კლასის მინიჭება (საჯარო მოხელის კლასს ებმის ხელფასი) და კარიერული წინსვლის პერსპექტივები

(საქართველოს პარლამენტი, 2017). ყოველივე ეს უშუალო ზეგავლენას იქონიებს თითოეულ საჯარო მოხელეზე, ამიტომ ამ სისტემის წარმატებით დანერგვა კიდევ უფრო აქტუალური და საპასუხისმგებლოა.

ამასთანავე, პროცესში ჩართულები არიან საერთაშორისო პარტნიორები. საჯარო ორგანიზაციათა დიდი ნაწილი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ექსპერტული მხარდაჭერით ნერგავს შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სისტემას, რიგ ორგანიზაციებს კი წლების მანძილზე უზიარებდნენ გამოცდილებას საერთაშორისო ორგანიზაციები (საგარეო საქმეთა სამინისტრო მუშაობდა ევროკავშირთან ერთად, თავდაცვის სამინისტრო კი აშშ-ის ოფიციალურ წარმომადგენლებთან ერთად დღემდე მუშაობს). შესაბამისად, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის დანერგვის შესახებ ინფორმაციის მიღება მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორებისათვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველო, რომელიც დემოკრატიზაციის პროცესში იმყოფება, ცდილობს დანერგოს კარგი მმართველობის (good governance)[1] პრინციპები (ეფექტურობა და ეფექტიანობა, თანასწორობა, ინკლუზიურობა და კანონის უზენაესობა (United Nations, 2010)), რომლებიც განვითარებული ქვეყნების მმართველობაში ცენტრალურ როლს ასრულებს. მნიშვნელოვანია, რომ კარგი მმართველობისა და ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების თანახმად, საქართველოს ერთ-ერთ გამოწვევას საჯარო სერვისების მაქსიმალური ეფექტურობა - მათი ელექტრონულ მოდელში გადაყვანა წარმოადგენს. ამ მხრივ მუდმივად აქტიურობს საჯარო სამსახურის ბიუროც და 2009 წლიდან დღემდე ელექტრონული მმართველობის ისეთი წარმატებული პროექტები განხორციელდა, როგორებიცაა საჯარო სამსახურში კონკურსების ვებპლატფორმა (www.hr.gov.ge), დოკუმენტ ბრუნვისა და ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამები, თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ელექტრონული პლატფორმა (www.declaration.gov.ge) (საჯარო სამსახურის ბიურო).

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ნაშრომში განხილულია ორი აქტუალური, ურთიერთდაკავშირებული თემის - შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვისა და ელექტრონული მმართველობის - განვითარების დინამიკა, მათი კავშირი და კავშირის სამომავლო პერსპექტივები. საინტერესოა, რამდენად აპირებენ ქართული საჯარო ორგანიზაციები, კანონით ნაკისრი ვალდებულების (შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა) წარმატებით შესრულებას ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებით. ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს, რადგან საჯარო ორგანიზაციებს 2018 წლის შეფასების შედეგების ასახვა სწორედ ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში მოუწევთ, რაც ამ სისტემის დანერგვისას ელექტრონული მექანიზმების გამოყენებისათვის კიდევ უფრო მეტ წინაპირობას ქმნის (საქართველოს მთავრობა, 2017).

კვლევის მიზანია, ერთი მხრივ, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სისტემის საქართველოს საჯარო სექტორში დანერგვის ანალიზისა და მეორე მხრივ, ელექტრონული მექანიზმების გამოყენების ინტენსივობისა და ეფექტურობის ანალიზის საფუძველზე, დადგინდეს, რამდენად არის საქართველოში შეფასების სისტემის დანერგვა ორიენტირებული

ეფექტურობაზე და ამ მიზნით, რამდენად გამოიყენება ელექტრონული საშუალებები. კვლევის ამოცანაა, საჯარო ორგანიზაციების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენელთა ინტერვიუირების გზით, გაანალიზდეს, როგორ მიმდინარეობს შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის დანერგვა თითოეულ ორგანიზაციაში, როგორია მათი აღქმები და დამოკიდებულებები ამ პროცესთან დაკავშირებით და რამდენად გამოიყენება ამ კუთხით ელექტრონული სერვისები.

გარდა ამისა, ზემოხსენებულ ორ ურთიერთდაკავშირებულ საკითხზე ექსპერტული მოსაზრებების გაანალიზების მიზნით, კვლევის ამოცანაა ქართველი და უცხოელი ექსპერტების ინტერვიუირება შეფასებისა და ელექტრონული მექანიზმების დანერგვის თავისებურებების, შეფასების ელექტრონული პორტალისა თუ ფორმების შესახებ. ასევე, ერთ-ერთი ამოცანაა სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენების საშუალებით საჯარო მოხელეებისაგან (მენეჯერული და არამენეჯერული თანამდებობების) მიღებული ინფორმაციის გაანალიზება იმის შესახებ, თუ როგორია პროფესიული საჯარო მოხელეების აღქმები და დამოკიდებულებები, თუ როგორ მიმდინარეობს/უნდა მიმდინარეობდეს შეფასების სისტემის დანერგვის პროცესი, რამდენად განაპირობებს ელექტრონული მექანიზმების დანერგვა მის ეფექტურობას და სხვ.

სტატიაში კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს საჯარო სექტორში შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სტანდარტების დანერგვის თავისებურებების შესწავლა, ელექტრონული მექანიზმების გამოყენების ინტენსივობისა და ეფექტურობის ჭრილში. კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საგარეო საქმეთა სამინისტრო, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები და საჯარო სექტორში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელეები. გარდა ამისა, კვლევის ობიექტს წარმოადგენს დოკუმენტური მასალა, სადაც გაანალიზებულია მენეჯმენტისა (მათ შორის, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სტანდარტების) და ელექტრონული მექანიზმების ურთიერთკავშირი და ამ კავშირის ეფექტურობა.

შესაბამისად, ჩამოყალიბდა ძირითადი საკვლევი კითხვა: „რამდენად განაპირობებს საქართველოს საჯარო სექტორში ელექტრონული მექანიზმების დანერგვა შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სტანდარტების ეფექტურობას?“ და ქვეკითხვები: „რამდენად განაპირობებს ელექტრონული მექანიზმების დანერგვის ინტენსივობას საჯარო ორგანიზაციების მხრიდან სერვისის სიმარტივეზე ორიენტაცია?“; „რამდენად განაპირობებს შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის პროცესში საჯარო მოხელეთა ჩართულობის მაღალ დონეს, სისტემის ფარგლებში ელექტრონული მექანიზმების გამოყენების ინტენსივობა?“; რამდენად განაპირობებს საჯარო მოხელეთა ჩართულობის ინტენსივობა შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სტანდარტების ეფექტურობას?“

ძირითად საკვლევ კითხვას პასუხობს ძირითადი ჰიპოთეზა: „საქართველოს საჯარო სექტორში, რაც უფრო მეტია ელექტრონული მექანიზმების დანერგვის ინტენსივობა, მით უფრო ეფექტურად ინერგება შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სტანდარტები“, ქვეკითხვებს კი შესაბამისი ქვეჰიპოთეზები- „რაც უფრო ორიენტირებულია საჯარო ორგანიზაცია სერვისის სიმარტივეზე, მით უფრო ინტენსიურად ნერგავს ელექტრონულ

მექანიზმებს“; „რაც უფრო ინტენსიურად არის გამოყენებული შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის პროცესში ელექტრონული მექანიზმები, მით უფრო მაღალია სისტემაში საჯარო მოხელეთა ჩართულობის ხარისხი“; „რაც უფრო ინტენსიურად არიან ჩართულნი საჯარო მოხელეები შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის პროცესში, მით უფრო ეფექტურად ინერგება სისტემა“.

ლიტერატურის მიმოხილვა

შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა იძლევა საშუალებას, ორგანიზაცია დაეყრდნოს წინასწარ განსაზღვრულ მიზნებსა და სტანდარტებს და ორგანიზაციულ მიზანთან შესაბამისობაში, შეფასდეს თითოეული თანამშრომლის საქმიანობა. ის მოიცავს ორ კომპონენტს: შეფასებითსა და მმართველობითს. ერთი მხრივ, ორგანიზაცია აფასებს თითოეული თანამშრომლისა და გუნდების ძალისხმევას, მეორე მხრივ კი, შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, მართავს მათს საქმიანობას და ზრდის პროდუქტიულობას.

საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა საჯარო სფეროს მართვის პრინციპები და საზოგადოებრივი საქმიანობით დაკავებული ადამიანების შეფასებაც ფორმალურ ხასიათს იღებდა. ოფიციალური მონიტორინგის სისტემის პირველი დანერგვა ფრედერიკ ტეილორსა და სამეცნიერო მენეჯმენტის პრინციპებს უკავშირდება, როდესაც დაწესდა მუშათა სამუშაო სტანდარტები და მათ მიერ ამ სტანდარტების მიხედვით მუშაობის შეფასება (Juran, 1994). თუმცა, ტრადიციულად, შესრულებული სამუშაოს შეფასების მთავარი მიზანი არა მთლიანი მმართველობითი პროცესის გაჯანსაღება, არამედ თანამშრომლებისათვის მხოლოდ შესაფერისი ანაზღაურების დადგენა იყო (Gautam & Jain, 2016).

ტეილორის შემდეგ, მმართველობითი პრინციპების განვითარებასთან ერთად, იხვეწებოდა და ვითარდებოდა შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემა: აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში 1920-იანი წლებიდან შემოიღეს სამხედრო მოსამსახურეთა შეფასება, 1950-1960 წწ. გავრცელდა დამსახურებაზე დაფუძნებული შეფასება[2], როდესაც ვ. დ. სკოტმა (W. D. Scott) ტეილორიზმის ზეგავლენით შეიმუშავა „შეფარდების სკალა “(“Man to man comparison scale”) და აქცენტი გააკეთა თითოეული მოხელის დამსახურებაზე, დამსახურებაზე შეფარდებით კი - შესაფერის ანაზღაურებაზე (Armstrong, The Foundation of Performance Management, 2009).

1960-1970-იან წლებში პოპულარული გახდა მართვა მიზნების მიხედვით, რაც შემდგომში შედეგზე ორიენტირებული მართვის პრინციპით ჩანაცვლდა. შესრულებული სამუშაოს მართვა (Performance Management), როგორც ტერმინი, 1970-იან წლებში გამოიყენეს პირველად, თუმცა შესრულებული სამუშაოს მართვა, როგორც პროცესი, 1980-იანი წლებიდან გახდა პოპულარული (Armstrong, The Foundation of Performance Management, 2009).

მართალია არსებობს სხვადასხვა შეხედულება, თუმცა ძირითად შემთხვევებში შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა აერთიანებს ისეთ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებს, როგორებიცაა შესრულებული სამუშაოს შეფასება, მიზნების დასახვა და წახალისება ან/და დასჯა (Boyne, 2010). საბოლოოდ, ორგანიზაციის განვითარებისათვის, ისეთი საფუძვლების არსებობაა საჭირო, როგორებიცაა ორგანიზაციული კლიმატი, ორგანიზაციული კულტურა და

ორგანიზაციის სტრატეგიები, თითოეული კომპონენტის პრინციპები კი მაქსიმალური წარმატებით უნდა იყოს დანერგილი, რათა სისტემამ საბოლოოდ წარმატებით ფუნქციონირება მოახერხოს (Lewin, 2017).

მიუხედავად იმისა, სისტემა მოიცავს თუ არა ზემოთ ნახსენებ ელემენტებს, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა ყოველთვის წარმატებული არ არის და მის წარმატებას, ისევე, როგორც კრახს, გარკვეული მიზეზები აქვს.

ნებისმიერ ორგანიზაციაში, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სისტემის წარმატებული დანერგვა მოითხოვს თანამშრომელთა ჩართულობის მაღალ დონესა და სტრატეგიას, რათა სისტემის დანერგვის მიზნები, სარგებელი და რისკები ყველასათვის ნათელი იყოს (Gautam & Jain, Factors Essential for an Effective Performance Management System: A Literature Review, 2015). გარდა ამისა, ნავარაუდევია, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სისტემის წარმატებისათვის, აუცილებელია ის მარტივი იყოს, რათა შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგები ყველა თანამშრომლისათვის გასაგები იყოს, ისევე, როგორც მნიშვნელოვანია სისტემა მოიცავდეს უკუკავშირისა და არაფორმალური შეფასების ელემენტებს (Denisi & Pritchard, 2006).

სისტემის წარმატებაზე ზეგავლენას ახდენს თანამშრომელთა აღქმები: მენეჯერების დამოკიდებულება სისტემის მიმართ, ორგანიზაციული კულტურა, თანამშრომელთა აღქმები სისტემის სანდოობისა და ობიექტურობის შესახებ და სხვ. (De Waal, 2006). ინდივიდუალურ ფაქტორებთან დაკავშირებით, აღინიშნება, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა და შემდეგ, თავად ხარისხი, მით უფრო მაღალი იქნება თუკი სისტემა თავის თავში ინდივიდუალური განვითარების ელემენტებსაც მოიაზრებს (McAfee & Champagne, 1993).

აღსანიშნავია, რომ ხშირად მენეჯერებისა და არამენეჯერული თანამდებობის მქონე თანამშრომლების აღქმები მნიშვნელოვნად განსხვავდება. შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სისტემას სამ: სტრატეგიულ, ოპერაციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე განიხილავენ (Sole, 2009). აღნიშნულია, რომ ხშირად სტრატეგიულ დონეზე, მაღალი დონის მენეჯერები სისტემას მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში და ზოგადი სახით ხედავენ, მაშინ, როცა ოპერაციონალურ დონეზე, ქვედა რგოლის მენეჯერების აღქმა უფრო ეფექტურობას, პროდუქტიულობასა და პასუხისმგებლობის შესრულებას უკავშირდება, პიროვნულ დონეზე კი აშკარაა ინდივიდუალური წინააღმდეგობები და წარმატების შესაძლებლობები. შესაბამისად, ამ ხედვების დაახლოება წარმატების ერთ-ერთი მთავარი გარანტია.

ნებისმიერი პოლიტიკისა თუ სისტემის ინსტიტუციონალიზაციისათვის, საჭიროა შესაბამისი კულტურის არსებობა - მიმღებლობა, რომ კონკრეტული სიახლე წარმატებას მოიტანს და სასარგებლო იქნება საზოგადოებისათვის. კულტურა, რომელშიც შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა აღქმულია, როგორც „კარგი შესრულების“ (good performance) იდენტიფიცირებისა და გაუმჯობესების გზა და არა როგორც საშუალება, „ცუდი შემსრულებლების“ (poor performers) დასასჯელად, უზრუნველყოფს სისტემის წარმატებას (Fryer, Antony, & Ogden, 2009). შესაბამისად, უდიდეს მნიშვნელობას იძენს

ინტერპერსონალური ურთიერთობები და ნდობა, როგორც სოციალური კაპიტალი (Dovey, 2009). შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სისტემის წარმატებული დანერგვა უზრუნველყოფს უნდობლობის, გაურკვევლობისა და გადაწყვეტილების მიღებისას რისკის შემცირებას (Cloete, 2003). აქვე, აღსანიშნავია, რომ საჯარო სექტორის კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, ნავარაუდევია, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის წარმატება საჯარო სფეროში უფრო წინააღმდეგობრივი და რთულია (Fryer, Antony, & Ogden, 2009).

წინააღმდეგობებსა და სირთულეებს არაერთი განმაპირობებელი ფაქტორი აქვს. ამ მხრივ, უმთავრეს ბარიერებს შორის გამოიყოფა შესრულებული სამუშაოს შეფასებისათვის მონაცემების შეგროვება და ამ მონაცემების ისეთი სახით ინტერპრეტაცია, რომ შესაძლებელი იყოს სწორი მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღება (Fryer, Antony, & Ogden, 2009).

ორგანიზაციის ტიპისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სისტემის თანხვედრის არ არსებობის შემთხვევაში, წარუმატებლობა გარანტირებულია. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია სისტემის იმპლემენტაციის შედეგად შემცირდეს თანამშრომელთა პროფესიონალიზმი და მათ მიერ მიწოდებული სერვისები უბრალოდ სამომხმარებლო საქონლად იქცეს, რომლის მთავარი მიზანიც წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების დაკმაყოფილებაა (Adcorf & Willis, 2005). ამ შემთხვევაში, უმნიშვნელოვანესია მენეჯერის როლი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თანამშრომლებს ადეკვატური მოლოდინი და აღქმები გაუჩნდეთ სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით.

არასწორი აღქმების შემთხვევაში, შესაძლებელია თანამშრომლებში გაჩნდეს დევიაციური ქცევის ისეთი მაგალითები, როგორებიცაა არასაჭირო მიზნების დასახვა და მათი მიღწევა, მხოლოდ მიზნების მიღწევაზე ზრუნვა და სხვა ფაქტორების უგულებელყოფა, ისევე, როგორც შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის, როგორც არასაჭირო ან ზედმეტი ვალდებულების აღქმა (Fryer, Antony, & Ogden, 2009).

შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სისტემის შესახებ ინფორმაციის ორგანიზაციის მასშტაბით გავრცელებას დიდი მნიშვნელობა აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანამშრომლებს უჩნდებათ დაუცველობის განცდა და მოსაზრება, რომ სისტემის მიზანი მხოლოდ მათი ხარვეზების გამოვლენაა, რაც აფერხებს როგორც შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაზრდას, ასევე, ზოგადად, სისტემის წარმატებას (Lovrich, Shaffer, Hopkins, & Yale, 1980).

ორგანიზაციაში არაადეკვატური ინფორმაციის გავრცელებას ხელს უწყობს ადამიანური რესურსების მართვის ერთეულს, მენეჯერსა და თანამშრომლებს შორის კომუნიკაციის არარსებობა ან არაეფექტური კომუნიკაცია, რაც, თავის მხრივ, ინფორმაციის დამახინჯებასა და კოლეგებს შორის ურთიერთობების გაუარესებას იწვევს (Gautam & Jain, 2016).მეორეს მხრივ, შესაძლებელია გამართული კომუნიკაციის პირობებშიც წარუმატებელი აღმოჩნდეს შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა, თუკი სისტემა თავის თავში არასამართლიან სტანდარტებსა და შეფასების პროცესს გულისხმობს (Gautam & Jain, 2016).

სისტემის წარუმატებლობა შესაძლებელია უფრო სტრატეგიული დონის მიზეზებითაც იყოს

გამოწვეული. მაგალითად, ხშირად პოლიტიკური ხელმძღვანელობა შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის იმპლემენტაციას მცირე პრიორიტეტს ანიჭებს, სამუშაოს დატვირთულობისა და დროის სიმცირის გამო (Gautam & Jain, 2015).

საინტერესოა, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სისტემა მეტ ბარიერებს აწყდება განვითარებად სახელმწიფოებში. ასეთ სახელმწიფოებს ისედაც ცოტა რესურსი აქვთ პოლიტიკის წარმატებული იმპლემენტაციისა და სერვისების ეფექტურად მიწოდებისათვის, შესაბამისად, მათთან ნებისმიერი პოლიტიკის დანერგვა წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული, ისევე, როგორც შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის იმპლემენტაცია (Cloete, 2003). ისეთი განვითარებადი ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, როგორებიცაა სამხრეთი აფრიკა ან აზიის ვეფხვები, განვითარებადი სახელმწიფოებისათვის დამატებით გამოწვევად რჩება სისტემისადმი გაურკვევლობის გრძნობის შემცირება.

წინააღმდეგობების დაძლევისა და ეფექტურობის გაზრდის ერთ-ერთ თანამედროვე და საუკეთესო მეთოდ, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის დანერგვის პროცესში ელექტრონული მექანიზმების გამოყენება ითვლება. ბანდურას (1977, 1986) სოციალური შემეცნებითობის თეორიაზე (Social Cognitive Theory) დაყრდნობით, მოდელი ანუ ადამიანი, თავის ქცევას იცვლის, როდესაც ტექნოლოგიებში ხდება ჩართული (technology employed), რაც, ნავარაუდევია, რომ გაზრდის დასწავლადობასა და მთლიანად შესრულების (performance) დონეს.

ელექტრონული მექანიზმები, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის პროცესში აღიქმება, როგორც დამხმარე საშუალებები, რათა გაიზარდოს ეფექტურობა და წარმატების შანსები. მიუხედავად ტექნოლოგიის ტიპისა, მიიჩნევა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც ინფორმაციისა და ცოდნის მარაგი განუსაზღვრელია, ელექტრონული მექანიზმები არა მხოლოდ ერთ-ერთი ალტერნატივა, არამედ აუცილებელი არჩევანია (Lindvall, Rus, & Sinha, 2003). შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის პროცესში, ელექტრონული პროგრამები არა მხოლოდ ამარტივებს სისტემის ფუნქციონირებას, არამედ მარტივად ხდება შედეგების ანალიზი, გაზიარება და მათი სამომავლო ქმედებებად ტრანსფორმაცია.

ამ მიმართულებით ელექტრონული საშუალებების გამოყენებას ამართლებს მათი სიმარტივე და ვიზუალური აღქმადობა (Lindvall, Rus, & Sinha, 2003). ამ დადებითი ფაქტორების მხარდაჭერისათვის მნიშვნელოვანია ორგანიზაციაში სწამდეთ ინოვაციების და მათ აღიქვამდნენ, როგორც კონკურენტუნარიან სტრატეგიას მთლიანად ორგანიზაციისათვის (Dovey, 2009).

შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვისას ელექტრონული მექანიზმების გამოყენებას მომხრეებიც მრავლად ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც. ერთი მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ ტექნოლოგიები სისტემის დანერგვისას უზრუნველყოფს მეტ გამჭვირვალობას, ნათელი ხდება, რომ შეფასების ფორმა ნახა ყველა შესაბამისმა მხარემ, ხდება დროის დაზოგვა, რადგან მენეჯერის კაბინეტში ჯდომის ნაცვლად, თანამშრომლები ელექტრონულ ფორმატში

ადევნებენ თვალყურს შეფასების მიმდინარეობას, რაც ამცირებს ნეპოტიზმისა და უსამართლობის რისკებს და რაც მთავარია, მენეჯერი აფასებს ნებისმიერ დროს, ნაცვლად შეხვედრების დაგეგმვისა (Root, 2017).

მეორე მხრივ კი, აღსანიშნავია ის რისკები, რაც ელექტრონული საშუალებების გამოყენებას ახლავს თან. უპირველეს ყოვლისა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ორგანიზაციაში თანამშრომლები კარგად იცნობდნენ როგორც შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის პრინციპებს, ისე ტექნოლოგიებს, ელექტრონულ სისტემაში შეცდომების დაშვება არ გამოირიცხება და შეცდომების გამოსწორებაში ადამიანების ჩართულობის გარეშე, შესაძლებელია ეს შეცდომა საბოლოო შედეგში აისახოს, რამაც დააბრკოლოს თანამშრომლის განვითარება (Root, 2017). თუკი ელექტრონული შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა გაიგივებულია ეფექტურობასა და თანამშრომელთა განვითარების სწრაფ შესაძლებლობებთან, აუცილებელია მსგავსი რისკების მხედველობაში მიღება და მათი საწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვისას ტექნოლოგიების გამოყენება ჯდება კარგი მმართველობის მოთხოვნებსა და პრინციპებში. მთავარი აქ ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობაა, რასაც ელექტრონული მექანიზმები ონლაინ რეჟიმში უზრუნველყოფს (Juiz, Guerrero, & Lera, 2014). ამასთანავე, კარგი მმართველობა ე.წ. „კორპორატიული მმართველობისკენ“ იხრება, რაც დაინტერესებულ მხარეთა მაქსიმალურ ჩართულობას გულისხმობს, ელექტრონული მმართველობის საშუალებით კი, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის პროცესში ყველა თანამშრომელია ჩართული და ისინი მიმდინარე პროცესებს ყოველდღიურად ეცნობიან (Juiz, Guerrero, & Lera, 2014). თუკი ცნობილია, რომ ელექტრონული საშუალებებით განსაკუთრებით იზრდება სერვისის მიწოდების სისწრაფე და ხარისხი, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა და მისი შემადგენელი, შეფასებაც, სერვისია, რომელიც თანამშრომელთათვის იქმნება და ტექნოლოგიები მის ხარისხს კიდევ უფრო გაზრდის (Cloete, 2003). მაგალითად, ცნობილია, რომ ორგანიზაციები, რომლებსაც შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა ელექტრონულ სისტემაში აქვთ დანერგილი 20%-ით მეტ სარგებელს მიიღებენ იმ დაწესებულებებთან შედარებით, რომლებიც ამ პროცესში ტექნოლოგიებს არ იყენებენ (Juiz, Guerrero, & Lera, 2014, p. 13).

საბოლოოდ, თვალსაჩინოა, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის მექანიზმების დანერგვაზე დიდ გავლენას ახდენს ორგანიზაციის თანამშრომელთა ჩართულობა და მათი აღქმები სისტემასთან დაკავშირებით. ეს აღქმები და დამოკიდებულებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობს შესაბამისი კულტურული საფუძველი და სისტემის წარმატებას მონაწილეთა მხრიდან მხარდაჭერა სჭირდება. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ წარმატების შანსების კიდევ უფრო ზრდის ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენება და შესრულებული სამუშაოს მართვისას, ელექტრონული მექანიზმების გამოყენება.

მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში გამოყენებულია როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. უპირველეს ყოვლისა, გაანალიზდა მეორეული წყაროები, როგორც შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის, ისე ელექტრონული მექანიზმების დანერგვის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება გაკეთდა სამეცნიერო ნაშრომებზე, სადაც გამოხატული იყო კავშირი შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვასა და ამ პროცესში მექანიზმების გამოყენებას შორის.

სიღრმისეული ინტერვიუს გამოყენებით, თავდაცვის სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისგან მივიღეთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა მათ უწყებებში შეფასების სისტემის დანერგვა და რამდენად გამოიყენება ელექტრონული მექანიზმები სისტემის ეფექტურობის გასაზრდელად. ასევე, Skype ინტერვიუ ჩატარდა ადამიანური რესურსების მართვის უცხოელ ექსპერტთან, Rand Corporation-ის ანალიტიკოს Ellen Tunstall-თან. აღნიშნულ ექსპერტს აქვს ქართულ საჯარო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება და და განსაკუთრებით საინტერესოა მისი შეხედულებები ქართულ რეალობაში სამუშაოს მართვის, შეფასების სისტემისა და ელექტრონული მექანიზმების განვითარების შესახებ. ასევე, ინტერვიუ ჩატარდა ქართველ, ადამიანური რესურსების ექსპერტთან, ია წულაიასთან.

სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით, ასევე, გამოიკითხა სამიზნე საჯარო ორგანიზაციების პროფესიული საჯარო მოხელეები, რომელთაც დააფიქსირეს აზრი შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის პრინციპების დანერგვის, სამომავლო გამოწვევებისა და პერსპექტივების შესახებ. ნაშრომის ფარგლებში, გამოყენებულია არაალბათური სახის შერჩევა. მიზნობრივი შერჩევის გამოყენებით, კვლევისათვის შეირჩა ორი საჯარო ორგანიზაცია (თავდაცვის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო). შერჩევისათვის გამოყენებული იქნა ისეთი კრიტერიუმები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნებოდა სხვადასხვა ტიპის საჯარო ორგანიზაციის კვლევა და მთლიანი სურათის, მეტ-ნაკლები სისწორით ასახვა. შესაბამისად, შეირჩა ორგანიზაცია, რომელსაც უკვე ჰქონდა შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის გამოცდილება და შემუშავებული ჰქონდა შეფასების მეთოდი (საგარეო საქმეთა სამინისტრო) და ძალოვანი სტრუქტურა, სადაც მთლიანად ორგანიზაციული კულტურაა სპეციფიკური (თავდაცვის სამინისტრო).

ნაშრომში გაანალიზებულია სიღრმისეული ინტერვიუებისა და კითხვარების საშუალებით მიღებული პასუხები და ერთი მხრივ, შედარებულია ქართველი და უცხოელი ექსპერტების მოსაზრებები საქართველოში შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვისა და მასთან კავშირში, ელექტრონული მმართველობის განვითარებასთან დაკავშირებით, მეორე მხრივ კი, ასევე შედარებითი ანალიზის საფუძველზე, წარმოდგენილია დასანერგი სისტემის წარმატების, გამოწვევებისა და გადაჭრის გზების შესახებ ექსპერტებისა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეხედულებები.

გარდა ამისა, ნაშრომში მოცემულია საჯარო ორგანიზაციების ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენელთა პოზიციები შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის პრინციპების, ელექტრონული მექანიზმების გამოყენების შესახებ და ეს პოზიციები გაანალიზებულია ამავე ორგანიზაციების საჯარო მოხელეთა ანალოგიურ მოსაზრებებთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ ანალიტიკური ნაწილი მოიცავს კითხვარის

საშუალებით გამოკითხულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა დამოკიდებულებების ანალიზს ორ დონეზე: მენეჯერულ და არამენეჯერულ, ვინაიდან კითხვარი შეავსეს როგორც მენეჯერული, ისე არამენეჯერული თანამდებობების წარმომადგენლებმა.

თითოეულ სამინისტროში, მიზნობრივი შერჩევის საშუალებით, გამოიკითხა ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სისტემის დანერგვაზე. ამავდროულად, თოვლის გუნდის პრინციპის გამოყენებით, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტთა დახმარებით, თითოეული სამინისტროს პროფესიულმა საჯარო მოხელეებმა შეავსეს კითხვარი. კითხვარი მოიცავდა სხვადასხვა ტიპის კითხვებს: დახურულსა და ღიას; გარდა ამისა, განწყობების კვლევის მიზნით გამოყენებული იქნა ლიკერტის განწყობების 5 ბალიანი სკალა და ასევე, რანჟირების სკალა. საჯარო მოხელეთა შერჩევის მიზნით გამოყენებული იქნა ე.წ. შერეული (mixed) მეთოდი და სტრატიფიცირებული შერჩევის საშუალებით, საჯარო მოხელეთა ერთობლიობა დაიყო ხუთ სტრატად. ორგანიზაციის სრულ სურათთან მაქსიმალურად მიახლოების მიზნით, კითხვარი შეავსო თავდაცვის სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროდან პროფესიულმა საჯარო მოხელეებმა (მენეჯერული და არამენეჯერული თანამდებობები) რომლებიც შერჩეულნი იყვნენ, ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე დადგენილი, 5 ძირითადი სამუშაო ოჯახის[3] (თითოეული სამუშაო ოჯახი წარმოადგენდა თითო სტრატას) მიხედვით: პოლიტიკა და დაგეგმვა, ადმინისტრირება და მხარდაჭერა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, კომუნიკაცია, კონტროლი და სამართლებრივი საკითხები (Robinson, 2002).

შედეგები/დისკუსია/დასკვნა

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით ირკვევა, რომ საკვლევ სამინისტროებში სრულიად არაინფორმირებული საჯარო მოხელე არ გვხვდება. ამასთან, აშკარაა, რომ პროფესიული საჯარო მოხელეები შეფასების სისტემის დანერგვის შესახებ საჭიროებენ მეტ განმარტებებსა და დამატებით ინფორმაციას. ასევე, გარდა ინფორმირებულობის ხარისხისა, საინტერესოა, რა გზით შეიტყვეს საჯარო მოხელეებმა შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სტანდარტების სიახლეებზე, ვინაიდან საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურ კამპანიას ატარებდა და ორგანიზაციებს ინფორმაციის გავრცელებისაკენ მოუწოდებდა.

აღმოჩნდა, რომ საჯარო მოხელეებისათვის ორივე სამინისტროში ინფორმაციის ძირითადი წყარო ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეული და ხელმძღვანელი იყო, თუმცა აქ ჩანს სხვაობა მენეჯერსა და არამენეჯერულ თანამდებობაზე დასაქმებულ ადამიანს შორის, რადგან ადამიანური რესურსების მართვის ერთეულისაგან ინფორმაციის მიღების შემთხვევა აღნიშნული აქვთ მხოლოდ მენეჯერული თანამდებობის რესპონდენტებს.

შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის წარმატებისათვის ჩართულობა საჯარო მოხელეების მხრიდან განსაკუთრებით საჭიროა, რაც არაერთი მკვლევრისა და ავტორის მიერ აღინიშნება. თუმცა, გამოკითხულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა უმრავლესობა, წარმატების გარანტად ძირითადად მენეჯერებს, ორგანიზაციის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და

ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს ასახელებენ. საინტერესო ფაქტია ის, რომ გამოკითხულთაგან მინიმალური რაოდენობის საჯარო მოხელე (მხოლოდ მენეჯერები) მიიჩნევს ჩართულობას სისტემის წარმატების გარანტორად .

გარდა ჩართულობისა, წარმატების გარანტად საჯარო მოხელეთა მხრიდან არსებული მოლოდინებიც მიიჩნევა - რამდენად აქვთ მათ მოლოდინი, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა სარგებლის მომტანი იქნება. იმ შემთხვევაში, თუკი ისინი სისტემისგან მხოლოდ სადასმჯელო ღონისძიებებს ელიან ან ეჭვის თვალით უყურებენ ცვლილებებს, რეფორმას წარმატების ნაკლები შანსი აქვს. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთაგან არავის აქვს უარყოფითი მოლოდინი, უმეტესობა დადებითად ან ნეიტრალურად არის განწყობილი მოსალოდნელი ცვლილებებისადმი, მხოლოდ რამდენიმე საჯარო მოხელეს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემადა მათი მოლოდინები ბუნდოვანია.

ხშირად, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა და შეფასება თანამშრომელთა შორის დიალოგის წამახალისებელ საშუალებად მიიჩნევა. თუმცა აღმოჩნდა, რომ ამ აზრს გამოკითხულთა მცირე ნაწილი ეთანხმება და დანარჩენის პოზიციით, შეფასების დანერგვა ხელს არ უწყობს თანამშრომელთა შორის ღია და თავისუფალ დიალოგს. თუმცა, უფრო მეტად პოზიტიური განწყობები შეინიშნება ორგანიზაციის ნაწილად თავის აღქმასთან დაკავშირებით - გამოკითხულთა უმრავლესობა ეთანხმება ან სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის დანერგვა თანამშრომლებს აძლევს მოტივაციას და ისინი ორგანიზაციის ნაწილად გრძნობენ თავს, ხოლო მხოლოდ მცირე ნაწილისათვის შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა მოტივაციასა და ორგანიზაციის ნაწილად თავის აღქმასთან დადებით კორელაციაში ნაკლებად იმყოფება. უკანასკნელი ტიპის საჯარო მოხელეების აზრით, შეფასების სისტემის დანერგვა და თანმდევი, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის პროცედურების გატარება თანამშრომელს თრგუნავს და უჩენს დაუცველობის განცდას.

ლიტერატურის მიმოხილვაზე დაყრდნობით, არსებობს მოსაზრება, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა აუმჯობესებს ორგანიზაციულ და ინდივიდუალურ პროდუქტიულობას. გამოკითხულ საჯარო მოხელეთა უმრავლესობის აზრით, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა შესაძლებელია იყოს მექანიზმი იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს თითოეულის შესრულების ხარისხი, თუმცა საინტერესოა, რომგამოკითხულ მოხელეთა ნაწილს უჭირს პასუხის გაცემა, რამდენად ეხმარება აღნიშნული სისტემის დანერგვა ორგანიზაციის ეფექტურობას. იკვეთება იმგვარი პოზიციის არსებობა, რომ ინდივიდუალური და ორგანიზაციული მიზნები, საჯარო მოხელეთა აღქმებში, დაშორებულია და ერთის მიღწევა არ გულისხმობს მეორის მიღწევისაკენ გადადგმულ ნაბიჯს. საინტერესოა ისიც, რომ გამოკითხულთა აზრი იყოფა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების საკითხშიც - რამდენად შეიძლება შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა და შეფასება იყოს პროფესიული განვითარების საწინდარი. საჯარო მოხელეთა მხოლოდ მცირე ნაწილს არ აქვს ამ პოზიციასთან დაკავშირებით გამოკვეთილი დამოკიდებულება, დანარჩენთა აზრი კი თანაბრად იყოფა და ნახევარი პროფესიული განვითარების შესაძლებლობებზე აკეთებს აქცენტს, მეორე ნახევრის აზრით კი, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა ნაკლებად უზრუნველყოფს პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას.

ღია კითხვაზე, „რა მახასიათებლები აქვს შესრულებული სამუშაოს შეფასების კარგ მეთოდს?“, გამოკითხულ საჯარო მოხელეთა აბსოლუტური უმრავლესობა ობიექტურობასა და სამართლიანობას ასახელებს. მათთვის შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა უპირველესად მიუკერძოებლობას უნდა ემყარებოდეს, რაც თანხვდება კვლევებს, სადაც საჯარო მოხელეები შეფასებას უსამართლობის ან არაობიექტურობის განცდის გამო უფრთხიან (Lovrich, Shaffer, Hopkins, & Yale, 1980).

შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის წარმატებას, როგორც ზემოთ აღინიშნა, მრავალი ურთიერთდაკავშირებული თუ დამოუკიდებელი ფაქტორი განაპირობებს. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა სრული უმრავლესობა თვლის, რომ სისტემის წარმატებისათვის აუცილებელია მენეჯერსა და დაქვემდებარებულ თანამშრომლებს შორის ინტენსიური კომუნიკაციის არსებობა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად საბჭოთა წარსულისა და კონტროლზე დაფუძნებული სისტემის გამოცდილებისა, გამოკითხულ საჯარო მოხელეთა უმრავლესობაარ ეთანხმება მოსაზრებას, შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასება წარმატებულია, თუ „მოხელე, რომელიც ცუდად მუშაობს, სამაგალითოდ ისჯება ან თავისუფლდება თანამდებობიდან“. დასჯაზე ორიენტაციის ნაცვლად, ისინი შექებაზე, პროფესიულ განვითარებაზე, მოტივაციასა და მოხელეების მხრიდან სისტემის, როგორც მათ საკეთილდღეოდ მიმართული ქმედებების ერთობლიობის აღქმაზე აკეთებენ აქცენტს, ხარვეზის აღმოფხვრის კუთხით ორგანიზაციის როლის არ არსებობაზე კი მხოლოდ ერთი საჯარო მოხელე აკეთებს აქცენტს.

საინტერესო ფაქტია, რომ რესპონდენტთა მოსაზრებების ანალიზისას გამოიკვეთა ტენდენცია, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა წარმატებული იქნება, თუკი კარგად შესრულებული სამუშაო ფინანსურ წახალისებას დაუკავშირდება, ისევე, როგორც მოხელეები მაქსიმალურად ინფორმირებულნი იქნებიან დაგეგმილი ცვლილებების შესახებ.

ცნობილია, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის წარმატებას, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად განაპირობებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება (სხვადასხვა ტიპის რესურსის დაზოგვის კუთხით). აღმოჩნდა, რომ გამოკითხული საჯარო მოხელეებიც შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასების წარმატებას ამ პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრაციას უკავშირებენ. თუმცა, ელექტრონული მექანიზმების ინტეგრაციასთან ერთად ყოველთვის დგება კომუნიკაციის საკითხი დღის წესრიგში, რამდენად განვითარებულია კომუნიკაციის მეთოდები ორგანიზაციაში და როგორი ტიპის ურთიერთობებს ანიჭებენ მოხელეები უპირატესობას. სავარაუდოა, რომ ოფიციალური ურთიერთობებისთვის უპირატესობის მინიჭების შემთხვევაში, ელექტრონული სერვისების დანერგვა შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის პროცესში უფრო გამარტივდება, რადგან პირისპირ ურთიერთობა ბევრ არაფორმალობას მოიცავს, ონლაინ რეჟიმში კი სწორედ ფორმალური და საქმიანი ურთიერთობები მიმდინარეობს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის, შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის წარმატებისათვის, სწორედ ოფიციალურ ურთიერთობებს აქვს უპირატესობა.

როგორც ნაშრომშია აღწერილი, წარმატებასა და სარგებელთან ერთად, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სისტემის დანერგვას არაერთი ბარიერი თუ გამოწვევა ახლავს თან. გამოკითხულ საჯარო მოხელეთა მიერ, ლიკერტის სკალაზე მათთვის შეთავაზებულთაგან ყველაზე დიდ გამოწვევებად დასახელდა საჯარო მოხელეებში არსებული აღქმა, რომ სისტემის დანერგვა მათთვის სარგებლის მომტანი არ არის; ორგანიზაციაში არსებული უნდობლობისა და არაობიექტურობის განცდა; დროისა და რესურსების საჭიროება; ორგანიზაციაში არსებული არაკოლეგიალური ურთიერთობების არსებობა.

საჯარო მოხელეები აღნიშნავენ ელექტრონული სერვისების როლს შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის განვითარებისათვის. რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, ელექტრონული სერვისების გამოყენება შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სისტემის წარმატებას საშუალოდ უკავშირდება. არავინ აფიქსირებს მოსაზრებას, რომ ამ ორ ცვლადს შორის კავშირი არ არსებობს, თუმცა არც ამ კავშირის სიძლიერეზეა საუბარი.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საჯარო მოხელეებისათვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შესრულებული სამუშაოს მართვისა და შეფასების სისტემის დანერგვის პროცესში დამხმარე როლს ასრულებს. მათთვის ეს არ არის არც ძვირადღირებული ფუფუნება და არც კომპლექსურობასა და სირთულესთან დაკავშირებული სიახლე, თუმცა აღსანიშნავია, რომ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ და უფრო ნეიტრალურად არიან განწყობილი ელექტრონული მექანიზმების, როგორც შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის პროცესში, ერთ-ერთი რიგითი ალტერნატივის მიმართ.

ელექტრონული მექანიზმებისადმი აღქმების გამოხატვისას, მეტად ჩანს ინოვაციისა და სიახლისადმი შიში, როდესაც ეს სიახლე კონკრეტულ ორგანიზაციას უკავშირდება და შეეხება თავად მოხელეს. გამოკითხულ მოხელეთა უმრავლესობისათვის სწორედ რისკთან და საეჭვო სიახლესთან ასოცირდება შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის პროცესში ელექტრონული მექანიზმების გამოყენება, თუმცა შეინიშნება პოზიტიური განწყობებიც. რამდენიმე მოხელე ღია კითხვაზე პასუხის სახით აღნიშნავს, რომ სისტემის დანერგვისას ტექნოლოგიების გამოყენება მისთვის პროცედურების გამარტივებასა და დროის დაზოგვასთან ასოცირდება.

უმეტესად, ღია კითხვაზე პასუხების შედეგად გამოვლინდა, რომ ეჭვსა და რისკის საშიშროებას იწვევს ელექტრონული მექანიზმების დანერგვასთან დაკავშირებული ბუნდოვანება. საჯარო მოხელეებისათვის მეტ-ნაკლებად ბუნდოვანია, შესრულებული სამუშაოს ხარისხის დანერგვისას როგორ უნდა მოხდეს ტექნოლოგიების გამოყენება ან როგორია ამ მხრივ საერთაშორისო, ე.წ. კარგი პრაქტიკა (good practice). ამასთან ერთად, რესპონდენტების აზრით, როდესაც ორგანიზაცია ელექტრონული მექანიზმების გამოყენებას იწყებს, მას სჭირდება ძლიერი გარანტიები, დაცულობისა და უსაფრთხოების კუთხით, უსაფრთხოება კი განსაკუთრებით აქტუალური ხდება საჯარო დაწესებულებების შემთხვევაში.

საქართველოში შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სისტემის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით საინტერესოა როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტებისა და ამ პროცესის უშუალო წარმმართველების - სამიზნე საჯარო ორგანიზაციების

ადამიანური რესურსების მართვის წარმომადგენელთა მოსაზრებების კვლევა და შედარებითი ანალიზი.

ადამიანური რესურსების მართვის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად არაფორმალური მცდელობებისა (ორივე სამინისტროში), ფორმალურად შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა ორგანიზაციაში პირველად ინერგება. ყველაზე რთულ ეტაპად ისინი სწორედ დანერგვას ასახელებენ. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მათ 2016 წელს შეფასების მეთოდის შემუშავებაში ევროკავშირი ეხმარებოდა, მაგრამ მეთოდის წარმატება დანერგვის ეტაპზე გამოჩნდება, რაც სწორედ ახლა მიმდინარეობს. წარმატებული დანერგვისათვის კი, ორივე სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის ერთეულები ეცადნენ, მაქსიმალურად მარტივი, მოქნილი, მისაღები და გასაგები მეთოდი შეემუშავებინათ. თავდაცვის სამინისტროში აღნიშნავენ, რომ შეფასების სახელმძღვანელოს შემუშავების შემდეგ დოკუმენტი ჯერ შენიშვნებისათვის დაიგზავნა სამინისტროს მასშტაბით, შემდეგ კი ინტენსიური შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა რეკომენდაციები და მათი გათვალისწინების შესაძლებლობები. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანური რესურსების მართვის წარმომადგენლები ამ პროცესში მარტო არ ყოფილან და მთელი სამინისტროს პერსონალი იყო ჩართული სისტემის დახვეწის პროცესში.

ია წულაია, აღნიშნავს, რომ ქართული საჯარო ორგანიზაციები მთავარ დაბრკოლებას სწორედ დანერგვის ეტაპზე წააწყდებიან, რადგან მოდელი შეიძლება მაქსიმალურად გამართული იყოს, მაგრამ თუ არ მოერგო დაწესებულების კონტექსტს, მისი წარმატება შეუძლებელია. მას მოჰყავს ყირგიზეთის მაგალითი, სადაც, როგორც აღმოჩნდა, მოდელი საკმაოდ წარმატებულად შემუშავდა, თუმცა დანერგვის ეტაპმა ვერ გაამართლა, რადგან არ მოხდა სხვადასხვა თანამშრომლისა და სხვადასხვა ტიპის სამუშაოს დიფერენცირება. შესაბამისად, გაჩნდა სუბიექტურობისა და არასამართლიანობის განცდა. ექსპერტის აზრი თანხვდება როგორც ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენელთა, ისე გამოკითხულ საჯარო მოხელეთა მოსაზრებას, რომ მთავარ პრობლემას დანერგვის ეტაპზე ობიექტურობისა და სამართლიანობის განცდის საჭიროება წარმოადგენს. შესაბამისად, ია წულაია გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თუკი სისტემა არ წარმოშობს მიუკერძოებლობის განცდას, შესაძლებელია შედეგად თანამშრომელთა „მოტივირება კი არა, დემოტივირება მივიღოთ“.

აშკარაა, რომ შესრულებული სამუშაოს მართვა მხოლოდ შეფასების პროცესს არ მოიცავს და იგი უწყვეტია, შეფასების შედეგად განხორციელებულ ქმედებებს კი უდიდესი ზემოქმედება შეუძლია მოახდინოს ინდივიდუალურ და ორგანიზაციულ წარმატებაზე. როგორც Rand Corporation-ის ანალიტიკოსი აღნიშნავს, აშშ-ის პერსონალის მართვის ცენტრის (The U. S. Office of Personnel Management) თანახმად, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა არ არის მხოლოდ წლის ბოლოს შეფასების განხორციელება. ეს ციკლური პროცესია და მოიცავს მიზნების შედეგებად თარგმნას და კონცენტრირდება როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ თუ პროგრამების დონეზე. ექსპერტი აღნიშნავს, რომ თუკი შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა მხოლოდ წლიური შეფასებით შემოიფარგლა, იგი დროთა განმავლობაში ფორმალობად იქცევა და დაკარგავს რეალურ მიზანს. ამიტომ, საჭიროა შეფასების გარდა განხორციელდეს ისეთი მნიშვნელოვანი პროცესები, როგორებიცაა ხარისხის მართვა,

წახალისება, პროფესიული განვითარება და სხვ.

ქართველი ექსპერტი ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად მენეჯმენტის მომზადების დონეს ასახელებს. მისი აზრით, ნებისმიერი სისტემის დანერგვისათვის მენეჯერების მზადყოფნა არის უმნიშვნელოვანესი. იგი მიიჩნევს, რომ საჯარო სექტორში მენეჯერთა უმეტესობას არ აქვს მენეჯერული უნარ-ჩვევები, რაც შეაფერხებს სისტემის წარმატებას. ადამიანური რესურსების მართვის წარმომადგენლებიც აღნიშნავენ, რომ მენეჯერებთან კომუნიკაცია საკმაო პრობლემას წარმოადგენს. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მენეჯერების უმეტესობა შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის დანერგვას ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ფუნქციად თვლის და არ მიიჩნევს, რომ ეს მათი, როგორც ხელმძღვანელების ერთ-ერთი მოვალეობაა. მისივე თქმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ორგანიზებული ტრენინგებიდან მუდმივად იკვეთება აზრი, რომ მენეჯერები მაქსიმალურად უნდა ჩაერთონ ამ პროცესში, თუმცა ხშირად თავად ადამიანური რესურსების მართვის ერთეულები იღებენ პროცესის უმეტეს ნაწილს თავიანთ თავზე და ნაკლებად რთავენ მენეჯმენტის წარმომადგენლებს. ორივე სამიზნე ორგანიზაციის წარმომადგენელი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თუკი ერთიანად (საჯარო სამსახურის ფარგლებში) დაიგეგმება ტრენინგები მენეჯმენტში, ისინი აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას და გადაამზადებენ თავიანთ მენეჯერებს.

Rand Corporation-ის ანალიტიკოსიც, ბარიერებსა და გამოწვევებზე საუბრისას, სწორედ მენეჯერებისა და ტოპ-მენეჯმენტისაგან საჭირო მხარდაჭერაზე საუბრობს. მისი აზრით, ამის მიღწევა შესაძლებელია ხშირი შეხვედრების მოწყობით, პრეზენტაციებისა და ფოკუს-ჯგუფების გამოყენებით. სწორედ უმაღლესი, პოლიტიკური მენეჯმენტისაგან მხარდაჭერაზე საუბრობს ია წულაიაც და მისი აზრით, პოლიტიკური თანამდებობის პირების გაცხადებული მხარდაჭერა, რომ სისტემის ინსტიტუციონალიზაცია სამართლიანად და ობიექტურად იგეგმება, საჯარო მოხელეებში მოლოდინს გააჩენდა, რომ მიკერძოებას ადგილი არ ექნება და ყველაფერი სამართლიანად განხორციელდება.

კანონის მოთხოვნები საქართველოში ნათლად არ გაწერს ყველაფერს - მეთოდს ან ინდიკატორებს, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა. ადამიანური რესურსების წარმომადგენელთა აზრით, ეს კარგია, რადგან ორგანიზაციებს სპეციფიკიდან გამომდინარე, ლავირებისა და მოქნილობის შენარჩუნების საშუალება რჩებათ. მათს მოსაზრებას იზიარებს ექსპერტი აშშ-დან და აღნიშნავს, რომ ხშირად, აშშ-ის სახელმწიფო სააგენტოების მაგალითზე, კანონმდებლობაში ზედმეტი კონკრეტიკა ზღუდავს ორგანიზაციების მოქმედების თავისუფლებას. როგორც ექსპერტი აღნიშნავს, ვინაიდან მას აქვს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან მუშაობისა და თანამშრომლობის გამოცდილება, ძალოვანი სტრუქტურის სპეფიციკიდან გამომდინარე, ორმაგად სასარგებლოა კანონში მოქნილობის არსებობა.

ია წულაიას განმარტებით, კანონმდებლობაზე მნიშვნელოვანი ის კულტურაა, რომელიც ფესვგადგმულია ორგანიზაციაში. თუკი თანდათან მოხდება შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სამართლიანი პრინციპების დანერგვა, შეფასება განხორციელდება ობიექტურად, დიდი ადმინისტრაციაც აღარ იქნება საჭირო და საჯარო სექტორი მიიღებს

მცირე, მაგრამ ეფექტური მთავრობის კონცეფციას. მისი აზრით, მთავარია ახლა ის პრინციპები, რაც საკანონმდებლო დონეზეა გაწერილი, ხელმძღვანელებმა კეთილსინდისიერად გამოიყენონ და რისკი, რომ საშუალო ქულები დაიწეროს სულ (ზედმეტი შეფასებებისა და დეტალებზე ორიენტაციის გარეშე) ან შერჩეულმა მეთოდმა ვერ გაამართლოს, დიდი ალბათობით შემცირდება.

Rand Corporation-ის ანალიტიკოსის აზრით, საქართველომ ამ სისტემის დანერგვის კუთხით წარმატებისათვის უნდა გამოიყენოს საერთაშორისო პარტნიორების მაგალითები, რაც ცხადყოფს, რომ სერვისები გამარტივებისა და მაქსიმალური სარგებლის მიღებისკენაა მიმართული. სწორედ ამიტომ, იგი ემხრობა ელექტრონული მექანიზმების საშუალებით შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სისტემის დანერგვას, ისევე, როგორც საკვლევ ორგანიზაციათა ადამიანური რესურსების მართვის წარმომადგენლები. ელექტრონული მმართველობის დანერგვის უპირატესობას განსაკუთრებით საგარეო საქმეთა სამინისტროში აღნიშნავენ, რადგან მათ მოუწევთ შეაფასონ არა მხოლოდ ადგილობრივი თანამშრომლები, არამედ დიპლომატიური მისიით საზღვარგარეთ მყოფი თანამშრომლები.

ერთ-ერთი ექსპერტი, ელექტრონული მექანიზმების შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის პროცესში გამოყენებას, კარგ ადმინისტრირებასთან აკავშირებს. მისი აზრით, ტექნოლოგიები გაამარტივებს ადმინისტრირების პროცესს, მაგრამ თუ არ იყო ობიექტურობა, სამართლიანობა, ჩართულობა უზრუნველყოფილი, მნიშვნელობა არ ექნება პროცესები ონლაინ რეჟიმში განხორციელდება თუ ფურცელზე. ამავდროულად, ადამიანური რესურსების წარმომადგენლები საფრთხეს ციფრულ ცნობიერების დაბალ დონეშიც ხედავენ, რაზეც მათ მომავალ თვეებსა და წლებში მოუწევთ მუშაობა.

ელექტრონული მექანიზმების გამოყენება შესაძლებელია ამ პროცესების გასამარტივებლად და დროში მოგების მიზნით. ელექტრონულად ინფორმაციის გაზიარება, ელექტრონული შეფასებების წარმოება ან ელექტრონული კომუნიკაცია უფრო გაამარტივებდა პროცესებს - ეს მას შემდეგ, რაც მოგვარდებოდა ისეთი პრობლემები, როგორებიცაა სამართლიანობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და სანდოობის არსებობა.

აღსანიშნავია, რომ ორივე ორგანიზაციის წარმომადგენელი გამოთქვამს სურვილს, მზადყოფნას, რომ სამომავლოდ შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა სწორედ ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით მოხდეს. მაგალითად, თავდაცვის სამინისტროში აღნიშნავენ, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი უკვე მუშაობს ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონულ პროგრამაზე, რომელშიც შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის ელემენტებიც იქნება გათვალისწინებული. ასევე, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, „სამინისტროში არის მძიმე მოცემულობა ელექტრონული სისტემების განვითარების კუთხით, თუმცა არსებობს ამბიციური გეგმები“. საინფორმაციო და საკომუნიკაციო კუთხით განვითარებისათვის, სამინისტროს ტენდერი უკვე გამოცხადებული აქვს.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში, საჯარო ორგანიზაციებში შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის სისტემის დანერგვის პერსპექტივები საკმაოდ პოზიტიურია და ამ პროცესში ტექნოლოგიების ჩართვაც დადებით შედეგს გამოიღებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ნაშრომის მთავარი ჰიპოთეზა მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა - მართალია, ელექტრონული მექანიზმები შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის დანერგვისათვის პოზიტიურ საშუალებებად აღიქმება, მაგრამ მათზე სერიოზულ ხელშემწყობ მექანიზმს, როგორც აღმოჩნდა, პოლიტიკური ნება და საჯარო მოხელეების მხრიდან სისტემისადმი ნდობა წარმოადგენს. იკვეთება ქვე-ჰიპოთეზაში აღნიშნული სიმარტივეზე ორიენტაციისა და ელექტრონული მექანიზმების გამოყენების ინტენსივობის კავშირი, თუმცა ნათელია, რომ ელსერვისების გამოყენება არ მიიჩნევა ჩართულობის სტიმულირების საშუალებად და თანამშრომელთა ჩართულობისათვის მენეჯერისა და ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეულის როლია ხაზგასმული. ამასთანავე, როგორც ჰიპოთეზის, ისე ქვეჰიპოთეზების გადამოწმებისას იკვეთება საერთო ტენდენცია: როგორც შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის დანერგვისას, ისე, ამ პროცესში ელექტრონული მექანიზმების გამოყენებისას, მთავარ დაბრკოლებად საჯარო მოხელეთა მხრიდან ნდობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის მოლოდინი რჩება.

ბიბლიოგრაფია

Adcorf, A., & Willis, R. (2005). The (un)intended outcome of public sector performance measurement. *International Journal of Public Sector Management, 18*, 386-400.

Aguinis, H. (2009). *Performance Management.* New Jersey: Pearson/Prentice Hall.

Andrews, R. (2014). *Performance Management and Public Service Improvement.* Cardiff: Public Policy Institute for Wales.

Armstrong, M. (2009). The Foundation of Performance Management. In M. Armstrong, *Armstrong's Handbook opf Performance Management* (pp. 9-27). London and Philadelphia: Kogan Page.

Bates, R. A., & Holton, E. F. (2009). The Conceptual Framework of Performance Management. In M. Armstrong, *Armstrong's Handbook of Performance Management* (pp. 28-40). London and Phyladelphia: Kogan Page.

Boyne, G. A. (2010). *Performance Management: Does it work?* Cambridge: Cambridge University Press.

Brown, J. E., & White, B. J. (2009). Modeling Desired Behaviors: do leaders need new technology? *Leadership & Organization Development Journal, 30*, 126-138.

Cloete, F. (2003, March). Assessing Governance with Electronic Policy Management Tools. *Public Performance & Management Review, 26*, 276-290.

Colleges Ontario. (2017, August 31). Key Performance Indicators. Ontario.

De Waal, A. A. (2006). The role of behavioral factors and national cultures in creating effective performance management systems. *Systemic Practice and Action Research*, 61-79.

Denisi, A., & Pritchard, R. (2006). Performance Appraisal, Performance Management, and improving individual performance: A Motivational Framework. *Management and Organization Review*, 253-277.

Dovey, K. (2009). The role of trust in innovation. *Emerald, 16*, 311-325.

Fryer, K., Antony, J., & Ogden, S. (2009). Performance Management in the Public Sector. *International Journal of Public Sector Management, 22*, 478-498.

Gautam, A., & Jain, S. (2015). Factors Essential for an Effective Performance Management System: A Literature Review. *Vidya International Journal of Management Research, III*, 47-72.

Gautam, A., & Jain, S. (2016). Implementing Performance Management Systems: A Strategic Tool for Human Resource Management. ResearchGate.

Helden, J. V. (2016). Commonalities and Differences in Public and Private Sector Performance Management Practices: A Literature Review.

Juiz, C., Guerrero, C., & Lera, I. (2014). Implementing Good Governance Principles for the Public Sector in Information Technology Governance Frameworks. *Open Journal of Accounting, 3*, 9-27.

Juran, J. M. (1994). The Taylor System and Quality Control. Retrieved May 27, 2018, from http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.455.8571&rep=rep1&type=pdf

Lewin, K. (2017, February 22). Management Theory of Kurt Lewin.

Lindvall, M., Rus, I., & Sinha, S. S. (2003). Software Systems Support for Knowledge Management. *Journal of Knowledge Management, 7*, 137-150.

London, M. (2004). Performance Management and Assessment: methods for improved rater accuracy and employee goal setting. *Human Resource Management, 43*, 319-336.

Lovrich, N. P., Shaffer, P. L., Hopkins, R. H., & Yale, D. A. (1980). Do Public Servants Welcome or Fear Merit Evaluation of Their Performance? *Public Administration Review, 40*, 214-222.

McAfee, R. B., & Champagne, P. J. (1993). Performance Management: A strategy for improving empolyee performance and productivity. *Managerial Psychology*, 24-32.

Morrison, M. (2014, July 7). Kurt Lewin change theory three step model – unfreeze, change, freeze.

Price Waterhouse Coopers. (2007). Guide to key Performance Indicators. Retrieved May 9, 2018, from https://www.pwc.com/gx/en/audit-services/corporate-reporting/assets/pdfs/uk_kpi_guide.pdf

Robinson, D. (2002). *Job Families and Other Taxonomies.* Brighton: Institute for Employment Studies.

Root, G. N. (2017, September 26). *Management: bizfluent*. Retrieved June 17, 2018, from bizfluent Web site: https://bizfluent.com/list-6193628-advantages-disadvantages-electronic-performance-appraisals.html

Sahoo, C., & Mishra, S. (2012). Performance Management Benefits Organizations and Their Employees. *International Journal of Management Research*, 3-5.

Smith , P. C., & Goddard, M. (2002). Performance Management and Operational Research: A Marriage Made in Heaven? *The Journal of the Operational Research Society, 53*, 247-255.

Sole, F. (2009). A management model and factors driving performance in public organizations. *Emerald, 13*, 3-11.

United Nations. (2010). What is Good Governance? . Bangkok.

Warren, M. (2009). Features of Performance Management. In M. Armstrong, *Armstrong's Handbook of Performance Management* (p. 21). London, Philadephia: Kogan Page.

საქართველოს მთავრობა. (2017, აპრილი 28). საქართველოს მთავრობის დადგენილება N220 პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ. თბილისი.

საქართველოს პარლამენტი. (2017). საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი. ქუთაისი.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2017, აპრილი 28). პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №220. თბილისი. Retrieved მაისი 9, 2018, from https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3652594

საჯარო სამსახურის ბიურო. (n.d.). ელექტრონული მმართველობა: განხორციელებული პროექტები. თბილისი. Retrieved აპრილი 22, 2018, from http://www.csb.gov.ge/ge/ელექტრონული-მმართველობა

[1] *კარგი მმართველობა (good governance) - მოკლე განმარტების თანახმად, კარგი მმართველობა წარმოადგენს ძალაუფლების მმართველობის იმ სფეროებისაკენ მიმართვას, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური რესურსების განვითარებას ემსახურება (World Bank, 1999).*

[2]*დამსახურებაზე დაფუძნებული შეფასება (Merit Rating) -შეფასების სისტემა, როდესაც თანამშრომელი ფასდება ინდივიდუალური თვისებებისა და კომპტენეციების გამოვლენის ხარისხის მიხედვით (Armstrong, The Foundation of Performance Management, 2009).*

[3]*სამუშაო ოჯახი (Job Family) - არის სამუშაოთა ჯგუფი, რომელიც მოიცავს მსგავსი ფუნქციების მქონე სამუშაოებს და მუშაობის პროცესში მოითხოვს ერთსა და იმავე უნარებს, ცოდნას, გამოცდილებასა და კონკრეტულ სფეროში სპეციალიზაციას (Massachusetts Institute of Technology).*